# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 10 ნოემბერი 2000 №218 (1240) | ფასი 50 თეთრი


3

### რა ურჩევნია მამა მსაჯს?

რეგიონული ლიგის „მრეტები“ — „ვალენსიას“ ასკაროლლების ოჯახი განსჯის

3

### რას იტყვის სალერნიტანა?

სერია B-ს კლუბმა რიგის „სკონტოს“ ქართველი ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი გასინჯა

7

### ინგლისმა დემეტრაძე დაიმახსოვრა




ოდნავ მარცხნივ და კიეველთა ქართველი „იუნაიტედს“ ლიგიდან გაუშვებდა

8

### ლუისი VS ტუა



დიდი ამბები, დიდი ბრძოლის წინ

UEFA CUP

# ჯანაშიამ გაიტანა, გავიდა არველაძემ გაიტანა, წავიდა

**წუხელ გავარდნენ „აიაქსი“, შოთა არველაძის გოლმაც რომ ვერ უშველა და „სელტიკი“, თანაქალაქელი „რეინჯერსივით“ ფრანგულმა გუნდმა რომ გაამწარა.**

**შემდეგ წრეში გავიდა მოსკოვის „ლოკომოტივი“. გადამწყვეტი გოლი ზაზა ჯანაშიამ შეაგდო.**

**ვინ არის უეფას თასის მოპოვების მთავარი ფავორიტი? ცხადია, გუნდი, რომელსაც წლეულს ამ ტურნირზე ჯერ ერთხელაც არ უთამაშია: „ბარსელონა“.**

**ვინ გაუძალიანდება კატალონიელებს? ეგებ ფაბიო კაპელოს „რომა“, რომელმაც „ბოავიშტას“ ძლივს აჯობა; ანდა რონალდ კუმანის „ვიტესთან“ დარიო სიმიჩის გვიანი გოლით გადარჩენილი „ინტერი“; ან იქნებ სერია A-ს ლიდერ „უდინეზეს“ დამანგრეველი ბერძნული პაოკი; ისე, „ლივერპულიც“ ხომ აქაა... ფინალი და ხვალეო, ნათქვამია.**

**დღეს კი, ჩვენი დროით 15 საათზე ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის მომდევნო ეტაპების წილისყრაა.**

იხილეთ მეორე გვერდი



ვიტესი — ინტერი 1:1. მილანელ ლუიჯი დი ბიაჯოსთან ბრძოლა მიშელ კრეეკს კინაღამ ტრავმად დაუჯდა

REUTERS არნემიდან

# ვილაპარაკოთ ქალებზე

## ქართველები და ჩინელები: ქულები და შანსები

**სტამბოლის** საჭადრაკო ოლიმპიადაზე მეთორმეტე ტური გუშინ მაშინ დასრულდა, როცა ჩვენთან შუაღამე იდგა. ვაჟებმა კარგად ითამაშეს, ფილიპინელებს დამაჯერებლად მოუგეს და ათეულში მოხვედრის მშვენიერი შანსები აქვთ. ჩვენი ვაჟთა ჭადრაკის დღევანდელი დონისა და ამბიციების გათვალისწინებით, ათეული პროგრამა-მინიმუმი ნამდვილადაა და თუ ვაჟები სტამბოლიდან ამ შედეგით დაბრუნდებიან, სასაყვედურო არაფერი იქნება. მაქსიმუმს რაც შეეხება, იგი, უკვე მერამდენედ, ალბათ, განუხორციელებელი დარჩება: წინა ოლიმპიადაზე საპრიზო ადგილი ხელის გასაწვდენზე გვქონდა, ამჯერად ბევრად შორს გვრჩება.

ქართველ ქალთათვის კი ოლიმპიადაზე მაქსიმუმი და მინიმუმი არ არსებობს — მათგან ყველა გულშემატკივარი მხოლოდ პირველობას ელის. დამოუკიდებელი ქართული ნაკრების სამგზის ოლიმპიური ჩემპიონობაა ამის საბაბი და თუ ელისტის ოლიმპიადაზე ჩვენების მესამეობა შემთხვევითობას მიეწერა, ამჯერად ნელ-ნელა გვიწევს რეალობასთან შეგუება: ქალთა ჭადრაკში ჩინეთის მზე ამოვიდა. ვგულისხმობთ არა ერთეულ მსოფლიოს ჩემპიონს, არამედ იმ ფართო ფრონტს, რომლითაც ჩინელები საჭადრაკო ექსპანსიას აწარმოებენ. მათმა ნაკრებმა მოიგო ელისტის ოლიმპიადა და ახლა ამტკიცებს, რომ ეს ცალი გაელვება კი არა, მიზანმიმართული მუშაობის ლოგიკური შედეგი იყო. სტამბოლშიც ჩინელები ყველაზე ძლიერნი ჩანან. წუხელ მათ გერმანიას 2:1 მოუგეს და ქართველებთან 2,5 ქულიანი სხვაობა შეინახეს. დარჩენილ ორ ტურში მისი მოსპობა უაღრესად ძნელი საქმეა, თუ შეუძლებელი არა. ალბათ, მეორე ადგილთან შეგუება მოგვიწევს და ღმერთმა ქნას, ჩვენი ეს პროგნოზი მცდარი გამოდგეს.

**გუშინ. XII ტური**

**ვაჟები:** საქართველო — ფილიპინები 3:1
**ქალები:** საქართველო — უნგრეთი 2:1; ჩინეთი — გერმანია 2:1

# იყავ მართალი, ამღვრიე წყალი!

ემზარ ზენაიშვილის რეპორტაჟი იხილეთ მეთოთხმეტე გვერდზე

## უეფას თასი. II ეტაპი.
## საპასუხო მატჩები. 9 ნოემბერი

UEFA CUP

***სლავია (ჩეხეთი)*** 4:1 ოფი (საბერძნეთი) (2:2)
0:1 მუნიოსი (60), 1:1 კუჩარი (62), 2:1, 3:1, 4:1 ზელენკა (70, 78, 89)

მტკ (უნგრეთი) 0:1 ***ნანტი (საფრანგეთი)*** (1:2)
0:1 მონტერუბიო (84)

***რომა (იტალია)*** 1:1 ბოავიშტა (პორტუგალია) (1:0)
1:0 ნაკატა (9), 1:1 ელპიდიოუ სილვა (53)

***შტუტგარტი (გერმანია)*** 3:1 ტიროლი (ავსტრია) (0:1)
1:0 შნაიდერი (7), 2:0, 3:0 განია (18, 45), 3:1 ბრეჩკო (62)

ინტერი (სლოვაკეთი) 1:2 ***ლოკომოტივი (რუსეთი)*** (0:1)
0:1 ჩუგაინოვი (31), 1:1 ჩისოვსკი (47), 1:2 ჯანაშია (69)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, დროზდოვი, ევსეევი, ჩერევჩენკო (ხარლაჩევი 77), ჩუგაინოვი, სარქისიანი, სენნიკოვი, ჯანაშია, ლოსკოვი (მამინოვი 52), ბულიკინი (ლავრიკი 65)
მწვრთნელი: იური სიომინი
3 280 მაყურებელი

გენკი (ბელგია) 2:5 ***ვერდერი (გერმანია)*** (1:4)
0:1 პიზარო (24), 1:1 ტისი (26), 1:2, 1:3 პიზარო (27პ, 44), 2:3 ზოკორა (57), 2:4 შტალტერი (73), 2:5 მაქსიმოვი (80)

***პაოკ (საბერძნეთი)*** 3:0დ.დ. (1:0) უდინეზე (იტალია) (0:1)
1:0, 2:0 კამპსი (72, 102), 3:0 ფრუსოსი (108)

დინამო (ხორვატია) 1:0 ***პარმა (იტალია)*** (0:2)
1:0 შოკოტა (32)
გაძევება: სარტორი (90, პარმა)

ლიბერეცი (ჩეხეთი) 2:3 ***ლივერპული (ინგლისი)*** (0:1)
1:0 შტაინერი (9), 1:1 ბარმბი (32), 1:2 ჰესკი (76), 1:3 ოუენი (82), 2:3 ბრედა (85)

***ფეიენოორდი (ჰოლანდია)*** 1:0 ბაზელი (შვეიცარია) (2:1)
1:0 კალუ (3)

სენტ გალენი (შვეიცარია) 1:1 ***ბრიუგე (ბელგია)*** (1:2)
1:0 ამოა (20), 1:1 მენდოსა (90)

ვიბორგი (დანია) 2:1 ***რაიო ვალეკანო (ესპანეთი)*** (0:1)
1:0 ფერნანდესი (29), 1:1 მიჩელი (77), 2:1 ფერნანდესი (85)
გაძევება: პედერსენი (75, ვიბორგი)

***ალავესი (ესპანეთი)*** 2:2 ლილესტრიომი (ნორვეგია) (3:1)
1:0 მაგნო (1), 1:1 პ. სტრანდი (4), 1:2 სოგარდი (50), 2:2 ეპიტი (70)

აიაქსი (ჰოლანდია) 2:2 ***ლოზანა (შვეიცარია)*** (0:1)
1:0 არველაძე (17), 1:1 მაცონი (38), 1:2 კუცბა (77პ), 2:2 ვან დერ გუნი (78)
აიაქსი: გრიმი, ბერგდოლმო, პასანენი (ვან დერ გუნი 69), კივუ, დე კლერი, ვინტერი, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი, იკედია (ვან დერ მეიდე 69), მახლასი, შ. არველაძე
მწვრთნელი: კო ადრიანსე
40 000 მაყურებელი

სელტიკი (შოტლანდია) 1:2დ.დ. (1:1) ***ბორდო (საფრანგეთი)*** (1:1)
1:0 მორავჩიკი (55), 1:1, 1:2 ლასლანდი (79, 114)

ვიტესი (ჰოლანდია) 1:1 ***ინტერი (იტალია)*** (0:0)
1:0 პეეტერსი (14), 1:1 სიმიჩი (80)

გრაცერი (ავსტრია) 1:0 ***ესპანიოლი (ესპანეთი)*** (0:4)
1:0 ემანი (65)

***კაიზერსლაუტერნი (გერმანია)*** 2:3 ირაკლისი (საბერძნეთი) (3:1)
1:0 ჰ. კოხი (25პ), 2:0 ჯჯორკაეფი (29), 2:1, 2:2 კონსტანტინუ (54, 90), 2:3 ფოფონკა (90)

***სელტა (ესპანეთი)*** 5:3 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) (0:1)
0:1 დრულიჩი (14), 1:1 მაკკარტი (22), 1:2 დრულიჩი (38), 2:2 გუსტავო ლოპესი (49პ), 3:2 მაკკარტი (55), 4:2 გუსტავო ლოპესი (65პ), 5:2 კატანია (69), 5:3 დრულიჩი (90)

***პორტუ (პორტუგალია)*** 3:0 ვისლა (პოლონეთი) (0:0)
1:0, 2:0 ხესუს პენა (4, 61), 3:0 ალენიჩევი (90)



ფეიენოორდი — ბაზელი 1:0. ოლივერ კროიცერი და ერთადერთი გოლის ავტორი ბონავენტურე კალუ





გენკი — ვერდერი 2:5. კლაუდიო პიზარომ (მარჯვნივ) თავისი ჰეთ თრიქით იოჰან ბოსკამპი დაგვიღონა



კაიზერსლაუტერნი — ირაკლისი 2:3. ბერძენმა იეროკლის სტოლტიდისმა იორგენ პეტერსონი (№9) მოცელა





ვიტესი — ინტერი 1:1. მატჩის მე-80 წუთი: აქეთ ტარდელი ხარობს, იქით კუმანი ტირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატიანს სჯერა და ელის

## სასამართლო კი ჯერაც არ დანიშნულა

**ამას** წინათ სატელეფონო საუბრისას „დინამოს“ პრეზიდენტმა მერაბ რატი-ანმა გვითხრა, ყველაფერი რიგზეა, ხუთ დღეში შინ ვიქნები და ყველაფერზე დაწვრილებით მერეღა ვისაუბროთო, თუმც მას მერე ორ კვირაზე მეტი გავიდა და რატიანი კვლავაც ციხეშია.

როგორც იცით, რატიანი სამ თვეზე მეტია, წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. „დინამოს“ პრეზიდენტის ადვოკატის, ზურაბ როსტიაშვილის გარჯას სასურვე-ლი შედეგი არ მოჰყოლია, საოლქო სასამართლომ რატიანის სამთვიანი პატიმ-რობის ვადა ძალაში დატოვა.

ეს დროც გავიდა, წინასწარი გამოძიებაც დასრულდა, მაგრამ არა და არ დაადგა საშველი სასამართლო პროცესის დანიშვნას. „დინამოს“ პრეზიდენტი დარწმუნებული კიძ, რომ სატუსაღოს თავს დააღწევს, მაგრამ, რაოდენ მოულო-დნელიც უნდა იყოს, მის ადვოკატს ზურაბ როსტიაშვილს ამის დიდი იმედი არა აქვს.

ასეა თუ ისე, რატიანი სასამართლო პროცესის მოლოდინშია, რომლის ჩატა-რების ზუსტი თარიღი ჯერაც არ დაუდგენიათ. ის კი ცნობილია, რომ სხდომა უახლოესი ორი კვირის განმავლობაში უნდა ჩატარდეს.

მერაბ რატიანის საქმეს დიდუბის რაიონის სასამართლო განიხილავს და, როგორც გუშინ ჩვენთვის გახდა ცნობილი, პროცესს მოსამართლე სოსო ჩხეიძე წარმართავს.

**ბაათა ქვანტალიანი**



მერაბ რატიანი



ზურაბ როსტიაშვილი

# მერანის იარეში

**ხვალ** ჩემპიონატის მორიგი, მეცა-მეტე ტური იწყება, „მერანის“ თავკა-ცებს კი საფიქრალი მოსძალებიათ. აბა, რა დაამშვიდებს გუნდს, რომელსაც ექ-ვსეულში მოსახვედრად შანსები განა-ხევრებია და კონკურენტებიც ამოსუნ-თქვის საშუალებას არ აძლევენ.

ტრავმებმაც გააწამეს ავჭალელები, ფოთში დაშავებულ მიხეილ ფოცხვე-რიაზე ადრეც მოგახსენეთ, მიშა თურმე ახლა ინტენსიური თერაპიის კურსს გა-დის, თუმც გუნდის ექიმის განცხადე-ბით, მეცამეტე ტურს აუცილებლად გა-მოტოვებს. ის კი არა, ფოცხვერიამ შე-იძლება მომდევნო, „ვიტ ჯორჯიასთან“ გასვლით მატჩშიც ვერ ითამაშოს.

უკრაინელმა ნიკოლაი პოდლესნიმ, რაც საქართველოში ჩამოვიდა, გადაბ-მულად ორი ტურის ჩატარება ვერ მო-ახერხა. მტკივანმა ფეხმა სამი თამაში გამოატოვებინა, იმკურნალა, მწყობრში ჩადგა და 7 ნოემბერს „თბილისთან“ სათასო მატჩშიც მიიღო მონაწილეო-ბა, მაგრამ ისევ დაშავდა. ამჯერად მა-რჯვენა ფეხის კუნთმა უმტყუნა ავჭა-ლელთა მცველს.

რაც „მერანმა“ „დინამოსთან“ დიდი ანგარიშით წააგო, მას მერე სათადარი-გოებშიც არ გამოჩენილა გოჩა გუჯა-ბიძე. ცენტრალური მცველი ჯვარედინ იოგებს შეუწუხებია. გუჯაბიძემ სათა-სო მატჩში მოსინჯა ძალები, მაგრამ მწვრთნელებს ჯერაც არ გადაუწყვე-ტიათ, ათამაშებენ თუ არა გორის „დი-ლასთან“ საშინაო შეხვედრაში.

სხვადასხვა სახის მიკროტრავმები კიდევ 11 ფეხბურთელს აწუხებს და კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, ჯანმრთელი მხოლოდ მეკარეები — აკა-კი დევაძე, რევაზ ნაჭყეპია და ანდრო კოროშინიძე არიან.

**დათო დანელია**

# რა ურჩევნია მამა მსაჯს?

**მართლაც** რომ თავშესაქცევი ამბავია და არა მგონია, ანალოგიური რამ სხვაგან მომხდარიყოს ოფიციალურ დონეზე.

საქმე ის გახლავთ, რომ 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონული ლიგის მატჩი უნდა გაიმართოს „მრეტებსა“ და „ვალენსიას“ შო-რის. რა თქმა უნდა, ორივე გუნდის სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც ცნობილია, მაგრამ ამ მატჩის უჩვეულობა იმაში მდგომარეობს, რომ შეხვედრას მამა და მისი ორი ვაჟიშვილი განსჯის. ოქმშიც ალბათ მსაჯების გრაფაში ლამაზად ჩაწიკწიკდება: ასკაროღლი, ასკაროღლი, ასკაროღლი...

ჩვენში ცნობილმა მსაჯმა გურამ ასკაროღლიმ XII ეროვნული ჩემპიონატის წინ „ვიტ ჯორჯია“ — თსუ-ს ამხანაგური მატჩისას ამოიყენა პირველად გვერდში შვილები. მაშინ უმცროსი ასკაროღლები სანიმუშოდ გაისარჯნენ და მამამაც ომახიანად განაცხადა, ქართულ თემიდას კარგ ცვლას ვუზრდიო. იმ მატჩის შემდეგ ასკაროღლიმ ისიც თქვა, ჩემი სურვილია, შვილებთან ერთად მოვემსა-ხურო უმაღლესი ლიგის ჩემპიონატსო, მაგრამ მის ოცნებას ახდომა არ ეწერა, ცოტა ხანში სფფ-მ ქარელელი არბიტრი უმიზეზოდ შერისხა და ასკაროღლე-ბის დებიუტი ოფიციალურ დონეზე მხოლოდ რეგიონულ ლიგაში შედგება.

**ბაათა ქვანტალიანი**



გურამ ასკაროღლი და ლევან მელქაძე (№15)
„ლოკომოტივ“ — „დინამოს“ შარშანდელი მატჩისას

# მინდა ინსპექტორი ვიყო

**სამსაჯო** საინსპექტორო კომიტეტი, ბუნებრივია, მსა-ჯების გარდა ჩემპიონატის მატჩების დამკვირვებლებს, ანუ ინსპექტორებსაც აერთიანებს. მსაჯების არ იყოს, ინსპექ-ტორებსაც ერთობ საპასუხისმგებლო ფუნქციები აკისრიათ, მათი შესრულება კი ელემენტარულად სამსაჯო კოდექსის (გარკვეულწილად) და ფეხბურთის წესების ცოდნას საჭი-როებს. XII ეროვნული ჩემპიონატის წინ მომავალ ინსპექ-ტორებს კომიტეტის ხელმძღვანელმა ანატოლი მილჩენკომ გამოცდა-ტესტირება ჩაუტარა და მხოლოდ ამის შემდეგ უნთო მათ მწვანე შუქი ეროვნული ჩემპიონატის მატჩები-კენ. თუმც იმ გამოცდების შემდეგ საფეხბურთო წრეში ბევრი ცნობილი პიროვნება განზე დარჩა, ბევრს კი სურვი-ლი გაუღვივა, ინსპექტორი გამხდარიყო. არც ისე დიდი ხანია, რაც ინსპექტორობაზე განაცხადი წარადგინა მწვრთ-ნელთა საბჭოს წევრმა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის თანაშემწემ სერგო კუტივაძემ. მან ტესტირება წარმატებით გაიარა და სავარაუდოდ მალე უმა-ღლესი ლიგის მატჩებზეც გამოჩნდება ახალი სტატუსით. რამდენიმე დღის წინ კი სამსაჯო საინსპექტორო კომიტე-ტში ჩვენში კიდევ ერთი ცნობილი საფეხბურთო მოღვაწე და ვეტერანი ფეხბურთელი ბორის სიჭინავა მივიდა, რი-სთვის, ძნელი მოსახვედრი არ უნდა იყოს.

სიჭინავას უახლოეს მომავალში გამოვცდით და მალე ალბათ ახალ ამპლუას — ინსპექტორობას წარმატებით გაართმევს თავს — გვითხრა ანატოლი მილჩენკომ.

**ბაათა ქვანტალიანი**

# რას იტყვის სალერნიტანა?

**ლატვიური** „სკონტოს“ ხელმძ-ღვანელობას საქმიანი ურთიერთობა აკა-ვშირებს იტალიის სერია B-ს ბინადარ „სალერნიტანასთან“.

იტალიელებსაც ცოტა ხნის წინ პა-რტნიორებისათვის შეუთვლიათ თქვე-ნი კლუბის რამდენიმე ფეხბურთელი გვაახლეთ, გავსინჯავთ და რომელიმე მათგანი თუ მოგვეწონა სარფიან კონ-ტრაქტსაც გავაფორმებთო.

რიგელებსაც უმალ შეუდგენიათ იტა-ლიაში წამსვლელთა სია და, რაღა თქმა უნდა, მასში შესაბამისი რეკომენდაცი-ით ზურაბ მენთეშაშვილიც შეუყვანიათ. მისი ნახვა ყველაზე მეტად გვსურს, უთქვამთ „სალერნიტანას“ წარმომად-გენლებს და არც არის გასაკვირი, რა-დგან მენთეშაშვილმა 11 ოქტომბერს „კუადრა აძურას“ წინააღმდეგ ითამა-შა ანკონაში.

მოკლედ, შეთანხმების თანახმად ზუ-რაბი სამ თანაგუნდელთან ერთან იტა-ლიაში გაემგაზავრდა და ხუთი დღე „სალერნიტანასში“ გაატარა. რა შთაბე-ჭდილება დატოვა მენთეშაშვილმა იტა-ლიელებზე ჩვენთვის უცნობია, ის კი ფა-ქტია, რომ ქართველი ნახევარმცველი რამდენიმე დღის წინ დანარჩენ სკონ-ტოელებთან ერთად რიგაში დაბრუნდა. „სალერნიტანას“ საბოლოო პასუხს რიგელები უახლოეს მოავალში ელიან.

**ბაათა ქვანტალიანი**



გივი დიდავა

# დიდავა დინამოს არჩევს

**გუშინდელ** „სარბიელში“ გაცნო-ბეთ ექსსპარტაკელ ანდრეი ტიხონო-ვისგან შევიწროებული გივი დიდავა ებრაულმა თელ ავივის „მაკაბიმ“ და-ბალლიგელ ბერ შევას „ბეითარში“ რომ გაანათხოვრა.

მაგრამ შესაძლოა ამ ახალ კლუბში თამაშის გაგრძელება ქართველ მცველს არც მოუწიოს, რადგან მას სულაც არ ხიბლავს ისრაელის მეორე ლიგაში თა-მაშის პერსპექტივა და კვლავ საქართ-ველოში დაბრუნება უნდა.

საკუთარ კლუბში დიდავას ხილვის სურვილი კი პირველ რიგში დიდავას ყოფილმა კლუბმა თბილისის „დინამომ“ გამოთქვა. არც ფეხბურთელია წინაა-ღმდეგი — „დინამოს“ თავკაცი რევაზ არველაძე გივი დიდავას მამას გაესა-უბრა და შესაძლოა ამ ფეხბურთელმა მალე საქართველოს ათგზის ჩემპიო-ნის მაისურა დაიბრუნოს.

პრობლემა მხოლოდ ფინანსებს უკა-ვშირდება, მაგრამ რევაზ არველაძე იმე-დოვნებს, რომ ამ მხრივ ყველაფერი მოგვარდება.

საინტერესოა ერთი ფაქტორიც, რო-გორ მოახერხებს საერთაშორისო ტრან-სფერებზე ყადაღადადებული „დინამო“ ებრაულ კლუბში გაყიდული მცველის დაბრუნებას.

**ბაათა ქვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიჭიერი, დამჯერი, იმედისმომცემი...

**20 წლის** მეკარეს ბევრსაც ვერაფერს მოსთხოვ. არასაკმარისი გამოცდილება, ზედმეტი ფსიქოლოგიური ტვირთი, თავისებური შიში და ასე შემდეგ, კიდევ მრავალი ფაქტორი მოქმედებს ახალბედაზე.

რა თქმა უნდა, არიან გამონაკლისებიც. აგერ, მადრიდის „რეალის" 19 წლის გოლკიპერი იკერ კასილიასი. ერთი შანსი მიეცა და უმალ გამოიყენა. დღეს ბევრი გამოცდილი მეკარე დაჰნატრის კასილიასის ბედს.

„რეალს" ილგნერი დაემტვრა და მწვრთნელმა ტოშაკმა კარში ბიჭარი ჩააყენა. ამან ორიოდ მატჩში იმდენი სისულელეების ჩადენა მოასწრო, რომ ესპანეთის ჩემპიონატს თავზე გადაუვიდოდა. კლუბს სხვა არჩევანი არა ჰქონია, კასილიასი ჩადგა კარში. შეიძლება ითქვას, კარიერა და ცხოვრება აიწყო სრულიად ახალგაზრდა მეკარემ.

კასილიასობამდე ბევრი აკლიათ ქართველ მეკარეებს, მაგრამ მისებრ გამოუცდელი, პირდაპირ სერიოზულ მატჩში რომ გამოსულა სათამაშოდ, ჩვენც მოგვეპოვება ეროვნულ ჩემპიონატში.

მისი ბედი ესპანელი კოლეგის ბედისგან განსხვავებულია. „რეალს" სხვა არჩევანი აღარ ჰქონდაო, ვთქვით. ის კი გუნის ძირითად მეკარეზე ძლიერი იყო და მაინც არ ათამაშებდნენ. მხოლოდ რამდენიმე მატჩი უწყალობეს სამადლოდ.

სხვა გუნდში უნდოდა გადასვლა, მთხოვნელიც არაერთი ჰყავდა, მაგრამ კლუბის ახალმა თავკაცებმა მისი დაკავება შეძლეს. მოეფერნენ, დაუყვავეს, დაარწმუნეს, რომ უთამაშებელი არ დარჩებოდა. თანდაყოლილმა ნიჭმაც გზა გაიკვლია და ახლა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. დღეს თბილისური „ვიტ ჯორჯიას" მეკარე მირზა მერლანზე ვისაუბრებთ.

თსუ მეთერთმეტე ეროვნულისთვის ემზადებოდა. წინა სეზონში გავარდნას გადარჩენილი გუნდი თავიდან იწყებდა ჩამოყალიბებას. სტუდენტთა მაშინდელი მწვრთნელის, კოტე დოლიძის ხელმძღვანელობით ბევრი ფეხბურთელი ვარჯიშობდა, მათ შორის რამდენიმე მეკარე.

— ყველა მეკარის დათხოვნა მოგვიწევს, კარის დარაჯი უკვე გვყავს. პირველი გოლკიპერი მერლანი იქნება — ჩაილაპარაკა კლუბის ერთ-ერთმა თავკაცმა.

— კი, მაგრამ... — შეპასუხება გადაწყვიტა მეორემ.

— არა, დარწმუნებული ვარ, მერლანი გაამართლებს. ტყუილად არავინ შემეკამათოს, აზრს ვერაფერი შემაცვლევინებს — მყარად იდგა თავის პოზიციაზე ის კაცი.

მერლანმა გაამართლა. თსუ ისევ უძლიერესთა შორის დარჩა და ამაში ლომის წილი მირზამ დაიდო. „ვიტ ჯორჯიას" თავკაცებს მანამდეც თვალში მოსდიოდათ ეს ბიჭი, ჰოდა, წრეებს შორის შესვენებისას შეკრებაზეც იახლეს მერლანი. თითქოს მისი გავეტერინარებაც გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მაშინ ვიტელებმა თავი შეიკავეს. „ვიტ ჯორჯიას" ორივე მეკარე ჭურაძე და მამარდაშვილი ჩინებულ ფორმაში იყვნენ. კონკურენციამ არ დაჩაგროსო, ისევ თსუ-ს მიახმარეს რჩეული.

ჩემპიონატი დამთავრდა. „ვიტ ჯორჯიამ" ვერცხლით დაიმშვენა მწვანე მაისურა და უეფას თასის თამაშებისთვის მოსამზადებლად გერმანიას მიაშურა. კლუბმა მერლანიც თან იახლა. მეკარემ ამხანაგურ მატჩებში თავი გამოიჩინა და...

„ბეითარმა" თბილისში საქმე დაგვმართა, ნუ იკითხავთ. სამი უპასუხო გოლი გაგვიტანეს ებრაელებმა, მაგრამ ვერც ერთის გაშვებაში ვერ დაადანაშაულებდი მერლანს. გასვლით მატჩში ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მაინც ყოჩაღად იდგა.

მეთორმეტე ეროვნულის დაწყებიდან მირზა „ვიტ ჯორჯიას" ძირითადი მეკრაეა. კონკურენტი ორი ჰყავს, მაგრამ ჯერჯერობით უშეცდომოა. თამაშობს სტაბილურად, აუღელვებლად და რთულ ბურთებსაც ხშირად იგერიებს.

მერლანი მაინც იშვიათად ხვდება სარბიელისეულ სიმბოლურ ნაკრებში და ამაში დამნაშავენი არც ჩვენ ვართ და არც ის, არამედ მისი კოლეგები არიან. ბრწყინვალედ ითამაშა მირზამ ქუთაისში, მაგრამ იმავე ტურში თსუ-ს მეკარე მამარდაშვილმა თითქმის მარტომ წამოიღო სამი ქულა ბოლნისიდან და პირველობაც მას ერგო. აკაკი დევაძე ყოველ მეორე ტურში სასწაულებს სჩადის და...

იმედისმომცემი მეკარის პირველი სერიოზული გამოცდა „ეროვნულზე" ჩატარდა. თსუ — „ლარწყალის" პრინციპული მატჩი, სტუდენტთა ყოფნაარყოფნის საკითხი წყდებოდა. მერლანმა გამოცდა ჩააბარა, უშეცდომო იყო. სწორედ მაშინ დაადგა თვალი „ვიტ ჯორჯიას" თავკაცმა.

...ტანმაღალია, 189 სანტიმეტრი. სხარტია, რეაქცია არ დაეწუნება. პოზიციის სწორად შერჩევის უნარი გამოარჩევს. თამაშის დროს მაქსიმალურად კონცენტრირებულია. სტაბილური გახლავთ და ჩავარდნები ნაკლებად ახასიათებს. აუღელვებელი და საიმედოა. თანაგუნდელები მასთან ერთად მშვიდად გრძნობენ თავს.

კარგად თამაშობს ხაზზე, მაგრამ მისი ყველაზე დიდი კოზირი გამოსვლებზე თამაშია. მასავით თამამად თითქმის ვერავინ ერთვება საჰაერო ორთაბრძოლებში.

მეგობრული ბიჭია, იუმორის გრძნობით დაჯილდოვებული, ასე ახასიათებენ თანაგუნდელები. მწვრთნელების დახასიათება ასეთია: პატიოსანი კაცია, მშრომელი. მითითებებს ითვალისწინებს, დამჯერია, თუმც ყველა შენიშვნაზე თავისი აზრიც გააჩნიაო.

მერლანმა „ვიტ ჯორჯიასთან" ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ახალი ავტომანქანაც სულ ახლახან შეიძინა. საქართველოში ერთ-ერთი წელგამართული კლუბის მეკარეა. ნორმალურ პირობებში თამაშობს და ვარჯიშობს. ხელფას-პრემია სახვეწარი არა აქვს, თავისი ნაშრომით ინახავს თავს და ოჯახსაც ეხმარება. გიორგი ლომაიასა და დავით ხმელიძესთან ერთად ახალგაზრდული ნაკრების მეკარეა. სპეციალისტები წარმატებულ კარიერას უწინასწარმეტყველებენ.

მეტი რა უნდა ინატროს ახალგაზრდა კაცმა? ბევრიც არაფერი, დაოსტატება, დალვინება და ნორმალური უცხოური კლუბი. ნიჭიერება არ აკლია, დანარჩენი კი თავად მირზაზეა დამოკიდებული. თუ არ დაიზარა, საწადელსაც აისრულებს.

**მამუკა კვანტალიანი**



გურამ ლომჯარიაშვილის ფოტო

მირზა მერლანი



ცეზარ ხუროძე (№10)

# ძოძუაშვილის როტაციიდან ხუროძემ თავი ამოიგდო

**ლიდერის** უახლოესი მდევარი მეთორმეტე ეროვნულში თბილისის „ლოკომოტივია", მაგრამ თავისი წვრილ-წვრილი პრობლემები მაინც აწუხებს. ძი... ბაშია გუნდის დამრიგებელი რევაზ ძოძუაშვილი — თავდასხმის ხაზში ვერა ... ვერ შეარჩია სტაბილური ტანდემი.

ბორის გონჩაროვი, გიორგი შენგელია, მერაბ ძოძუაშვილი, მამუკა რუსი... სულიკო დავითაშვილი...

მწვრთნელის განკარგულებაში რამდენიმე ისეთი ფორვარდია, რომელთა... სიტყვა ნაღდად ეთქმით ჩვენს ჩემპიონატში. გუნდის ამ რგოლში, შეიძლე... ითქვას, რომ ყველაზე მწვავე კონკურენციაა.

რევაზ ძოძუაშვილიც ყველას აძლევს თავის გამოჩენის შანსს, რაც ცოტა ა... იყოს საყოველთაოდ ცნობილ ჰიტცფელდისეულ როტაციის პრინციპსაც მოგვ... გონებს, მაგრამ უკვე რამდენიმე ტურია, „ლოკომოტივის" ერთი ფორვარ... აღარც მინდორზე გვინახავს და არც სათადარიგოთა სკამზე.

ცეზარ ხუროძეს ჯერ კიდევ სლოვაკურ ბრატისლავის „სლოვანთან" მატჩი... სთვის აწუხებდა მარჯვენა მუხლი, მაგრამ ამას დიდად არ დაგიდევდათ, გუ... საბრძოლველად მიუწევდა. ასე გრძელდებოდა თითქმის ორი თვე და „ლოკომო... ტივის" ფორვარდსაც ტრავმა კიდევ უფრო გაუმიზეზდა.

— ხუროძემ დაგვიმალა, რომ დაშავებული იყო, რის გამოც მდგომარეობ... გაურთულდა და ახლა საფუძვლიანად მკურნალობს — გვითხრა რევაზ ძოძ... აშვილმა.

ცეზარ ხუროძეს, რომლის „ლოკომოტივი" უახლოეს, მეცამეტე ტურში რუს... თავში "გორდას" სტუმრობს, კიდევ რამდენიმე მატჩის გამოტოვება მოუწევს...

**დავით თავართქილაძ...**

ჩვენი მეტოქეები

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# ლადისლაუ ბოლონი: შინაურს შენდობა აქვს

**რუმინეთის** ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლადისლაუ ბოლონის თქმით, საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელებს „კარპატების თასზე" იუგოსლავიასთან მომავალი კვირის მატჩში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლებათ.

— ესპანური „ვალენსიას" თავდამსხმელი ადრიან ილიე და გერმანული „ვოლფსბურგის" ნახევარმცველი დორინელ მუნტიანუ ჯერაც ვერ გამოჯანმრთელდნენ, ფრანგული „ნანტის" თავდამსხმელ ვიორელ მოლდოვანს კი საფრანგეთში მუშაობის უფლების გასაგრძელებლად სამედიცინო შემოწმება აქვს გასავლელი — თქვა ბოლონიმ.

რუმინელთა თავკაცმა ჯერ კიდევ წინა კვირაში განაცხადა, რომ არ გამოიძახებს ინგლისურ პრემიერლიგაში მოთამაშე „ბრედფორდის" ნახევარმცველ დან პეტრესკუს.

— პეტრესკუ ფორმაში არაა, ამიტომაც გადავწყვიტე სხვა ფეხბურთელები გამომეცადა — დასძინა ბოლონიმ, რომელმაც ნაკრებში ეროვნული ჩემპიონატიდან უხმო ისეთ ექვს ფეხბურთელს, რომელთაგან ხუთი სულაც დებიუტანტია. ის ერთი კი მოულოდნელად გამოძახებული ვეტერანი მცველი დანიელ პროდანია, რომელიც შოტლანდიურ „რეინჯერს" ბუქარესტის „როკარში" ჰყავს განათხოვრებული.

რუმინელთა თავკაცი დამდეგ უქმეებ... თვალში მოსული სხვა ფეხბურთელე... ბის მიწვევასაც აპირებს შინაური კლუ... ბებიდან. მანამდე კი ქართველთა საოც... დარვამარტო მეტოქის სრული შემადგე... ნლობა ასეთია:

მეკარეები: ბოგდან სტელია (სალამა... ნკა, ესპანეთი), ბოგდან ლობონტი (აია... ქსი, ჰოლანდია);

მცველები: კოზმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), ფლორენტინ დუმიტრუ (სტეაუა, ბუქარესტი), ლივიუ ჩობოტარიუ (ანდერლეხტი, ბელგია), ადრიან იენჩი (რაპიდი, ბუქარესტი), დანიელ პროდანი (როკარი, ბუქარესტი), იულიან ფილიპესკუ (ბეტისი, ესპანეთი), კრისტიან კივუ (აიაქსი, ჰოლანდია);

ნახევარმცველები: კონსტანტინ გა... ლკა (ესპანიოლი, ესპანეთი), ლაურენ... ტიუ როსუ (ნუმანსია, ესპანეთი), დენი... სერბანი (ელჩე, ესპანეთი), ალინ სტოია... (ანდერლეხტი, ბელგია), პაულ კოდრეა (არჯეში, პიტეშტი), კატალინ მუნტიანუ (სალამანკა, ესპანეთი);

თავდამსხმელები: ადრიან მუტუ (ვე... რონა, იტალია), მარიუს ნიკულაე (დინამო, ბუქარესტი), კლაუდიუ ნიკულესკუ, კოზმინ ბარკაუანი (ორივე უნივერსიტატეა, კრაიოვა).

**ვახტანგ ჭუიძე**

# სტივმა სტილი თბილისში დაპატიჟა


ზურაბ ხიზანიშვილი

**ჯერაც** ლოკომოტიველი ზურაბ ხიზანიშვილის მოლოდინი გრძელდება. შეგახსენებთ, ხიზანიშვილს ბოლო წამს დამაბრკოლებელი გარემოება გამოუჩნდა ლონდონის „არსენალთან“ კონტრაქტის გაფორმებაში და ქართველი ფეხბურთელიც შინ დაბრუნდა. ინგლისელებმა კი სიტყვა გამოაყოლეს, ჩვენი წარმომადგენელი საქართველოში ჩამოვა, ეროვნული ჩემპიონატის მატჩში დაგაკვირდება და ყველაფერი მაშინ გადაწყდებაო.

„არსენალის“ მთავარი სკაუტი სტივ როული 11 ნოემბერს უნდა ჩამოსულიყო თბილისში და ხიზანიშვილი საქმეში რუსთავში, „გორდა“ — „ლოკომოტივის“ მატჩისას ენახა, მაგრამ მისი ვიზიტი ერთი კვირით გადაიდო და ლონდონელიც საქართველოს ნაკრების ნიჭიერ მცველს თბილისში „ეროვნულზე“ დააკვირდება, „ლოკომოტივ“ — თსუ-ს 18 ნოემბრის შეხვედრაში.

მანამდე კი სატელეფონო საუბარი შედგა სტივ როულსა და ზურაბ ხიზანიშვილის მენეჯერ ათოლ სტილს შორის. ამის შესახებ გუშინ თავად ზურაბმა გვითხრა:

— ცოტა ხნის წინ ათოლ სტილმა დამირეკა, მითხრა, რომ სტივ როულს ესაუბრა. მას ჩემი აგენტისთვის შეუთავაზებია, თბილისში ერთად წავიდეთო. ჩამოვა თუ არა სტილი თბილისში, ვერაფერს გეტყვით, ამ მხრივ ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი, ის კი ცხადია, რომ როული აქ იქნება და ეგებ ბოლოს და ბოლოს ჩემი საკითხიც საბოლოოდ გაირკვეს.

რაკი არსენ ვენგერის ნდობით აღჭურვილ „არსენალის“ სკაუტთა თავკაცს სტივ როულს თბილისში ჩამოსვლა ზურაბ ხიზანიშვილის აგენტ ათოლ სტილთან ერთად სურს, გამორიცხული არაა, 19 წლის ქართველი მცველის ტრანსფერი მეტად აღარ შეყოვნდეს და თანაც აქვე, თბილისში განხორციელდეს.

**ბაატა ძგანტალიანი**

# ვინ გაიტანს მესამე იბერიულს?

**რამდენიმე** დღეა, რაც ვარჯიშს შეუდგა სამტრედიის „იბერიას“ თავდამსხმელი ალექსანდრე კაკაშვილი, რომელიც ჩვენში უფრო აწ ასკ-ად ქცეულ „არსენალში“ თამაშითაა ცნობილი.

კაკაშვილი „იბერიაში“ მას შემდეგ მოხვდა, რაც ლამის დაშლილი „არსენალიდან“ თბილისის „ლოკომოტივში“ გადაბარგდა, მაგრამ საზაფხულო შეკრებაგავლილს იქ დარჩენაში ტრავმამ შეუშალა ხელი.

— ზაფხულში დარბაზში გამართული მინი ფეხბურთის ერთ-ერთი ტურნირისას დავშავდი და რაკი ვარჯიში მაინც გავაგრძელე, ტრავმა გამირთულდა. ჯვარედინი იოგების ანთება აღმოაჩნდა და „იბერიას“ შემადგენლობაში „მერანთან“ პირველი თამაშისასვე შემახსენა მოუშუშებელმა მუხლმა თავი.

მას შემდეგ ვმკურნალობდი და „იბერიას“, ვერაფრით ვეხმარებოდი.

სამტრედიელთა პრეზიდენტმა ნუგზარ ნიკოლაიშვილმა დანაპირები პირნათლად შემისრულა და არც გასაჭირში მივუტოვებივარ.

ამ დღეებში ვარჯიში დარბაზში განვაახლე და ერთ კვირაში, ათ დღეში გუნდსაც შევუერთდები.

კაკაშვილის დაბრუნება უეჭველად უნდა წაადგეს 12 მატჩში ორადორი გოლის გამტან აუტსაიდერ „იბერიას“, რომელიც ერთადერთი ქულის პატრონია და აქედანვე ცხადია, ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევს გარჯა.

ექსარმიელ თავდამსხმელს „იბერიასთან“ დიდი ხნით დაკავშირება გეგმაში არ ჰქონია — ნუგზარ ნიკოლაიშვილის კავშირებით ერთ-ერთ უკრაინულ კლუბში გადასვლას იმედოვნებდა, მაგრამ ახლა ტრავმამოშუშებული ალბათ სეზონის ბოლომდე დარჩება სამტრედიულ კლუბში. ვნახოთ, მალე ჩაუდგება თუ არა კაკაშვილი იბერიელ მეგოლეებს ოდიკაძეს და მუმლაძეს კვალში.

**ვანო ოქროპირიძე**

# იყო შაშვი მგალობელი...

**ვესტერნში** რომ კეთილი შერიფი გამოჩნდება, თქმა არ უნდა, ფილმის ბოლო ჰეფი ენდია.

მაგრამ ასეა ამერიკულ კინემატოგრაფში და რა იქნება მოლდოვურ ფეხბურთში, ეს კიდევ საკითხავია.

გუშინ ამ დნესტრისპირული ქვეყნის თასის მეოთხედფინალის წილისყრა შედგა, რომელმაც დავით მუჯირის და ვაჟა თარხნიშვილის ტირასპოლური „შერიფი“ ქვედალიგელ, პროვინციული კამენკას „ჰეფი ენდს“ შეახვედრა.

კამენკელებმა მერვედფინალში კიშინიოვის „აგრო“ 1:1, 1:0, დაამარცხეს და კიშინიოვისვე „უნივერსიტატეას“ 4:1, 3:0 მძლეველ „შერიფთან“ თამაშის უფლება ისე მოიპოვეს.

მეოთხედფინალშია ლადო ახალაიას და ლევან გვაზავას კიშინიოვის „ზიმბრუც“, რომელმაც 3:2, 2:0 თანაქალაქელ „უნისპორტს“ სძლია და ახლა ბალტის „ოლიმპიას“ შეხვდება.

ვისთვის დამთავრდება ბედნიერად „შერიფ“ — „ჰეფი ენდის“ შეხვედრა, ღმერთმა უწყის. ჩვენთვის მთავარი ისაა, ქართველებმა მოლდოველ ნათლიებთან გაჯიბრება არ მოინდომონ, თორემ მერე ნახეთ. გაგიკვირდებათ, „ტყის მჭრელისა“ და „ქატო იქა, ფქვილი აქას“ წყვილი რომ გამოცხვეს? ან ამაზე რას იტყვით: „შსს აკადემია“ — „იყო და არა იყო რა“?..

**ვახტანგ ჭიჭაძე**

# სამეზობლოდან ბედუინების ქვეყანაში


ლევან სილაგაძე (№2) და ბადრი კვარაცხელია აზერბაიჯან — საქართველოს ამხანაგური მატჩისას

**აზერბაიჯანის** ნაკრებისა და „შამქირის“ საუკეთესო თავდამსხმელი ბადრი კვარაცხელია ამ დღეებში დუბაიში იმყოფებოდა, სადაც საამიროების კლუბ „ქალჩერს სპორტის“ მწვრთნელებს საქმეში ეჩვენა.

ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგების თქმით, არაბებს ბადრი ძალიან მოსწონებიათ და დღე-დღეზე კონტრაქტსაც გაუფორმებენ.

34 წლის ბადრი კვარაცხელია ჩვენი მეზობელი ქვეყნის მოქალაქეა და აზერბაიჯანის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებიც ჩაატარა.

კვარაცხელიას თავის დროზე წალენჯიხის „სქურში“, თბილისის „დინამოში“, თელავის „კახეთში“, რუსთავის „გორდაში“, თბილისის „მერანში“ და განჯის „ქიაფაზში“ უთამაშია. ბოლოხანს კი აზერბაიჯანის ჩემპიონ „შამქირის“ გამოკვეთილი ლიდერია და ქვეყნის ჩემპიონატის თითქმის ყოველ ტურში გოლი გოლზე გააქვს, რითაც იქაურებს თავი ერთობ შეაყვარა.

თუნდაც წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპი გავიხსენოთ, როცა მისმა ჰეთ თრიქმა „შამქირს“ რიგის „სკონტოსთან“ 4:1 მოაგებინა და აზერბაიჯანელებს პირველად დააძლევინა ევროთასების პირველი ეტაპი.

აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოლო ტურში, რომელიც გასულ უქმეებზე გაიმართა, მეორე ადგილზე მყოფმა, უკვარაცხელიო „შამქირმა“ შინ საეჭვო პენალტით ძლივს მოუგო საშუალო „თურანს“, სადაც კიდევ სამი ქართველი: ძმები ვალერი და გია კილასონიები და ჯაბა წიკლაური თამაშობენ.

აი, რას წერენ აზერბაიჯანელები: „ბადრის წასვლა „შამქირს“ უცებ დაეტყო. ცხადია, რომ მამედოვ-სულეიმანოვის წყვილი გაცილებით სუსტია კვარაცხელია-კულიკოვისაზე. არცთუ ძლიერი დაცვის პატრონ „თურანთან“ „შამქირმა“ ვერაფერი მოახერხა.

ვფიქრობთ, ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ კვარაცხელია „შამქირისთვის“ დიდი ძალა იყო.

**სოლომონ გულისაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი
რეგიონული ლიგა
პირველი წრე

## 7-8 ტური

### დასავლეთი

VII ტური

კოლხეთი 2 0:0 მერცხალი
გურია 2 2:4 ლაზიკა
ბათუმი 2 3:0 სამეგრელო
სალხინო 0:1 სქური
ინტერი 2:0 დინამო სოხუმი
სულორი 3:2 მზიური

VIII ტური

მერცხალი 0:3 მზიური
დინამო სოხუმი 5:0 სულორი
სქური 5:0 ინტერი
სამეგრელო 1:1 სალხინო
ლაზიკა 3:0 ბათუმი 2
კოლხეთი 2 6:1 გურია 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზიური | 8 | 7 | 0 | 1 | 25:10 | 21 |
| სქური | 8 | 6 | 1 | 1 | 21:6 | 19 |
| ლაზიკა | 8 | 6 | 1 | 1 | 27:15 | 19 |
| კოლხეთი 2 | 8 | 4 | 1 | 3 | 16:9 | 13 |
| ინტერი | 8 | 3 | 2 | 3 | 19:10 | 11 |
| დინამო 2 სოხუმი | 8 | 2 | 3 | 3 | 13:13 | 9 |
| მერცხალი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:11 | 9 |
| ბათუმი 2 | 8 | 2 | 2 | 4 | 12:14 | 8 |
| სამეგრელო | 8 | 2 | 2 | 4 | 7:15 | 8 |
| სულორი | 8 | 2 | 0 | 6 | 9:36 | 6 |
| სალხინო | 8 | 1 | 3 | 4 | 13:17 | 6 |
| გურია 2 | 8 | 1 | 2 | 5 | 12:27 | 5 |

### ცენტრალური

VII ტური

სამგორი 3:0 ასკ
ასკ-ს ჩაეთვალა წაგება

VII ტური

დინამო 2 4:0 ვარძია
ამირანი 0:2 მრეტები
საბურთალო 0:5 ვიტ ჯორჯია 2
ოლიმპიკი 0:1 ვალენსია 83
დილა 2 0:3 საიბერია

VIII ტური

ვარძია 1:0 ოლიმპიკი
მესხეთი 3:0 დილა 2
საიბერია 0:4 დინამო 2
მრეტები 2:0 საბურთალო
ვალენსია 83 0:2 ამირანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 7 | 6 | 0 | 1 | 16:9 | 18 |
| დინამო 2 | 8 | 5 | 1 | 2 | 23:9 | 16 |
| მრეტები | 8 | 4 | 1 | 3 | 7:6 | 13 |
| ს.ა.იბერია | 7 | 3 | 3 | 1 | 15:9 | 12 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 7 | 3 | 2 | 2 | 19:7 | 11 |
| ვალენსია 83 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 11 |
| მესხეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 6:11 | 10 |
| ოლიმპიკი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:7 | 9 |
| ვარძია | 7 | 1 | 2 | 4 | 1:8 | 5 |
| დილა 2 | 8 | 0 | 4 | 4 | 6:19 | 4 |
| საბურთალო | 7 | 0 | 2 | 5 | 4:23 | 2 |

### აღმოსავლეთი

VII ტური

აკადემია 6:2 სამგორი
ლოკომოტივი 3 2:0 ჭაბუკიანი
კავკასიონი 4:1 ზოოვეტი
თბილისი 2 1:1 ალაზანი
ხალიბი 0:0 ცხუმი

VIII ტური

ჭაბუკიანი 7:1 კავკასიონი
ალაზანი 4:0 ხალიბი
ზოოვეტი 3:0 თბილისი 2
სამგორი 1:5 ლოკომოტივი 3
ასკ 0:4 აკადემია

IV ტურის
გამოტოვებული მატჩები

ასკ 1:3 ჭაბუკიანი
ცხუმი 2:0 თბილისი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 3 | 7 | 6 | 1 | 0 | 18:3 | 19 |
| აკადემია | 8 | 5 | 2 | 1 | 16:6 | 17 |
| ჭაბუკიანი | 7 | 5 | 0 | 2 | 21:8 | 15 |
| ალაზანი | 8 | 4 | 1 | 3 | 20:14 | 13 |
| ცხუმი | 7 | 3 | 1 | 3 | 5:4 | 10 |
| ზოოვეტი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:11 | 8 |
| ხალიბი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:8 | 8 |
| სამგორი | 7 | 2 | 1 | 4 | 9:16 | 7 |
| თბილისი 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:10 | 5 |
| ასკ | 7 | 1 | 0 | 6 | 7:20 | 3 |
| კავკასიონი | 7 | 1 | 0 | 6 | 8:25 | 3 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. E ჯგუფი


REUTERS ჰამბურგიდან

ჰამბურგი — დეპორტივო 1:1. მასპინძელი მარინოს ბესტერის შეტევა (№2) ამჯერად მეკარე ფრანსისკო მოლინამ მოიგერია

### პანათინაიკოსი 3:1 იუვენტუსი

**1:0 პაულუ სოუზა (6), 1:1 ინძაგი (23), 2:1 ბასინასი (58პ), 3:1 ვარჟიხა (66)**
**პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, ვოკოლოსი, სარიჩი, ფისასი, პაულუ სოუზა (გალეტო 46), გუმასი, კარაგუნისი (სიპნიევსკი 81), ბასინასი, ლიბეროპულოსი, ვარჟიხა (ვლაოვიჩი 72)**
**მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი**
**იუვენტუსი: ვან დერ სარი (რამპულა 56), ფერარა, ძანკი, იულიანო, პესოტო, კონტე, ტაკინარდი, ონილი (ბირინდელი 59), დელ პიერო, ფ. ინძაგი (ტრეზეგე 62), კოვაჩევიჩი**
**მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი**
**გაძევება: ვან დერ სარი (55), კოვაჩევიჩი (71)**
**მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)**
**67 000 მაყურებელი**

**„ეს** ყველაზე დიდი მატჩი იყო ჩემს ცხოვრებაში. მშვენიერი გუნდი გვყავს. ექვსივე მატჩში დავამტკიცეთ, რომ ჯგუფის არც ერთი გუნდი არ გვჯობდა" — აღფრთოვანებული ლაპარაკობდა მატჩის შემდეგ „პანათინაიკოსის" მწვრთნელი ანგელოს ანასტასიადისი.

უფრთხილდით „პანათინაიკოსს"! ეს სიტყვები ბოლო დროს არაერთი მწვრთნელისგან გაგვიგია. „მწვანეებს" იღბლიანი შემოდგომა დაუდგათ. ერთი შეხედვით, თითქოს რაღაც აკლიათო, მაგრამ ბოლოს მაინც აფეთქდნენ. აფეთქდნენ და სენსაციაც გამოაცხვეს — მრისხანე „იუვენტუსი" ისე გაალამტვერეს, ლიგა კი არა, უეფას თასზე თამაშიც სანატრელი გაუხადეს.

ოთხშაბათი საღამო ბერძნებისთვის გამორჩეული იყო. ტელერეპორტაჟიდან კარგად ჩანდა, როგორი სახეები ჰქონდათ „პანათინაიკოსის" მწვრთნელებს ვარჟიხას ვლაოვიჩით შეცვლისას. ჯერ ხომ პოლონელს სათითაოდ დაურტყეს ხელი, კარგი თამაშისთვის მადლობა გადაუხადეს. მერე გაირინდნენ, თანაც სახეზე რაღაც უზომო ბედნიერების მოახლოების მოლოდინი ეწერათ. ცხადი იყო, საფინალო სასტვენს მათი არაადამიანური სიხარული და როკვა მოჰყვებოდა. ასეც მოხდა.

მასპინძლებმა თავიდანვე დიდი ძალებით შეუტიეს და დასაწყისშივე ეფექტური გოლით დაწინაურდნენ — ყოფილმა იუვენტუსელმა პაულუ სოუზამ აუღებელი საჯარიმო დაურტყა ვან დერ სარს. მართალია, ტაიმის შუაში ფილიპო ინძაგიმ გაათანაბრა, მაგრამ ნათლად ჩანდა: „ბებერი ქალბატონი" „მწვანეების" გამჩერებელი არ იყო.

„იუვეს" კი, ჩანს, თავქეიფა ბიჭები მომრავლებია. აგერ, ორი კვირის წინ, „ჰამბურგთან" მატჩში ზიდანი და დავიდსი გაუძევეს — ამიტომაც ვერ ვიხილეთ ეს წყვილი ათენში — ოთხშაბათს მათ არც ვან დერ სარ-კოვაჩევიჩი ჩამორჩნენ და კარლო ანჩელოტის გუნდმა ზედიზედ მეორე სალიგო ბრძოლა ცხრა კაცით ჩაამთავრა. განა შეიძლება ასეთ მდგომარეობაში წარმატებაზე ფიქრი?

მეორე ტაიმი ათი წუთის დაწყებული იყო, როცა ვან დერ სარმა საჯარიმოში შეჭრილი ლიბეროპულოსი წააქცია, წითელი ბარათიც მიიღო და პენალტიც „აიკიდა". ბასინასმა კი ჰოლანდიელის ნაცვლად კარში ჩამდგარ მიქელანჯელო რამპულას უპრობლემოდ გაუტანა.

დამთავრებამდე ცხრამეტი წუთით ადრე მეორე ყვითელის გამო მინდორი კოვაჩევიჩმაც დატოვა. ამ დროს „იუვე" უკვე 1:3 აგებდა — ლიბეროპულოსის ნაჯაფი პოლონელმა ვარჟიხამ წყალში არ ჩაყარა და იტალიელებს მესამე გაუტანა.

„პანათინაიკოსს" კიდევ მიეცა ციფრობრივი შესატყვისობის გაზრდის შანსი, მაგრამ იმავე ლიბეროპულოსსა და ვლაოვიჩს ცოტა დააკლდათ.

ამგვარად დაემხო „იუვე". უკვე მეორე სეზონია, ტურინელები ევროსარბიელს სამარცხვინოდ ტოვებენ: ამ გაზაფხულზე უეფას თასის მეოთხედფინალში ესპანურ „სელტასთან" 0:4 განადგურდნენ, ახლა კი ჯგუფში ბოლო, მეოთხე ადგილი დაიკავეს.

### ჰამბურგი 1:1 დეპორტივო

**1:0 მაჰდავიკია (10), 1:1 მაკაი (58)**
**ჰამბურგი: ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, კინცი (კეტელაერი 66), ტოფტინგი, ჰოლერბახი, ბარბარესი, ნ. კოვაჩი (ჰერჩი 17), მაჰდავიკია, იებოა (ბესტერი 55), პრეგერი**
**მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი**
**დეპორტივო: მოლინა, სეზარი, ჰელდერი, მანუელ პაბლო, კაპდევილა, ემერსონი (რამისი 76), დონატო (სეზარ სამპაიო 46), სკალონი, ვალერონი, ფერნანდო, პანდიანი (მაკაი 46)**
**მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა**
**მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)**
**48 500 მაყურებელი**

**„გამარჯვება** კარგი იქნებოდა, მაგრამ მთავარია, რომ ევროთასებს შემოვრჩით" — „ჰამბურგის" მწვრთნელის ფრანკ პაგელსდორფის ეს სიტყვები მისი გუნდის ამბიციის საზომია. მეორე ეტაპზე უკვე გასულ ლა კორუნიის „დეპორტივოსთან" რომ მოეგოთ, ხოლო ათენში მატჩი ფრედ დამთავრებულიყო, „ჰამბურგი" „პანათინაიკოსის" ადგილს დაიკავებდა და ლიგაში თამაშს გააგრძელებდა, მაგრამ ეს ვარიანტი არ გამართლდა.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა უამრავი პრობლემა შეუქმნეს გალისიელებს. დასაწყისშივე ნიკო კოვაჩმა ჩინებული პასი მისცა ირანელ მეჰდი მაჰდავიკიას და ანგარიშიც გაიხსნა. ამან ჰამბურგელებს ფრთები შეასხა და ზეწოლა უფრო გააძლიერეს, მაგრამ მალევე კოვაჩი დაუშავდათ და მათ შეტევებს სიმწყობრე მოაკლდა.

შეიძლება ითქვას, „ჰამბურგი" 35 წუთს მეორე ეტაპზე იყო. ანუ მას შემდეგ, რაც ათენში ინძაგიმ გაათანაბრა. მაგრამ მეორე ტაიმის მე-13 წუთზე შეცვლაზე შესულმა „დეპორტივოს" ჰოლანდიელმა მაკაიმ საპასუხო გაიტანა. ზუსტად ამ დროს დაწინაურდა „პანათინაიკოსიც" და მერე ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც საბოლოო ცხრილში წერია.

„ჩვენი მიზანი სწრაფი თამაში და მოწინააღმდეგის მაქსიმალური შეზღუდვა იყო. პირველ ტაიმში ჩანაფიქრი გამოგვივიდა, თუმცა ნიკო კოვაჩის დაკარგვამ ბევრი დაგვაკლო" — თქვა პაგელსდორფმა.

მისი ესპანელი კოლეგა ხავიერ ირურეტა უხასიათობას არ უჩიოდა: „პირველ ტაიმში გაგვიჭირდა. მეორეში გამოვსწორდით. ფრიად კმაყოფილი ვარ. ძალიან გვიხარია, რომ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული დებიუტი გამოგვივიდა. ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ და მეორე ეტაპზე გავედით".

**სოლომონ გულისაშვილი**

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეპორტივო | | 1:0 | 2:1 | 1:1 | 6:4 | 10 |
| 2 | პანათინაიკოსი | 1:1 | | 0:0 | 3:1 | 6:5 | 8 |
| 3 | ჰამბურგი | 1:1 | 0:1 | | 4:4 | 9:9 | 6 |
| 4 | იუვენტუსი | 0:0 | 2:1 | 1:3 | | 9:12 | 6 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. F ჯგუფი

### როზენბორგი 1:1 ბაიერნი

**1:0 ფ. იონსენი (27), 1:1 იერემისი (86)**
**როზენბორგი: არასონი, ბ. იონსენი, ბასმა, ჰოფტუნი, სტენსაასი, ვინსნესი, სკამელსრუდი, ჯორჯი (რ. სტრანდი 81), სორენსენი, ფ. იონსენი, კნუტსენი**
**მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი**
**ბაიერნი: ვესელსი, სანიოლი, კუფური, ვისინგერი (ელბერი 73), სფორცა, ფინკი, ტარნატი, ეფენბერგი (იერემისი 62), სალიჰამიჯიჩი (შოლი 62), იანკერი, ციკლერი**
**მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი**
**მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)**
**13 965 მაყურებელი**

**F ჯგუფში** ბოლო ტურს მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა. აქ მთავარ კითხვას პასუხი წინა ტურში გაეცა, როცა ნორვეგიელები პარიზში 2:7 შერცხვნენ და მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შანსი ხელიდან გაუშვეს, ისევე როგორც შვედურმა „ჰელსინგბორგმა". თუმცა „რუსენბორგი" — „ბაიერნის" მატჩს ჯგუფში მესამე გუნდის და შესაბამისად, უეფას თასზე გამსვლელის ვინაობა უნდა გაერკვია. ტრონჰეიმელებს საამისოდ ფრეც ჰყოფნიდათ, რადგან შვედებს პირად შეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით სჯობდნენ.

ამ მატჩში მინდორს დაუბრუნდა „ბაიერნის" მთავარი იმედი, კაპიტანი შტეფან ეფენბერგი, რომელსაც 20 მაისის მერე არ უთამაშია. მას ტრავმა აწუხებდა, მუხლზე ოპერაციაც გაიკეთა და ამის გამო ისვენებდა. ექიმებმა, კიდევ ორი კვირაც მოიცადეო, კი ურჩიეს, მაგრამ „ეფემ" ვერ მოითმინა და დაბრუნდა. გუნდის თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმაც ძირითადში დააყენა. ეფენბერგმა ისე ითამაშა, როგორც ხუთთვიანი შესვენების შემდეგ მინდორზე გასულ ფეხბურთელს მოეთხოვება: თავი დიდად არაფრით გამოუჩენია, თუმცა ერთი-ორჯერ თავისებურად გაიბრწყინა, 62-ე წუთზე კი შეცვალეს კიდეც.

„ბაიერნი" ნორვეგიელებს შესუსტებული შემადგენლობით დაუპირისპირდა. სტუმრებს ძირითადში ელბერი, პაულო სერჟიო, შოლი, იერემისი, ლინკე და კანი არ ჰყავდათ. კანის ადგილი კარში ახალგაზრდა ვესელსმა დაიკავა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა პირველად შარშან დააჭაშნიკა და წარმატებითაც. ვესელსი ამჯერადაც კარგად გამოიყურებოდა, თუმცა 27-ე წუთზე მისი თამაში ფროდე იონსენის გოლმა გააფერმკრთალა — ნორვეგიელმა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე გამოსულ მეკარეს საჰაერო დუელი მოუგო და ისე გაუტანა. მასპინძლებს ამის მერე კიდევ ორჯერ შეეძლოთ, ეხეირათ, მაგრამ ჯორჯსა და ვინსნესს ვესელსმა აჯობა. სტუმართაგან იანკერს მართებდა ორჯერ თავის გამოჩენა, მაგრამ ვერ ივარგა.

პირველი ტაიმისგან განსხვავებით, მეორე უფრო ნელ ტემპში წარიმართა და შედარებით უინტერესო გამოდგა. მასპინძლები ერთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ, გერმანელებს კი ანგარიში მაინცდამაინც არ ანაღვლებდათ. და მაინც, „ბაიერნი" მარცხს გაექცა. ბოლო წუთებზე ეფენბერგის ნაცვლად მინდორზე გასულმა იერემისმა ივარგა, რომელმაც კუფურის დახმარებით წონასწორობა აღადგინა. მატჩიც იმ შედეგით დასრულდა, რომელმაც „ბაიერნს" პირველი ადგილი შეუნარჩუნა, „რუსენბორგი" კი უეფას თასზე გადაიყვანა.

„ამ მატჩში არანაირი მოტივაცია არ გვქონდა, ამიტომ ამის გათვალისწინებით ჩემი გუნდით მაინც კმაყოფილი დავრჩი. ჩვენი მიზანი ნათელია, მეორე ეტაპზეც ჯგუფში პირველობისთვის ვიბრძოლებთ, მერე კი თასამდე სულ მოკლე გზა რჩება" — თქვა ნამატჩევს ოტმარ ჰიცფელდმა.

### ჰელსინგბორგი 1:1 პარი სენ ჟერმენი

**0:1 ანელკა (34), 1:1 პერსონი (70)**
**ჰელსინგბორგი: სვენ ანდერსონი, ო. ნილსონი, რ. ნილსონი, მატოვაცი, პერსონი, უ. იანსონი (ეკლუნდი 46), მ. ჰანსონი (ვალშტედტი 66), ი. იანსონი, პრიკა, იოჰანსენი, ალვარო (ლინდსტრიომი 76)**
**მწვრთნელი: ნანე ბერგსტადი**
**პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ა. სისე, რაბესანდრატანა, დისტინი, ე. სისე, ლერუა, დეუ, დიუკრო, რობერი (იანოვსკი 74), ოკოჩა, ანელკა (ტალალი 86)**
**მწვრთნელი: ფილიპ ბერჟერო**
**მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)**
**12 583 მაყურებელი**


REUTERS ჰელსინგბორგიდან

ჰელსინგბორგი — პსჟ 1:1. მასპინძელი ალვარო სანტუში და სტუმარი ედუარდ სისე (№20)

**„ბევრი** შანსი ვერ გამოვიყენეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, როცა სამი გოლის გატანა მაინც შეგვეძლო" — განაცხადა „პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელმა ფილიპ ბერჟერომ „ჰელსინგბორგთან" ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ. მის გუნდს მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლა ადრევე ჰქონდა განაღდებული, შვედებს კი იმისათვის, რომ უეფას თასზე თამაში გაეგრძელებინათ, მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ. თან ესაც არ კმაროდა, მათ უშუალო კონკურენტ „რუსენბორგს" შინ „ბაიერნთან" უნდა წაეგო. ასე არ მოხდა და „ჰელსინბორგი" ევროთასებს გამოეთიშა.

ა მატჩში კი ანგარიში ნიკოლა ანელკამ გახსნა. 34-ე წუთზე მან საჯარიმოში ლორან რობერისგან პასი მიიღო, შეამჩნია, რომ შვედთა მეკარე სვენ ანდერსონი წინ გამოსულიყო და ბურთი თავზე გადაუგდო. შედეგად, პარიზელთა მწვრთნელმა თავის შეგირდთაგან განსაკუთრებით სწორედ ანელკა გამოარჩია: „ნიკოლამ ჩინებულად ითამაშა. გოლიც ეფექტური გაიტანა".

„პარი სენ ჟერმენი" ჯგუფში ყველაზე შემტევი გუნდი იყო და მან ეს დღესაც დაამტკიცა. მეტოქის ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტად ნიკოლა ანელკას გამოვყოფდი" — თქვა „ჰელსინგბორგის" თავკაცმა ნანე ბერგსტადმა.

მასპინძლებმა 70-ე წუთზე გაათანაბრეს: ნიკლას პერსონის დარტყმულ ბურთს პარიზელთა მეკარე ლიონელ ლეტიზი ვერ გადაელობა.

სულ ეს იყო. გოლი აღარ გასულა, თუმცა მეტოქეები ცდას არ აკლებდნენ. ისევ ანელკა აქტიურობდა, მაგრამ შვედმა მცველებმა მას მეტი აღარ გაატანინეს. ისიც აღვნიშნოთ, რომ ცნობილმა მცველმა როლან ნილსონმა „ჰელსინგბორგში" უკანასკნელად ითამაშა.

**ნიძა შუბლაძე**

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 2:0 | 3:1 | 0:0 | 9:4 | 11 |
| 2 | პსჟ | 1:0 | | 7:2 | 4:1 | 14:9 | 10 |
| 3 | რუსენბორგი | 1:1 | 3:1 | | 6:1 | 13:15 | 7 |
| 4 | ჰელსინგბორგი | 1:3 | 1:1 | 2:0 | | 6:14 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. G ჯგუფი




THE SUN

მანჩესტერი — დინამო 1:0. ოდნავ მარცხნივ და გიორგი დემეტრაძე „იუნაიტედს" ლიგიდან გაუშვებდა

### მანჩესტერი 1:0 დინამო

**1:0 შერინგემი (18)**
**მანჩესტერი: ბარტეზი, ირვინი, გ. ნევილი, ბრაუნი, ფ. ნევილი, კინი, ბათი, ბექემი, გიგზი (ფორჩუნი 35; სილვესტრი 89), ენდი კოული, შერინგემი (იორკი 74)**
**მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი**
**დინამო: შოვკოვსკი, ბოდნარი, ნესმაჩნი, გოლოვკო (ფიოდოროვი 76), ვაშჩუკი, ხაცკევიჩი, გერასიმენკო, ქალაძე, ბელკევიჩი, შაცკიხი (დემეტრაძე 67), ლისიცკი**
**მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი**
**მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)**
**66 776 მაყურებელი**

**კიეველებს** მხოლოდ ერთი ნაღდი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ვერ გაიტანეს. მატჩიც სამართლიანი შედეგით დამთავრდა — თქვა ალექს ფერგიუსონმა.

ჰოდა, ამ შეხვედრაზე საუბარი ჩვენც ზემოხსენებული მომენტიდან დავიწყოთ, ვინაიდან ბურთი ამ ეპიზოდში ოდნავ მარცხნივ რომ წასულიყო, წინა 84 წუთსა და 33 წამში მომხდარს აზრი აღარ ექნებოდა: სტუმართა უნგრელმა ლასლო ბოდნარმა მარჯვენა ფრთიდან მანჩესტერელთა საჯარიმოში ჩააწოდა, იქ ბურთს ყველასგან მიტოვებული გიორგი დემეტრაძე დახვდა და დაარტყა. ბარტეზი არც განძრეულა...

ანგარიშიდანაც ჩანს, რომ გოლი არ გავიდა. გიორგი გმირი ვერ გახდა. „კაცი, რომელსაც ყველაფრის დანგრევა შეეძლო" — ქართველი გაზეთ „სანის" მიერ მინიჭებული ამ ტიტულით დაკმაყოფილდა, და კიდევ: „კაცი, ვინც შემდეგ ეტაპზე გაგვიყვანა. დაიმახსოვრეთ მისი სახელი და გვარი" — ეს ინგლისის ტელევიზიის კომენტატორის სიტყვებია.

ნაღდი გმირი და თავისი გუნდის მშველელი კი 34 წლის ტედი შერინგემი იყო. საოცარია — ფეხბურთი დღითიდღე უფრო სწრაფი ხდება, ეს მოთამაშე კი, რომელიც ჩქარონული თვისებებით ახალგაზრდობაშიც კი არ გამოირჩეოდა, მოედნის იდეალური ხედვისა და საჭირო მომენტში საჭირო ადგილზე ყოფნის უტყუარი ალღოს წყალობით გუნდში დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა. მოდით, ნუ დავიზარებთ და შერინგემის მე-17 პროფესიული სეზონის მე-12 გოლი დაწვრილებით აღვწეროთ.

მე-18 წუთი იყო. ტედიმ ბურთი საკუთარ საჯარიმოსთან მიიღო და ერთი შეხებით ზუსტად მიაწოდა მისგან დაახლოებით 40 მეტრში მყოფ ენდი კოულს. ეს კიეველთა საჯარიმოში მარცხნიდან შეიჭრა, მაგრამ მცველთა გარემოცვაში კიდევ უფრო მარცხნივ მყოფი გიგზისთვის პასის გაკეთებაღა მოახერხა. უელსელმა ყველასთვის მოულოდნელად და ეფექტურად ქუსლით დაუბრუნა. კოულმა სამ მცველთან ჭიდილში ბურთი საჯარიმოს ცენტრში უკვე ჩამოსწრებულ შერინგემს მიაწოდა, ამან კვლავ ერთი შეხედვით როი კინი მონახა. კაპიტნის დარტყმა შოვკოვსკიმ მოიგერია, გაღმოვარდნილ ბურთს კი კვლავ შერინგემი ჩაუხტა და შეაგდო.

დარჩენილ დროში, ანუ 85-ე წუთამდე მასპინძლებს სულ მცირე ოთხჯერ შეეძლოთ გულშემატკივარი ნერვების წყვეტისგან ეხსნათ, მაგრამ შოვკოვსკიმ არ დაანება. მერე კი ტრავმირებული გიგზის გარეშე დარჩენილებს დაღლილობაც დაეტყოთ. ამ დროს მოედანზე დემეტრაძეც გამოჩნდა და... „ოლდ ტრეფორდს" კინაღამ გული გაუსკდა. ამიტომაც იყო, რომ მაყურებელთა ერთმა ნაწილმა უკმაყოფილება ვერ დამალა.

„ეგრე სად არის? მოვლენ, ტრიბუნაზე მოკალათდებიან, სენდვიჩს მიირთმევენ, ლუდსაც მიაყოლებენ და ჰგონიათ, რომ ყველა თამაში ოთხი ბურთით უნდა მოვიგოთ. ნუთუ ასე იოლი ჰგონიათ ყველაფერი? ეგენი ფეხბურთის აზრზე არ არიან!" — თავის მხრივ აღშფოთება არც გუნდის კაპიტანს როი კინს დაუმალავს.

„ყველაფერი კარგად დამთავრდა. წინ შემდეგი ეტაპია, სადაც უკეთესად ვითამაშებთ" — შეპირდა მოსახლეობას სერ ალექსი.

### პსვ ეინდჰოვენი 2:3 ანდერლეხტი

**0:1 კრასონი (9), 0:2 კოლერი (37), 1:2, 2:2 რამზი (45, 47), 2:3 იულა (90)**
**პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ჰაინცე, რამზი (კლაუდიო 84), ვოგელი, ვან ბომელი, კოლკა, რომედალი (ბრუგინკი 41), დე იონგი (კეჟმანი 38)**
**მწვრთნელი: ერიკ გერეტსი**
**ანდერლეხტი: დე ვილდე, დე ბოეკი, სტალენსი, კრასონი, დეედენი, გოორი, ვანდერეგე, ბასეჯიო, სტოიკა (ჰასი 55), კოლერი, რაძინსკი (იულა 84)**
**მწვრთნელი: ემე ანტუნესი**
**გაძევება: ჰოფლანდი (89)**
**მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)**
**30 000 მაყურებელი**

**გიორგი** დემეტრაძე, ერთი შეხედვით, აქ რაღა შუაშია, თუმცა კიეველი რომ არ ვახსენოთ, არ შეიძლება — მას შემდეგ, რაც დემემ „ანდერლეხტს" ორ წუთში ორი გოლი გაუტანა, ბრიუსელელები გარდაიქმნენ და აგერ, პირველი ჯგუფური ეტაპი ცხრილის სათავეში დაასრულეს. მართლაც უცნაური ამბები ხდება წლევანდელ ლიგაში — „შტურმიც" და „ანდერლეხტიც" შემდეგ წრეში ბურთების უარყოფითი შეფარდებით გავიდნენ.

მაშინ, მესამე ტურში, „დინამომ" „ანდერლეხტი" 4:0 დაამარცხა. მას მერე ანტუნესის გუნდმა ყველა თამაში მოიგო...

ეინდჰოვენში კი ბელგიელები გადარჩნენ. ერიკ გერეტსის გუნდს ბარე ათჯერ შეეძლო მესამე, გადამწყვეტი გოლის გატანა, მაგრამ: „საბედნიეროდ, ვერ გაიტანეს. აშკარად ბედმა გაგვიღიმა. არადა, პირველ ტაიმში საუცხოოდ ვითამაშეთ, მაგრამ მეორეში, ვიმეორებ, უბრალოდ გაგვიმართლა" — აღიარა ემე ანტუნესმა.

მასპინძლები პირველი ტაიმის ბოლოს გააქტიურდნენ, როცა მათმა ბელგიელმა მწვრთნელმა მოედანზე ბრუგინკისა და კეჟმანის გამოყვანა ინება. მაროკოელმა ადილ რამზიმაც გამოისწორა სამიზნე და საქმეც ახლიდან დასაწყები შეიქნა. სტუმრებს ფრეც აწყობდათ და ცხადია, ბურთი ძირითადად მათ კართან ტრიალებდა. თუმცა მხოლოდ ტრიალებდა, კარში შესვლას კი აღარ აპირებდა.

–უფრო სწორად, „ანდერლეხტის" კარში, თორემ ბოლო წუთზე განელმა სულეიმან იულამ პსვ-ს მესამეც გაუტანა და თავის გუნდს სულ მცირე 15 მილიონი დოლარი შეჰმატა.

**გიგა ძოზახიძე**

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ანდერლეხტი | | 2:1 | 1:0 | 4:2 | 11:14 | 12 |
| 2 | მანჩესტერი | 5:1 | | 3:1 | 1:0 | 11:7 | 10 |
| 3 | პსვ | 2:3 | 3:1 | | 2:1 | 9:9 | 9 |
| 4 | დინამო | 4:0 | 0:0 | 0:1 | | 7:8 | 4 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. H ჯგუფი

### მილანი 1:1 ლიდსი

**0:1 მატეო (45), 1:1 სერჟინიო (68)**
**შევჩენკომ ვერ გაიტანა პენალტი (26, ძელი)**
**მილანი: დიდა, როკე ჟუნიორი, შამოტი, მალდინი, ჰელვეგი, გატუზო, ალბერტინი, სერჟინიო, ლეონარდო (ბობანი 54), შევჩენკო, ბირჰოფი**
**მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი**
**ლიდსი: რობინსონი, კელი, რადებე, მილსი, ჰარტი, ბოიერი, ბაკე, დაკური, მატეო, სმიტი, ვიდუკა**
**მწვრთნელი: დევიდ ოლირი**
**მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)**
**52 289 მაყურებელი**

**არა,** მაინც რა ბედი აქვს „ლიდსს": მეორე ტურში დიდას სულელური გოლი რომ არ გაეშვა, ის ჯგუფში ჩარჩებოდა; მეხუთე ტურში რიშარ დუტრუელს სულელური გოლი რომ არ გაეშვა, ის ჯგუფში ჩარჩებოდა; ბოლო ტურში ანდრეი შევჩენკოს პენალტი რომ გაეტანა, ის ჯგუფში ჩარჩებოდა. და კიდევ — „ლიდსი" პირველ ტურში „ბარსელონასთან" განადგურდა და ინგლისური პრესა მწვრთნელის წინააღმდეგ დაირაზმა, მერე ლამის ნახევარი გუნდი დაიმტვრა, „ლიდსი" კი მაინც გავიდა.

ახლა დევიდ ოლირის ჯერი დადგა: „ზოგიერთებს ალბათ დაავიწყდათ, როგორ გვაგინებდნენ მე და ჩემს ფეხბურთელებს ორი თვის წინ. მაგრამ მე კარგი მახსოვრობა მაქვს და ძალიან მაინტერესებს, ახლა რას იტყვიან".

რა უნდა თქვან? „ლიდსი" „სიკვდილის ჯგუფში" მოხვდა, ყველაზე ახალგაზრდული გუნდია და „მილანთან" მატჩში შვიდი ფეხბურთელი აკლდა. მილანელთა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა: „სადავო არაფერია — „ლიდსი" ძალიან ძლიერი გუნდია. ბარსელონელები ბევრად ტექნიკურები არიან, მაგრამ ესენი ბრწყინვალე ორგანიზაციითა და ბრძოლის ჟინით სჯობიან. განსაკუთრებით ალან სმიტმა და მარკ ვიდუკამ აღმაფრთოვანეს — ძალიან ძნელია, მოედნის დაახლოებით 60-მეტრიან მონაკვეთს აკონტროლებდე".

როცა მეტოქე მწვრთნელი ასე ახასიათებს ფეხბურთელებს, ოლირიც არ უნდა იშურებდეს საქებარ სიტყვებს: „აბა, ვინ იტყვის, რომ ესენი ახალგაზრდა, გამოუცდელი ბიჭები არიან. თითოეული მათგანი ბოლომდე ჩამოყალიბებული ფეხბურთელია და გამოუცდელობასაც არ ვუჩივით — ბოლო ორ სეზონში უკვე 21 თამაში ჩავატარეთ ევროტურნირებზე. ვამაყობ კლუბით, ერთგული ქომაგებით, თავმჯდომარით, მოკლედ, იმ ხალხით, რომლებმაც მუდამ მხარში გვედგნენ. ვფიქრობ, დღევანდელი თამაშით მათ ამაგი დავუფასეთ".

თავში ვთქვით და გავიმეოროთ — 26-ე წუთზე შევჩენკოს პენალტი რომ გაეტანა, ოლირი ამ სიტყვებს ვეღარ იტყოდა. ის თერთმეტმეტრიანი კი იმიტომ დაინიშნა, რომ სერჟინიოს დარტყმული ბურთი გარი კელის ხელზე მოხვდა.

ლიდსელებმა ტაიმის მიწურულს გაიტანეს — ლი ბოიერმა კუთხურიდან ჩააწოდა და დომინიკ მატეომ ბურთს თავი დაუხვედრა. მეორე ტაიმის შუაგულში სერჟინიო მარცხენა ფლანგიდან მიუახლოვდა სტუმართა კარს, გარი კელი ჩამოიცილა და ცაციათი ანგარიში გაათანაბრა.

ბოლოს კი მატჩის ნამდვილი გმირი ვახსენოთ და „ლიდსის" ჯგუფიდან გასვლის მიზეზებს ერთიც მივუმატოთ — რომ არა ყმაწვილი მეკარის, პოლ რობინსონის ბრწყინვალე აკრობატული ნახტომები ჯერ „ბარსელონასთან", ახლა კი „მილანთან" შეხვედრებში, „ლიდსი" ჯგუფში ჩარჩებოდა.

### ბარსელონა 5:0 ბეშიქთაში

**1:0 კოკუ (11), 2:0, 3:0 ლუის ენრიკე (17, 49), 4:0 რივალდო (80პ), 5:0 გაბრი (88)**
**ბარსელონა: არნაუ, პუიოლი, აბელარდო, პეტი, ხავი (გაბრი 82), კოკუ, სერხი, სიმაო (ხერარდი 63), ლუის ენრიკე, რივალდო, დანი (კლუივერტი 63)**
**მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი**
**ბეშიქთაში: თუნქაი, ტაიფური, ბესერლერი (ერმანი 21), აჰმეთი, ნიჰათი, მეჰმეთი (ილჰანი 85), მიუნხი, აქმანი, იბრაჰიმი, ბოზკურტი, იასინი**
**მწვრთნელი: ნევიო სკალა**
**მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)**
**55 000 მაყურებელი**

**იშვიათი შემთხვევაა:** გუნდი ბრწყინვალედ თამაშობს, 5:0 იგებს და არავის უხარია.

- „ერთხელ, სტამბოლში ვითამაშეთ ძალიან ცუდად — თქვა დაღონებულმა ლორენს სერა ფერერმა — დანარჩენი მატჩები, განსაკუთრებით ბოლო სამი, კარგად ჩავატარეთ, მაგრამ იმ ერთმა ჩავარდნამ გადასწონა".

ახლა „ბარსელონას" ქომაგთა ამბავიც ვიკითხოთ. როგორი საქმეა, „რეალი", „ვალენსია" და „დეპორტივო" ლიგაში არიან, „ბარსა" კი — უეფას თასზე, ტურნირზე, რომელსაც ბობოლა გუნდები, არცთუ უსაფუძვლოდ, არაპრესტიჟულად თვლიან. მაგრამ რაც შეგრჩება, იმით უნდა დაკმაყოფილდე. კლუბის პრეზიდენტი ხუან გასპარი ამბობს: „უეფას თასზე არასდროს გვიფიქრია, ჩვენ ხომ მუდამ ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ვიბრძვით. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უეფას თასს ხელიდან გავუშვებთ". მოგებას გეგმავს მწვრთნელიც, თუმცა მეორე ევროტურნირის პრესტიჟულობაზე განსხვავებული მოსაზრება აქვს: „უეფას თასის მოპოვება არანაკლებ საპატიოა. არავინ იფიქროს, თითქოს იქ სუსტი გუნდები თამაშობენ და „ბარსელონა" უპრობლემოდ მივა ფინალამდე. მაგრამ ჩვენსას შევეცდებით და ქომაგებს გავახარებთ. ესპანეთის ჩემპიონობასაც ვუმიზნებთ".

გავიხსენოთ, რომ „ბარსელონა" სამჯერ დაუფლებია უეფას თასს, როცა ის ბაზრობათა თასად იწოდებოდა. 1958 წელს, პირველი გათამაშების ფინალში კატალონიელებმა ლონდონის ნაკრები დაამარცხეს, ორი წლის შემდეგ ინგლისურივე „ბირმინგემი", ხოლო 1966 წელს — თანამემამულე „სარაგოსა".

„ბარსას" გარდა ევროპაში სულ სამი კლუბია ისეთი, რომელსაც სამივე ევროტურნირი მოუგია — ამსტერდამის „აიაქსი", მიუნხენის „ბაიერნი" და ტურინის „იუვენტუსი".

გასაგებ მიზეზთა გამო მატჩის შემდეგ „ბარსელონა"-„ბეშიქთაშზე" მეტად „მილანი"-„ლიდსზე" საუბრობდნენ. ლორენს სერა ფერერი სიტყვაძუნწი აღმოჩნდა: „მილანური მატჩი, ცხადია, არ მინახავს და სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რამდენად მონდომებულად ითამაშეს იტალიელებმა".

მწვრთნელისგან განსხვავებით, ხუან გასპარი უფრო ენამრავალი იყო: „მილანელთა პატიოსნებასა და პროფესიონალიზმში ეჭვს ვერ შევიტან. დარწმუნებული ვარ, მათ მოსაგებად ყველაფერი გააკეთეს და რომ ვერ დაგვეხმარნენ, ვერ დავძრახავ. მაგრამ იცით, რა მაოცებს? მთელი ორი კვირა გაიძახოდნენ, „ლიდსს" უეჭველად დავამარცხებთო. რა საჭირო იყო ასეთი განცხადებების გაკეთება? თუ შეგიძლია მოგება, მოიგე. ასე კი, ბაქიაობით ყურები გამოგვიჭედეს და შედეგად..."

**გიორგი დარჯანია**




REUTERS

მილანი — ლიდსი 1:1. ანდრეი შევჩენკოს დარტყმებმა „ლიდსს" ვერაფერი დააკლო

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილანი | | 1:1 | 3:3 | 4:1 | 12:6 | 11 |
| 2 | ლიდსი | 1:0 | | 1:1 | 6:0 | 9:6 | 9 |
| 3 | ბარსელონა | 0:2 | 4:0 | | 5:0 | 13:9 | 8 |
| 4 | ბეშიქთაში | 0:2 | 0:0 | 3:0 | | 4:17 | 4 |

# ყველა კმაყოფილია

## ფიოლერი ნაკრებში, ფოგთსი ლევერკუზენში



ბერტი ფოგთსმა (მარცხნივ) და რუდი ფიოლერმა თავიანთი გაინაღდეს

REUTERS

ესეც ასე. გუშინ ლევერკუზენში გამართულმა პრესკონფერენციამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა. ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო — რუდი ფიოლერი გერმანიის ნაკრებში 2001 წლის 1 ივნისამდეც იმუშავებს და მის მერეც, „ლევერკუზენს" კი აქამდე უმუშევარი ბერტი ფოგთსი გაწვრთნის, კაცი, რომელსაც რვა წლის განმავლობაში (1990-98) თვით გერმანიის ეროვნული გუნდი ებარა და 1996 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტულიც მოუპოვა.

გუშინდელ „სარბიელშიც" წაიკითხავდით, რომ ფიოლერმა, ბოლო დროს „ლევერკუზენის" მწვრთნელობაც რომ შეითავსა, კლუბში მუშაობა იუარა, ნაკრები მიჯობსო. ლევერკუზენელთა ხელმძღვანელობის პასუხიც შესაბამისი იყო — ჩვენთან, როგორც სპორტულ დირექტორს, კონტრაქტი 2003 წლამდე გაქვს და კეთილი ინებე და შენი მოვალეობა ბოლომდე შეასრულეო. მდგომარება ცოტა დაიძაბა კიდეც, თუმც ყველაფერი გუშინ დილით გაირკვა, როცა „ლევერკუზენის" მენეჯერი რაინერ კალმუნდი გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ გერჰარდ მაიერ-ფორფელდერს შეხვდა.

„დიდი მადლობა „ლევერკუზენს", ეს კლუბი კომპრომისზე წავიდა და რუდი ფიოლერი გერმანიის ნაკრებს აჩუქა. ძალიან რთული მოლაპარაკებები გვქონდა ამ გუნდის ხელმძღვანელებთან, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა. მათ უპირველეს ყოვლისა გერმანული ფეხბურთის ინტერესები გაითვალისწინეს და გადაწყვეტილებაც შესაბამისი მიიღეს. უდიდესი მადლობა ამისათვის" — განაცხადა მაიერ-ფორფელდერმა შეხვედრის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ლევერკუზენელებმა ფიოლერს, როგორც სპორტულ დირექტორს, კონტრაქტი არ გაუწყვიტეს, თუმცა გერმანიის ნაკრების თავკაცს ეს თანამდებობა ფორმალურად ექნება, რეალურად კი იგი მხოლოდ ეროვნულ გუნდს გაწვრთნის. გერმანიის ვიცე-ჩემპიონები წინ იყურებიან, მათ შეგნებულად არ გააუქმეს ხელშეკრულება, რათა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, როცა ფიოლერს ქვეყნის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი დაუსრულდება, კლუბში დააბრუნონ.

„ჩინებული გადაწყვეტილებაა, ვფიქრობ, ყველა კმაყოფილი დარჩება. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ნაბიჯი სასიკეთო შედეგს მოუტანს როგორც ნაკრებს, ისე „ლევერკუზენს" — თქვა რუდიმ პრესკონფერენციაზე.

„ძალიან მიხარია, რომ ორწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ დავუბრუნდი ფეხბურთს და სათადარიგოთა სკამს" — ხარობდა ბერტი ფოგთსი. ოღონდ მას ცოტა ხნით მოცდა მოუწევს, ვიდრე გუნდს სათამაშოდ გაიყვანს, რადგან მხარეების შეთანხმებისამებრ ხვალ „ქართული" „ფრაიბურგის" წინააღმდეგ „ლევერკუზენს" კვლავ ფიოლერი უხელმძღვანელებს, ფოგთსი კი თავისი მოვალეობის შესრულებას ორშაბათიდან შეუდგება.

ადვილი შესაძლებელი იყო, მის მაგივრად „ლევერკუზენს" მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე „ზაარბრიუკენის" ამჟამინდელი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი გაძღოლოდა, მაგრამ იგი კლუბმა არ გაუშვა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, ზაარბრიუკენელებმა მწვრთნელის ტრანსფერში ისეთი თანხა მოითხოვეს, ლევერკუზენელებს ყოველგვარი სურვილი დაუკარგეს.

ასე გახდა 53 წლის ბერტი ფოგთსი გერმანული ფეხბურთიდან დიდი სკანდალით წასული კრისტოფ დაუმის მემკვიდრე. შეგახსენებთ, აქამდე ფოგთსი მხოლოდ გერმანიის ნაკრებს წვრთნიდა, „ლევერკუზენი" კი მის სამწვრთნელო კარიერაში პირველი კლუბია.

„კარგად ვიცნობ ბერტის შესაძლებლობებს. დარწმუნებული ვარ, იგი გუნდს წარმატებას მოუტანს. მასზე უკეთეს კანდიდატურას, მგონი, ვერც ვიპოვიდით. მომავალი წლის თებერვლამდე „ლევერკუზენს" შეძლებისდაგვარად კიდევ დავეხმარები, მისი გაძლიერებისთვის ვიბრძოლებ, მერე კი მთელი ჩემი ძალები და შესაძლებლობები ეროვნულ გუნდს უნდა მოვახმარო" — განაცხადა ფიოლერმა.

ფოგთსის კალმუნდსაც ეიმედება. „როცა ბერტისთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით, მან გუნდში მუშაობის თავისი კონცეფცია წარმოგვიდგინა. მას რომ გავეცანით, მივხვდით, რომ ფოგთსი ხელიდან არ უნდა გაგვეშვა. ახლა სიტყვა მასზეა" — აღნიშნა კალმუნდმა.

მაშ ასე, ფიოლერმა თავისი სიტყვის თქმა მოკლე დროშიც მოასწრო. ხვალ იგი მეათე მატჩს გამართავს, როგორც მწვრთნელი — წინა ცხრაში შვიდი მოგებითა და ორი ფრით იწონებს თავს. ახლა ჯერი ბერტი ფოგთსზეა.

დაუმი კი... ვიღას ახსოვს კრისტოფ დაუმი... ვგონებთ, ული ჰიონესმა და კომპანიამ თავისი ჩანაფიქრი ბრწყინვალედ განახორციელა.

**ვანო ოქროპირიძე**

# გადარჩა, გადარჩა!

**ინგლისური** „ლიდსის" ფანებს ბოლო დროს მთელ ევროპაში ჩაგრავენ. ჯერ იყო და გაზაფხულზე სტამბოლში „გალათასარაის" წინააღმდეგ „ლიდსის" მხარდასაჭერად ჩასული ორი გულშემატკივარი გამოასალმეს სიცოცხლეს თურქებმა, ოთხშაბათს კი ლამის ასეთივე ბედი კიდევ ერთ ქომაგს ეწია.

ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში „მილანთან" პრინციპული მატჩის სათამაშოდ ჩასულ ინგლისურ „ლიდსს" თან, ცხადია, გულშემატკივრებიც ჩაჰყვნენ, რომლებიც სამშაბათს კაფე-ბარებს (აბა, პაბებს ვინ გაუხსნიდათ) შეესივნენ. მავანი 31 წლის ინგლისელი მილანის მთლად ცენტრში მდებარე კაფე „კორსა კომოს" ეწვია, სადაც თავის ფეხით კი შევიდა, მაგრამ ველარ გამოვიდა — იგი კაფეში შესვლიდან ორიოდე საათში საკაცით გამოიყვანეს და საავადმყოფოში გააქანეს, სადაც დანით მიყენებული 13 ჭრილობა აღმოუჩინეს. ლიდსელს სასწრაფოდ ოპერაცია გაუკეთეს. მიუხედავად ამისა, იგი კარგა ხანს უმძიმეს მდგომარეობაში იყო, ექიმებს მისი მობრუნების იმედი ნაკლებად ჰქონდათ, თუმცა გუშინ გაირკვა, რომ ფანი გადარჩა და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ხუთშაბათსვე საავადმყოფოს მილანის პოლიციის თანამშრომლებიც ესტუმრნენ და დაზარალებული დაჰკითხეს, მაგრამ საგულისხმო ვერაფერი შეიტყვეს. დაჭრილი ისეთი მთვრალი ყოფილა, თავდამსხმელთა გარეგნობაც ვერ აღწერა. ის კი არა, რისთვის იჩხუბეს, ისიც ვერ გაიხსენა.

„ლიდსის" პრეზიდენტ პიტერ რიდსდეილის თქმით, დაზარალებული ფანი მილანს გუნდთან ერთად ესტუმრა.

„იგი გულშემატკივართა ოფიციალურ სიაში იყო, სადაც საეჭვო პირები ვერ ხვდებიან. დაჭრილი აქამდე ერთ ჩხუბშიც კი არ ყოფილა შემჩნეული" — აღნიშნა პრეზიდენტმა.

„ლიდსთან" ერთად მილანში კიდევ რამდენიმე ასეული ქომაგი ჩასულა, ოთხშაბათს კი იტალიას 7 ათასი ლიდსელი სწვევია, რომლებიც თავიანთი გუნდის წარმატებამ უზომოდ გაახარა, თუმცა მატჩის შემდეგ ინგლისელთათვის დამახასიათებელი არეულობა მილანის ქუჩებში არ მოუწყვიათ.

# მაინც დაგამარცხებთ!

**28 ნოემბერს** ტოკიოში საკონტინენტთაშორისო, იგივე „ტოიოტას" თასისთვის „ბოკა ხუნიორსი" და „რეალი" შეერკინებიან ერთმანეთს. ეს უფლება ამ გუნდებმა იმით მოიპოვეს, რომ ერთმა ლიბერტადორესის თასი მოიგო, მეორემ — ჩემპიონთა ლიგა.

ფიფამ თავის დაქვემდებარებაში მყოფ მსაჯთა სიას გადახედა და აღნიშნული შეხვედრის მომსახურება კოლუმბიელ ოსკარ რუისს დაავალა. ამის მერე „რეალმა" გადახედა „ბოკა ხუნიორსის" შემადგენლობას და აღმოაჩინა, რომ არგენტინულ კლუბში სამი კოლუმბიელი თამაშობს: მეკარე ოსკარ კორდობა, ცენტრალური მცველი ხორხე ბერმუდესი და ნახევარმცველი ჩიჩო სერნა. მადრიდელთა ეჭვი ვისენტე დელ ბოსკემ გამოთქვა: „მეტოქე გუნდში რამდენიმე კოლუმბიელია და ვშიშობთ, არბიტრი მათდამი ლოიალური იქნება".

ესპანელი კოლეგის სიტყვებმა „ბოკას" მწვრთნელი კარლოს ბიანკი აღაშფოთა. მან დელ ბოსკეს ჯერ არაკორექტულობაზე მიუთითა — მსაჯის პატიოსნებაში ეჭვის შეტანა უწესობააო — მერე კი განაცხადა: „რაკი ასეა, არბიტრის შეცვლას მოვითხოვ, თორემ მერე იტყვიან, მსაჯმა წაგვაგებინა თამაშიო". როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, ბიანკი გამარჯვებაში დარწმუნებულია.

„ბოკა ხუნიორსს" აქამდე ერთხელ მოუგია საკონტინენტთაშორისო თასი. 1977 წელს მისი მეტოქე ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალისტი მიონხენგლადბახის „ბორუსია" იყო, რაკიღა ჩემპიონმა „ლივერპულმა" თამაში იუარა. მაშინ გამარჯვებულის ვინაობას ორმატჩიანი დუელი არკვევდა. ბუენოს აირესში გუნდებმა 2:2 ითამაშეს, საპასუხო შეხვედრაში, რომელიც მიონხენგლადბახის ნაცვლად რატომღაც კარლსრუეში ჩატარდა, არგენტინელებმა 3:0 იმარჯვეს.

მომდევნო წელს თასისთვის ისევ „ბოკასა" და „ლივერპულს" უნდა ებრძოლათ, მაგრამ ამჯერად ორივემ უარი განაცხადა.

რაც შეეხება კარლოს ბიანკის, 1994 წელს მისი ხელმძღვანელობით „ველეზ სარსფილდმა" ტოკიოში ფაბიო კაპელოს „მილანს" 2:0 მოუგო.



პიტერ ტეილორი ემზადება

# კაპიტანი ბექემი

**ინგლისის** ნაკრების დროებითმა მწვრთნელმა პიტერ ტეილორმა გადაწყვიტა, რომ ოთხშაბათს იტალიასთან ამხანაგურ მატჩში მის გუნდს დევიდ ბექემი უკაპიტნებს.

ცვლილება სხვაც ბევრია. თუნდაც ის, რომ ტეილორმა ოთხი ისეთი ფეხბურთელიც იხმო, ვისაც ნაკრებში არასდროს უთამაშია: დერბელი სეტ ჯონსონი, მაიკლ ბოლი „ევერტონიდან" და ლიდსელები — ალან სმიტი და მეკარე პოლ რობინსონი. „ახალგაზრდებს შანსი უნდა მივცეთ" — განაცხადა ერთი თამაშით მწვრთნელმა, ვინც ტურინის მატჩისთვის შემდეგ ფეხბურთელებს მოამზადებს:

***მეკარეები:*** *დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), პოლ რობინსონი (ლიდს იუნაიტედი);*

***მცველები:*** *გარეთ საუთგეიტი, გარეთ ბერი (ორივე ასტონ ვილა), გარი ნევილი, ფილ ნევილი, უესლი ბრაუნი (ყველა მანჩესტერ იუნაიტედი), რიო ფერდინანდი (ვესტ ჰემი), ჯეიმი კარაგერი (ლივერპული);*

***ნახევარმცველები:*** *დევიდ ბექემი, პოლ სქოულზი, ნიკი ბათი (ყველა მანჩესტერ იუნაიტედი), ნიკ ბარმბი, სტივენ ჯერარდი (ორივე ლივერპული), კირონ დაიერი (ნიუკასლ იუნაიტედი), რეი პარლოუ (არსენალი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), სეტ ჯონსონი (დერბი ქაუნთი), მაიკლ ბოლი (ევერტონი), დარენ ანდერტონი (ტოტენჰემ ჰოთსპური);*

***თავდამსხმელები:*** *ემილ ჰესკი, მაიკლ ოუენი, რობი ფაულერი (ყველა ლივერპული), კევინ ფილიპსი (სანდერლენდი), ალან სმიტი (ლიდს იუნაიტედი).*

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისელი** ენდი კოული თავის „მანჩესტერ იუნაიტედს" ორი თვით გამოაკლდება. როგორც იტყობინებიან, 29 წლის ფორვარდს აქილევსის მყესზე ოპერაცია ესაჭიროება. „ენდიმ გაითვალისწინა, რომ მნიშვნელოვანი მატჩები გვქონდა, თუმცა მეტი დაყოვნება აღარ შეიძლება. ოპერაციას სამშაბათს გაუკეთებენ" — ამცნო ჟურნალისტებს ალექს ფერგიუსონმა. პრემიერლიგის მატჩებთან ერთად კოული ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის ორ ტურსაც გამოტოვებს.

**იტალიურ** „უდინეზეს" „ჩაკარიტა ხუნიორსის" ახალგაზრდა ფორვარდის დიეგო რიკეროს შეძენა სურს, თუმცა 18 წლის ფეხბურთელს სხვა ევროპული კლუბებიც ეპატიჟებიან. უდინურმა კლუბმა არგენტინელებთან მოსალაპარაკებლად თავისი წარმომადგენლები მიავლინა. სკაუტები ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრასაც დაესწრნენ და არგენტინელის თამაში ძალიან მოიწონეს. იუწყებიან, რომ „ჩაკარიტა" რიკეროს 3 მილიონ გირვანქაზე ნაკლებად არ გაყიდის.

**შოტლანდიური** „ჰართსის" თავკაცი ჯიმ ჯეფერსი თანამდებობიდან გადადგა. 48 წლის სპეციალისტი გუნდს ხუთი წელიწადი ხელმძღვანელობდა და 1998 წელს შოტლანდიის თასი მოაგებინა. ედინბურგული კლუბი ახლა ფინანსურ კრიზისს განიცდის, რამაც აიძულა, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გაეყიდა. ჯეფერსის წასვლას სწორედ ამას უკავშირებენ, თუმცა „ჰართსის" აღმასრულებელი შეფი კრის რობინსონი აცხადებს, რომ მწვრთნელმა პირადი მიზეზების გამო დატოვა გუნდი.

**ალბანეთის** ფეხბურთის ფედერაციას ფიფა ფინანსურ დახმარებას შეჰპირდა, რათა ამ ქვეყანაში სტადიონებს მიხედონ. „კარგი ფეხბურთელები არ გაკლიათ, მოედნები, საწვრთნელი ბაზები და ინფრასტრუქტურა კი მოსაწესრიგებელია" — განაცხადა ზეპ ბლატერმა, რომელიც მიშელ პლატინისთან ერთად ალბანეთში სამდღიანი ვიზიტით იმყოფება.

**ინგლისური** „უიმბლდონის" ნახევარმცველმა რობი ერლიმ ტრავმის გამო კარიერა დაასრულა. 35 წლის ფეხბურთელი იამაიკის ფეხბურთის ისტორიაში შევიდა, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირველი იამაიკური გოლის ავტორი (ეს 1998 წელს მოხდა). „მიჭირს იმის გაფიქრება, რომ მინდორზე ველარ გავალ, მაგრამ ტრავმა ვერაფრით მოვიშუშე და რაღა დამრჩენია" — განაცხადა ერლიმ, რომელიც ამჟამად ლონდონური კლუბის მწვრთნელის ასისტენტად მუშაობს.

**ნორვეგიელი** ვიდარ რისეტი, ვისაც ეროვნულ გუნდში 26-ჯერ უთამაშია, „მიუნხენ 1860"-მა გლაზგოს „სელტიკიდან" სეზონის ბოლომდე ინათხოვრა. 28 წლის ფეხბურთელმა სადებიუტო მატჩი შესაძლოა შაბათს „ვოლფსბურგის" წინააღმდეგ ჩაატაროს. მიუნხენურ კლუბში იგი თანამემამულე ერიკ მიუკლანდს შეუერთდება. ისიც მოსალოდნელია, რომ „მიუნხენ 1860"-ში მესამე ნორვეგიელი, იან დერეკ სორენსენიც ჩაირიცხოს. ბუნდესლიგელები „რუსენბორგთან" მოლაპარაკებას აწარმოებენ და ფეხბურთელს, ალბათ, ზამთრის შესვენების დროს გადაიბირებენ.

**შვედ** მეკარე მაგნუს ჰედმანს მალე ოპერაციას გაუკეთებენ. 27 წლის ფეხბურთელმა მუხლის მყესები დაიზიანა. „ტკივილი უფრო და უფრო მძაფრდება, სამშობლოში ჩავალ და იქ ვიმკურნალებ" — განაცხადა ინგლისური „ქოვენთრის" კარის დარაჯმა.

**ფრანგული** „ლიონის" კაპიტანი ფლორენ ლავილი სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს. მან ჩემპიონთა ლიგის ბოლო შეხვედრაში ტრავმა მიიღო და თამაში ველარ გააგრძელა. ექიმების განცხადებით, ლავილის მუხლის მკურნალობას სულ მცირე ექვსი თვე დასჭირდება.


თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი

სიგარეტის გადაგდება, ნიკოტინიზმისგან განკურნება

ეფექტური მეთოდი;
საუკეთესო შედეგი; ხელმისაწვდომი ფასები;
განკურნების შემდგომი ზედამხედველობა და რეაბილიტაცია.

☎ 95 58 26; 96 85 67 ყოველდღე, 10-დან 19 საათამდე,
შაბათ-კვირას 10-დან 13 საათამდე

დავით აღმაშენებლის გამზირი 60

# თიხის ფაქტორი

უკვე თვეზე ნაკლები დარჩა ახალი ათასწლეულის დევისის თასის პირველი გათამაშების ფინალამდე. 8-10 ნოემბერს ბარსელონის გიგანტურ დარბაზში დაგებულ თიხნარის კორტზე მასპინძლები შარშანდელ ჩემპიონ ავსტრალიას შეხვდებიან და შეეცდებიან, თავიანთ ისტორიაში პირველად მოიპოვონ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონის ტიტული.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანელები დევისის თასის ფავორიტებად თითქმის არასოდეს ითვლებოდნენ, ამჯერად შინ, თანაც საყვარელ წითელმიწა საფარზე, ბევრის აზრით, გამარჯვება წინასწარ განაღდებული აქვთ. ავსტრალიის ნაკრების ლეგენდარული კაპიტანი ჯონ ნიუკომბი მეტოქეთა ძალებს რეალურად აფასებს და ფინალში უმძიმეს გამოცდას ელის.

„ვფიქრობ, ამჯერად ფრანგებთან შარშანდელ ფინალზე მეტად გაგვიჭირდება, უფრო ზუსტად, ეს ურთულესი ბრძოლა უნდა გამოდგეს იმათგან, რაც ჩემი ხელმძღვანელობით გუნდს გადაუტანია“ — განაცხადა ნიუკომბმა რამდენიმე დღის წინ, ავსტრალიის დევისის თასის ისტორიისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაციაზე.

„ესპანეთს დევისის თასი არასოდეს მოუგია. ისინი უდიდესი ზეწოლის ქვეშ იქნებიან, რადგან თანამემამულეები შინ თიხნარზე მხოლოდ გამარჯვებას სთხოვენ“ — ესპანელების მიერ ნახევარფინალში განადგურებული აშშ-ის ნაკრების კაპიტნის ჯონ მაკინროის მსგავსად, მცირე ფსიქოლოგიური ომიც წამოიწყო ავსტრალიელმა.

ამ ფინალის შემდეგ ნიუკომბი და მისი მარჯვენა ხელი — ნაკრებისა და პატრიკ რაფტერის მწვრთნელი ტონი როუჩი თანამდებობიდან გადადგებიან. ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციამ მათ უკვე შემცვლელებიც მოუძებნა. თავიანთი უკანასკნელი მატჩისთვის გუნდის შემადგენლობას კი ოზები ერთ კვირაში გამოაცხადებენ.

უკვე ცნობილია, რომ შარშანდელი ფინალის გმირი მარკ ფილიპუსისი ამ შეხვედრაში არ ითამაშებს. „ჩემი და პატრიკ რაფტერის დავა აქ არაფერ შუაშია, ჩვენ კარგა ხანია, შევრიგდით, ერთმანეთს ჩვეულებრივ ვესაუბრებით და ერთად ვვარჯიშობთ კიდეც. უბრალოდ, გუნდის ხელმძღვანელობამ და წევრებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ჩემი მონაწილეობა და დახმარება არ სურდათ. რაკი ასეა, კი ბატონო, არავის შევაწყენ თავს“ — აღნიშნა წინა კვირაში განაწყენებულმა „სკადმა“, რომელიც თიხნარზე რაფტერსა და ჰიუიტზე უკეთ თამაშობს.



ჯონ ნიუკომბი

ზემოთხსენებული ორი ჩოგბურთელის გარდა, შესაძლოა გუნდში „ვუდების“ ლეგენდარული წყვილი და ენერგიული ენდრიუ ილიც ჩართონ. ავსტრალიელები ფინალის წინ ესპანეთში ხუთდღიან შეკრებას მოწყობენ.

# პატარა ამბავი ანაზე

ანა კურნიკოვას ყოფილმა მწვრთნელმა, ცნობილმა სპეციალისტმა ერიკ ვან ჰარპენმა ამ დღეებში „ომერტას“ პრინციპი დაარღვია და გერმანულ ჟურნალ „შპიგელს“ ინტერვიუზე დათანხმდა. „ანა ერთგან ლიმუზინს შეიძენს, მეორეგან ოქროს საყურეებს, მერე სახლს. მას ყველგან ისე ეპყრობიან, როგორც პატარა დედოფალს — განაცხადა ჰოლანდიელმა, რომელიც კურნიკოვათა ბანაკიდან აგვისტოში გაქრა — მისი ნიჭის პატრონს შეუძლია, კლასიფიკაციის საუკეთესოთა ხუთეულში კარგა ხნით დამკვიდრდეს, მაგრამ ანა ბოლომდე არ იხარჯება, ის საკმარისად დისციპლინირებული არ არის“.



# არმენიკუშე

**ლიონის გრან პრი. საფრანგეთი. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 800 ათასი $**

ლიონის პირველობის პირველ წრეში ტომით სომეხი, პასპორტით კი ამერიკელი ანდრე აგასი ასევე შტატებში მცხოვრებ, ოღონდ სომხეთის მოქალაქე სარგის სარგსიანს, თავის ხშირ მეწყვილეს შეხვდა.

„ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. ძნელია, ისიამოვნო მატჩში, რომელშიც საკუთარ მეწყვილეს ხვდები, ჩვეულებრივ ხომ სწორედ მას ამხნევებ და გულშემატკივრობ“ — ალბათ, სწორედ ამან შეუშალა ანდრეს ხელი, პირველ სეტში ხეირიანად ეთამაშა. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა აურაცხელი ორმაგი შეცდომა დაუშვა და ტაი-ბრეიკზეც თავი ვერაფრით გამოიჩინა.

თუმცა სუბორდინაცია მაინც არ დაირღვა, მეორე სეტიდან აგასიმ უპირატესობა მყარად ჩაიგდო ხელში, ზედიზედ ხუთი გეიმი მიითვალა და საბოლოოდ 6:7 (3:7), 6:1, 6:4 იმარჯვა: „გათამაშებებს სურვილისამებრ ვერ წარვმართავ და საერთოდ, ბევრ რამეში მოვიკოჭლებ. სულ რაღაც 10 თვის წინ კარიერის საუკეთესო ფორმაში ვიყავი და მინდა, ისევ ძველებურად ვითამაშო“.

ხოტორა ლასვეგასელმა ნოემბრის ბოლოს ლისაბონში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის, „მასტერსის თასისთვის“ უკვე გაინაღდა საგზური. მიუხედავად იმისა, სეზონის შედეგებით საუკეთესო რვა ჩოგბურთელს შორის მოხვდება თუ არა, ავსტრალიის ღია პირველობის ტიტულის მომპოვებელს „უაილდ ქარდი“ მაინც გამოუყვეს. ამან მისი უშუალო კონკურენტები, კერძოდ კი ლეიტონ ჰიუიტი და ტომას ენკვისტი ერთობ აღაშფოთა.

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემი დამსახურებით მოვხვდე ლისაბონში. მართალია, ადგილი უკვე გარანტირებული მაქვს, მაგრამ საუკეთესო რვა, საუკეთესო რვას ნიშნავს და ასე საგზური არ მომიპოვებია“ — ასეთი იყო სიაში მეცხრე ადგილზე მყოფ აგასის პასუხი კრიტიკაზე.

**პირველი წრე:** გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 7:6 (7:5), 6:4; მარიანო პუერტა (არგენტინა) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 7:6 (7:4), 6:4; პატრიკ რაფტერი (8, ავსტრალია) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:4, 4:6, 6:4; რაემონ სლუიტერი (ჰოლანდია) — ალექს კორეჩა (4, ესპანეთი) 6:4, 7:6 (7:2); მარკ ფილიპუსისი (6, ავსტრალია) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:7 (10:12), 6:3; ტომას ენკვისტი (3, შვედეთი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 4:6, 6:3, 6:4; ტომი ჰაასი (გერმანია) — არნო დი პასკუალი (საფრანგეთი) 6:3, 6:3; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — სედრიკ პიოლინი (7, საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:5)

**სანკტ პეტერბურგის ღია პირველობა. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 800 ათასი $**

**პირველი წრე:** მარატ საფინი (1, რუსეთი) — იგორ კორნიენკო (რუსეთი) 7:6 (9:7), 6:1; ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:3, 6:1; სხენგ შალკენი (5, ჰოლანდია) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 3:6, 6:2, 6:3; ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:3, 6:2; ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) — მარკ როსე (4, შვეიცარია) 6:3, 2:6, 6:4

**ავთანდილ სვანიძე**



ანდრე აგასი



| ლანსი. 7 ნოემბერი | |
|---|---|
| ფრანგი ბარბაროსები | 23 |
| ახალი ზელანდია A | 21 |

**ბარბაროსები:** სადურნი, ბერნა-სალი, შანალი, მიტონი (ჟოზიონი 77), ტოალა, დომინგესი (ოკანი 77), ფილოლი (მინიონი 4), მილერი, ტ. ლიევრემონი, მ. ლიევრემონი (ოდიბერი 65), სერგეევი, ჯონსი (ნალე 57), დე ვილიე, გონსალესი (დალ მაზო 65), კრენკა (სულეტი 49)
2ლ — ტოალა (40), სერგეევი (64); 2გ — დომინგესი; 3ს — დომინგესი (30, 69), ოკანი (80)
**ახალი ზელანდია:** ბლეირი, მულიაინა, რალფი, მაკლეოდი, აიი (ტიპოკი 55), ბრაუნი, რობინსონი, ჯასტინ კოლინზი, ტუკინო (ჯეკი 64), ჯერემი კოლინზი, ტეილორი, უილისი (ვანიზი 64), ჰეიმანი (მეალამუ 38), მაკფარლანდი (ვაიტი 55), ჰიუეტი
3ლ — მაკლეოდი (26), რალფი (33), ტიპოკი (76); 3გ — ბლეირი

# ქართველს ბარბაროსობა არ დააცალეს

ვიდრე 11 ნოემბერს საფრანგეთისა და ახალი ზელანდიის ნაკრებები ტესტს გამართავენ, მანამდე ფრანგმა ბარბაროსებმა და „ოლ ბლექსის“ სათადარიგო გუნდმა ითამაშეს. ადრე გაცნობეთ, რომ ამ მატჩში საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე ჩვენებურ ლევან ცაბაძესაც უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ „მამლების“ თავკაცმა ბერნარ ლაპორტმა ბარბაროსებში პოტენციური „მამლების“ გასინჯვა მოინდომა და „ლეონსიოს“ გარდა კიდევ რამდენიმე უცხოელი დარჩა მშრალზე. ლაპორტის ამ გადაწყვეტილებამ, რომლის ასრულებაც იძულებით მოუხდა მის წინამორბედს და ბარბაროსთა სათავეში ერთი დღით ჩამდგარ ჟან-კლოდ სკრელას, ფრანგული პრესის აღშფოთება გამოიწვია. ბარბაროსები სათადარიგო ნაკრები არაა და თუ ვინმეს გამოცდა გინდოდა, აქ არ უნდა გაგესინჯა, ამით ბარბაროსთა ხიბლი და სული დაკარგეო, უკიჟინებდნენ ლაპორტს. თუმცა მან მაინც თავისი გაიტანა.

თავად თამაში მშვენიერი სანახავი გამოდგა და „ბოლეარის“ სტადიონზე მისულ 30 ათასზე მეტ მაყურებელს იმედები არ გაუცრუა. მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს და უკვე მეხუთე წუთზე სადურნისა და ბერნა-სალის აქტიურობით ლამის ლელოც გაიტანეს. თუმცა „შავების“ დაცვა კედელივით გაუმტარი იყო. ორივე გუნდი თავიდან საკმაოდ ხშირად ცდებოდა. პირველები სტუმრები გამოერკვნენ და მათი შეტევებიც თანდათანობით გამწვავდა. 26-ე წუთზე ახალზელანდიელთა მორიგმა იერიშმა სასურველი შედეგიც მოიტანა და ისინი 7:0 დაწინაურდნენ. რამდენიმე წუთში „შავები“ შერკინების ჩაშლისთვის დაჯარიმდნენ და არგენტინული წარმოშობის იტალიელმა დიეგო დომინგესმა დაახლოებით 40 მეტრიდან სამი ქულა მოიხვეჭა. კიდევ სამი წუთის შემდეგ კი, სტუმართა სამმეოთხედელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, კალებ რალფი ყველას დაუსხლტა და ლელო გაიტანა. ბლეირს არც ამჯერად გასჭირვებია გარდასახვა — 14:3.

ტაიმის მიწურულს კუნძულელები ისევ დაჯარიმდნენ. დომინგესის დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა და მას სადურნი დაეუფლა. ბარბაროსთა მცველის მიერ წამოწყებული იერიში კი ტოალამ დააგვირგვინა ლელოთი.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა ძალიან აქტიურად დაიწყეს, მაგრამ ხელით თამაშისას საკმაოდ ბევრი შეცდომების გამო დაწინაურება ვერ შესძლეს. პირიქით, ნელ-ნელა მათ ინიციატივა დათმეს და ბარბაროსებმაც გაილაღეს. განსაკუთრებით „ორილიაკის“ წევრი რაფაელ შანალი გამოირჩეოდა, რომელიც მეტოქეს მუდმივად ჯაბნიდა ორთაბრძოლებისას, ერთხელ კი სამ მოწინააღმდეგეს ათი მეტრითაც კი დაახევინა უკან. 64-ე წუთზე კი რუსმა სერგეევმა ივარგა და დომინგესის გარდასახვით მასპინძლები დაწინაურდნენ — 17:14. მერე „სტად ფრანსეს“ დამრტყმელმა ერთი საჯარიმოც ზუსტად შეასრულა და ანგარიში 20:14 გახდა.

თუმცა სამხრეთელები დანებებას არ აპირებდნენ და გააფთრებით შეუტიეს. 76-ე წუთზე მათ ლელოც გაიტანეს, რომელიც წესით მსაჯს არ უნდა ჩაეთვალა, რადგან მანამდე ახალზელანდიელებმა აშკარად ორჯერ დაარღვიეს თამაშის წესი, მაგრამ... ბარბაროსები ბედს არ შეურიგდნენ, მატჩის ბოლო წუთები მეტოქის საჯარიმოზე დამკვიდრდნენ და ჯარიმასაც გამორჩნენ. დომინგესის შემცვლელმა ოკანმა კი გამარჯვების მომტანი სამი ქულა შესძინა თავისიანებს.

**გაიოზ თალაკვაძე**



ფრანგი ბარბაროსები: ჟან-ჟაკ კრენკა, დიეგო დომინგესი და ფილიპ ბერნა-სალი

## საქართველოს თასი

### ნახევარფინალი

საპასუხო მატჩები

9 ნოემბერი

**თბილისი. ოქროყანა**

**ლოკომოტივი 1 — ასკ 50:14(26:7)**

ლოკომოტივი 1: თოფურიძე, ხინჩაგაშვილი (ძნელაძე), მაჭუტაძე, ბურდული, მოგელაძე, ცხომელიძე, გიორგაძე, ბ. უდესიანი, სარიშვილი, კვინიხიძე, ბესელია, ალანია, ჩხენკელი (ჯიბლაძე), სორდია, ასათიანი
8 ლ — ცხომელიძე, ბესელია, ალანია, ბ. უდესიანი, ასათიანი, კვინიხიძე, გიორგაძე, სორდია
5 გ — კვინიხიძე
ასკ: ბალანჩივაძე, ივანიშვილი, ორდენიძე, დათუნაშვილი, რაშოევი, უჩავა, ცხადაძე, ვალიშვილი, გეგეშვილი, ცოფურიშვილი, კასრაძე, ხვიჩია, პინჩუკოვი, სამსონიძე, სამხარაძე
2 ლ — პინჩუკოვი, 2 გ — უჩავა
მსაჯი: პ. ნარიმანაშვილი
მეთვალყურე: დ. ჩავლეიშვილი

**ბათუმი. ანგისას სტადიონი**

**დათვები — სტუ-ყოჩები 29:13(12:10)**

დათვები: ნინიძე (მოლაშხია), ღლონტი, პაპავა, ზ. ლიპარტელიანი (ბერიძე), რეხვიაშვილი (აბაშიძე), გოგისვანიძე, სვანიძე, ფხაკაძე, გიორგაძე (კიკაჩეიშვილი), ნ. ძაგნიძე, ხონელიძე (სვინტრაძე), ტყაბლაძე, ე. ძაგნიძე, ჩუბინიძე, მაჩიტიძე
5 ლ — მაჩიტიძე (2), ჩუბინიძე, ხონელიძე, გიორგაძე
2 გ — ნ. ძაგნიძე
ყოჩები: ჩიქავა (გ. ხაბეიშვილი), კიკუაშვილი, ფირიაშვილი, ხურცილავა, გუშარაშვილი (თედორაძე), ჭელიძე, ცხვედიანი, კობახიძე, გიორხელიძე (ხელაძე), კაჭარავა, კ. მხეიძე, ბარძიმიშვილი (შარაშენიძე), ჯანელიძე, იმნაძე, ნ. მხეიძე
1 ლ — იმნაძე 1 გ — კობახიძე 2 ს — კობახიძე, გიორხელიძე
მსაჯი: ბ. ზიბზიბაძე
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

**იმ ქალებმა** „იაპონური დაფდაფების“ მუსიკალური ფონის თანხლებით ყირამალა ისე კოხტად იბზრიალეს წყალში, იქიდან ისე მიმზიდველად ამოიშვირეს ფეხები და გვიჩვენეს სპლიტი, ფლამინგო, ფრონტ პაიკი, ბაკ პაიკი, ბალეტ ლეგი თუ სხვა მისთანები, რომ ნამდვილი ბალეტი გამოუვიდათ.

თითქმის ათი წელიწადია, რაც საქართველოში სინქრონული ცურვა აღარ უნახავთ და ამ სახეობის ტერმინები რაღამ გაგახსენაო, ალბათ ამასაც გაიფიქრებ, მაგრამ, აბა, რა დამავიწყებს, როცა შენთან და შენს ნერეიდებთან იმდენ აუზში ვყოფილვარ, თქვენს შორიახლოს იმდენი მიცურია, რომ ლამის ფხები გამომივიდა, თანაც, ხომ გაგიგონია, გამეორება ცოდნის დედააო? ჰოდა, სინქრონული ცურვის დასწრებული გაკვეთილები, ოთხი წლის წინათ, ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე გავიხსენე, როცა ამ სახეობის კანონმდებლებმა, ამერიკელებმა და კანადელებმა ჯგუფურ გამოსვლაში ოქრო-ვერცხლი მოიპოვეს. ისინი, განსაკუთრებით ამერიკელები, ბრწყინვალენი იყვნენ, მაგრამ რაც სიდნეიში რუსის ქალებმა გააკეთეს, სასწაული იყო. იმ სასწაულისა თავიდან, მგონი თავადვე არ დაიჯერეს. როცა საქმეს მორჩნენ, წყლიდან ამოვიდნენ და ტაბლოს გახედეს, შეცბნენ. მერე იქაურობა ტრადიციისამებრ უზეიმოდ, მხოლოდ მაყურებლისადმი ხელის დაქნევით და ბალერინას ნაბიჯებით კი არ დატოვეს, არამედ გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ისევ ტაბლოს მიაშტერდნენ და სიცილი აუტყდათ. ერთ ადგილზე ცმუკავდნენ და იქაურობას დიდხანს ვერ ტოვებდნენ.

კაცმა რომ თქვას, ბრუსნიკინა და კისელიოვას ტრადიციის ასეთი დარღვევა ეპატიებოდათ კიდეც, რადგან ტაბლოზე ისეთი ციფრები ენთო, როგორიც ისტორიას არ ახსოვდა.

საერთოდ, სიდნეის დიდსა თუ პატარა წყალში დიდი და საკვირველი ამბებიც ხდებოდა. აფროსნები, ცხადია დიდ წყალში, სიდნეის ყურეში იყვნენ მოდებულნი. მასზე პატარა წყალში ნიჩბოსნები იბრძოდნენ, ყველაზე მცირე წყალში კი წყალბურთელები, წყალში მხტომელები, სინქრონულად მოცურავეები და ჩვეულებრივად მოცურავენი, მაგრამ ყველაზე უჩვეულო და დიდი ამბები სწორედ პატარა წყალში ჩვეულებრივად მოცურავეებმა დაატრიალეს. მათ იმდენი მსოფლიოს, ოლიმპიური და კონტინენტის რეკორდი დაამყარეს, რომ ყველა დანარჩენი, ერთად აღებული, ვისთანაც ამგვარი შედეგები აღინუსხება, მოცურავეთა მაჩვენებელს ვერც მიუახლოვდნენ.

ნატალია გეცოდინება, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის საერთო ჯამში ჰოუმ ბუშ ბეის სიდნეის საერთაშორისო საწყლოსნო, იგივე „აკვატიკ ცენტრში“, მოცურავეებმა 15 მსოფლიოს, 38 ოლიმპიური და 73 კონტინენტური რეკორდი დაამყარეს (ატლანტაში შესაბამისად მხოლოდ 4,14,27).

სპეციალისტთა თქმით, ეს განაპირობა აუზის „არქიტექტურამ“, რაც მეცნიერულ გამოანგარიშებაზე იყო დაფუძნებული. მათ ზედმიწევნით გამოუთვლიათ წყლის ზედაპირიდან სასტარტო ბაქნის ოპტიმალური სიმაღლე და მისი დახრილობა, ბილიკების გამყოფი „თოკებიც“ ტალღებს მაქსიმალურად ახშობდა ისევე, როგორც აუზის კიდეები. წყლის სიღრმე სტარტის ადგილზე და მთელ დისტანციაზე ოპტიმალური ყოფილა...

ასე იყო თუ ისე, მსოფლიოს რეკორდებით თავი ყველაზე მეტად გამოიჩინეს ჰოლანდიელებმა პიტერ ვან ჰოგენბანდმა და ინგე დე ბრუინმა, რომლებმაც ასეთი შედეგი სამ-სამჯერ აჩვენეს. ამდენივე რეკორდი დაამყარა ავსტრალიელმა მაიკლ კლიმმაც, მაგრამ ორჯერ მას მოზიარენიც აღმოჩნდნენ (ესტაფეტებში).

სამწუხაროდ, მოცურავეთა რეკორდებისა და მედლებისთვის მოპაექრეთა რიგებს მიღმა დარჩა საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელი, ამერიკაში მოვარჯიშე ზურაბ ბერიძე, რომელიც უფრო სტატისტის როლში მოგვევლინა, ვიდრე მებრძოლისა. თუმცა, ეს მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, რადგან იგი ოლიმპიურ თამაშებზე ეგრეთ წოდებული ველური ბარათით დაუშვეს. მან 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 24,28 აჩვენა და 80 მონაწილეს შორის 54-ე ადგილი დაიკავა, ჩემპიონობა კი ამერიკელმა „ვეშაპებმა“ ენტონი ირვინმა და გერი ჰოლმა მოიპოვეს. მათ ერთნაირი შედეგი (21,988) აჩვენეს და ორივეს ოქროს მედალი გადასცეს. მსგავსი რამ ვაჟთა ცურვაში ისტორიას არ ახსოვს, ქალებში კი ანალოგიური რამ 1984 წელს მოხდა, როცა ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ასევე ამერიკელებმა ნენსი ჰოგშედმა და კერი სტეინსეიფერმა ფინიშთან ერთად მიცურეს.

თუმცა, კაცთა ცურვაშიც იყო ერთი ასეთივე შემთხვევა, როცა ფინიშთან ერთდროულად ორნი იყვნენ პირველნი. ეს მოხდა 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე, 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში შვედ გუნარ ლარსონსა და ამერიკელ ტიმ მაკკიმის პაექრობაში, მაგრამ მაშინ მათ ჩემპიონობა არ გაუყვიათ. ოქროს ბედი წამმზომებმა კი არა, უფრო მსაჯებმა გადაწყვიტეს შვედის სასარგებლოდ, თითქოს მან წამის მეათასედით უკეთესი დრო აჩვენაო, ახლა კი, სიდნეიში, თანამედროვე წამზომებმა ორივე ამერიკელს ოქრო არგუნა.

რაკი ისტორიულ ამბებზე ვსაუბრობ, იმასაც გავიხსენებ, რომ ერთი ასეთი „ღირსსახსოვარი“ შემთხვევა ისევ იმ 50 მეტრზე ცურვაში მოხდა. ის კურიოზულად საარაკო ამბავი მთელს მსოფლიოში მგონი ისე გახმაურდა, რომ ოლიმპიადის ჭეშმარიტ გმირებსაც შეშურდებოდათ. მთვარიდან ჩამოვარდნილ ჯო ატურაიეს ამბავს შენც გაიგებდი, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მეც გავიხსენებ.

ჯო ატურაიემ, ამ უგანდელმა, გაკვირვებისგან პირი დააღო, როცა სიდნეის ოლიმპიურ [illegible], მერე თავად გააოცა ყველა, როცა 50 მეტრის გაცურვისას ლამის დაიხრჩო და ფინიშთან 2 წუთის მერე მიიხლართა.

ასეთი ცუდი შედეგი, უფრო სწორედ უშედეგობა, ოლიმპიურ თამაშებს კი არა, საერთოდ შეჯიბრებას არ ახსოვს.

ატურაიემ სხვა მხრივაც მეტად გამოიჩინა თავი. ეტყობა, აუზში დახრჩობას გადარჩენილმა იმდენი უჭვრიტა იქ თავმოყრილ ერთმანეთზე უმშვენიერეს ქალებს, რომ სექსუალურად აღტკინდა. ჰოდა, ეს 22 წლის უგანდელი სიდნეის ერთ-ერთ გარეუბან ლიდკომში 17 წლის გოგონას გადაეყარა. გადაეყარა და გადაირია კაცი, ებღღვნა და გაუპატიურება დაუპირა, მერე კი...

მერე უგანდის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ვირის აბანოდან სასამართლომდე მისი გამოხსნა 20 ათასი ავსტრალიური დოლარი (11 ათასი ამერიკული დოლარი) დაუჯდა.

უგანდელებმა უგანდელი იდარდონ, ჩვენ კი ჩვენსას მივხედოთ და მადლობა ვთქვათ, რომ აუზში დახრჩობამდე საქმე არ მიგვსლია. თუმცა, უმწვრთნელებოდ დარჩენილებსა და უწყლო აუზების გადამკიდე ქართველებს იქამდე ბევრი აღარაფერი გვიკლია.

არადა, საქართველოს წარმომადგენლები ოლიმპიურ თამაშებზე, დღიდან მათი იქ გამოჩენისა, მუდამ მედლებისთვის იბრძოდნენ. ისინი ხშირად მიზანთან ახლოს იყვნენ. გავიხსენოთ ალექსანდრე ტუტაკაევის ორი IV ადგილი ტოკიოში (1964), თინა ლეკვეიშვილის ასევე ორი IV ადგილი მეხიკოსა (1968) და მიუნხენში (1972), ბათუმელი იგორ ომელჩენკოს V ადგილი, თბილისელმა ბორის ნიკიტინმა კი სულაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (ჰელსინკი, 1952)

ახლა კი...

ახლა მართლაც წყალში გადასახტომად გაგვხდომია საქმე.

ჰო, წყალში ხტომაზე გამახსენდა. სიდნეიში ამ სახეობაშიც ერთი სპორტსმენით ვიყავით წარმოდგენილნი, ოღონდ ბერიძისგან განსხვავებით ნანა ნებიერიძემ თავად მოიპოვა ოლიმპიური ლიცენზია.

სამწუხაროდ, მან 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში 26-ე ადგილი დაიკავა.

სიდნეიში გამარჯვებისთვის ძირითადი ბრძოლა ორ კანადელსა და ამდენივე ჩინელს შორის გაჩაღდა, მაგრამ ბოლოს მედალი ჩრდილში მოქცეულმა ამერიკელმა ლაურა უილკინსონმა მოიპოვა, რადგან მან ბოლო ნახტომი ბრწყინვალედ შეასრულა, ჩინელებმა და კანადელებმა კი ყველაფერი სწორედ მაშინ გადაყარეს წყალში, თუმცა ლინა და ან მონმინი მეორე-მესამე ადგილებზე მაინც გავიდნენ.

რაკი ზემოთ ჩვენი მოცურავეების ოლიმპიური ისტორია გავიხსენე, ამ მხრივ არც წყალში მხტომელებს დავჩაგრავ. ისინიც, მოცურავეებისა არ იყოს, ხშირად გადიოდნენ ფინალში. პირველად ეს მოახერხა ორი ოლიმპიადის მონაწილემ, თბილისელმა ბორის პოლულიახმა, რომელიც მელბურნში მეხუთე იყო. ასევე ორ ოლიმპიადაზე გამოვიდა თბილისელი გიორგი ჩოგოვაძე, რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა, ლიანა ცოტაძემ კი მოსკოვის თამაშებზე ნახტომები ბრინჯაოს მედლით დააგვირგვინა.

ბედის ჩარხის უკუღმა ტრიალი რომ არა, ვინ იცის, იქნებ ნანა ნებიერიძე აქამდე და მეტადაც ამაღლებულიყო. ყოველ შემთხვევაში, გეხსომება, მთლად ბავშვი იყო და, როგორც იტყვიან, კოჭებში ეტყობოდა, რომ მისგან კარგი წყალში მხტომელი დადგებოდა. ისიც გეხსომება, სკოლის მოსწავლემ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში გაიმარჯვა, საბჭოთა ნაკრებშიც მოხვდა, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატშიც გაიმარჯვა. მერე კი ქვეყანა აგვერია, მასთან ერთად ცხოვრებაც და ნანამ სპორტი მაშინ მიატოვა, როცა ოლიმპოსკენ მიიწევდა. ბოლოს ისევ დაბრუნდა, მაგრამ ძვირფასი წლები დაიკარგა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**სიდნეი-თბილისი**

**ავტორის ფოტოები**

**დასასრული ხვალინდელ „სარბიელში“**

## კუკის ნატერფალზე

# რუსის ქალებზე გადარეული კაცის ჩანაწერები

## ეჰ, ნატალია, ნატალია! წყალწყალა ამბები შენთვის

***ნატალია, სიდნეის „აკვატიკ ცენტრში“ მევულებოდი, თვალებით ბევრიც გეძებე, მაგრამ იმ მილეთის ხალხში რას მოგაგნებდი. ან იქნებ, იქ სულაც არ იყავი და საერთოდ, შენი ასავალ-დასავალი არ ვიცი. ამიტომ ღია წერილს გწერ. წყალწყალა და რუსის ქალებზე ჩემი გადარევის ამბავზე მოგითხრობ. რუსის ქალებზე შენ კი არა, მთელი საქართველოს კაცები ჭკუას კარგავდნენო, ალბათ გაიფიქრებ და მართალიც იქნები, მაგრამ რაკი ოლგა ბრუსნიკინამ და მარია კისელიოვამ იმ დღეს მე კი არა, ყველაზე მკაცრი იაპონელი, ამერიკელი, კანადელი, იტალიელი და ფრანგი ქალებიც მოხიბლეს, თუ კიდევ უამრავი სხვა მდედრი და მამრი, მათზე შთაბეჭდილებების გაზიარება უინტერესო არ უნდა იყოს.***









**ოლგა ბრუსნიკინამ და მარია კისელიოვამ ცეკვა „ხმელეთზე“ დაიწყეს და წყალში ასე გააგრძელეს, მათი გამოსვლის დასასრულს კი მომდევნო „სარბიელში“ შემოგთავაზებთ**

# ლენოქს ლუისი VS დავიდ ტუა

## საბჭოსა (WBC) და ფედერაციის (IBF) ქამრებისთვის

11 ნოემბერი. ლას ვეგასი

## ჩხუბამდელი ამბები



REUTERS ლას ვეგასიდან



### გუშინ პრესკონფერენციაზე

# 20 სანტიმეტრი და ნიანგის ღრიალი

ჰო, დავიდ ტუამ შაბათს რინგზე ხელებიც თუ ისე მარჯვედ იქნია, როგორც პრესკონფერენციაზე ენა, ლენოქს ლუისს სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდება. მისმა ლაღმა, ენაკვიმატმა საუბარმა კრივის მიმომხილველთა ყურადღება სხვანაირად მიიქცია, ხოლო საზოგადოებას სასეიროდ ჩინებული შოუ ერგო.

ბუნებრივია, წესისა და რიგის თანახმად, ტუამაც და ლუისმაც ერთმანეთის ჯიგრის დახევა დაიქადნეს, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მაინც მხუბუქად და სასიამოვნოდ ჩატარდა.

მხიარულება, როგორც გითხარით 27 წლის სამოელმა ტუამ წამოიწყო, თუმცა მაგრადაც დადგა. საქმე ის გახლავთ, რომ დავიდს ერთობ თავისებური ვარცხნილობა აქვს — თმა ყალყზე უდგას და მისი სიგრძე (თუ სიმაღლე) თავის ზედაპირიდან 20 სანტიმეტრია. ლუისის ბანაკმა მას ამ ძვირფასი თმის შეჭრა მოსთხოვა, რა ვიცით რა ქიმიკატით გაიშეშა, ხომ შეიძლება ბრძოლის დროს რამე ცუდი გამოიწვიოსი.

„ეს უბრალოდ ახირებაა“ — განაცხადა სამოელის მწვრთნელმა რონი შილდსმა — „ტუა თმას ცოცხალი თავით არ შეიჭრის“.

„კი მაგრამ, მას იღლიაში რომ ამოვიჩრი, თმა ხომ სახესთან მექნება. რა ვიცი, რომელი სამოური ხილით ექნება შელებილი“ — შეეწინააღმდეგა 35 წლის ლუისი, მაგრამ, როდესაც კითხეს მაინც თუ არ შეიჭრის რას იზამთო, უპასუხა:

„მაშინ რინგზე გადავპარსავ. ნახეთ, რა დღეში ჩავაგდო“.

„ღვთის გულისთვის. როდესაც კაცს მსოფლიოს უძლიერეს მოკრივეობაზე გაქვს პრეტენზია, ვიღაცის თმის ვარცხნილობა არ უნდა გაშინებდეს“ — ასეთი გახლდათ ტუას პასუხი — „ჩემი თმა სავსებით ბუნებრივია. მე უბრალოდ ისე შევშინდი, რომ თმა ყალყზე დამიდგა“.

აქ, საქმეში ნევადის შტატის სპორტული კომისიის აღმასრულებელი დირექტორი მარკ რატნერი ჩაერია. მან განაცხადა, რომ ორივე მოკრივის თმას საგანგებო ანალიზს ჩაუტარებენ, ასე, რომ ტუას ვარცხნილობაზე წინასწარ ნერვიულობა არ ღირს.

ისევ ტუა: „ლენოქს ლუისი დიდი ჩემპიონია, მაგრამ მასთან შესახვედრად ბევრი მტკივნეული წინააღმდეგობის დაძლევა მომიხდა და ეს ვინმემ ხომ უნდა ზღოს. თან ვიცი, რომ გამომცხადებლად ცნობილი შოუმენი მაიკლ ბაფერი ჰყავთ მოწვეული. მას ჩინებულად დაყენებული ხმა აქვს და ნახავთ რა ლამაზად გამოაცხადებს: მსოფლიოს ახალი ჩემპიონი მძიმე წონაში გახლავთ დააავიდ ტუაააა!“

ლენოქს ლუისს კი ტუასთან ბრძოლის წინა დღეებშიც არ ასვენებს მაიკ ტაისონის აჩრდილი. პრესკონფერენციაზე, რომელზეც ტუამ ბევრი იხუმრა, უცბათ ყვირილი ატყდა — აი, ნახავთ ტაისონი მაგ ლუისს ცემით სულს ამოხდისო. გაიხედ-გამოიხედეს და დაინახეს ტაისონის ბანაკის ცნობილი წარმომადგენელი, მეტსახელად ნიანგი.

ნიანგის ღრიალის პასუხად მიკროფონს ლუისის მწვრთნელი, ემანუელ სტიუარტი მიეჭრა და თავადაც აყვირდა:

„ტაისონი ლოცულობს ტუას გამარჯვებისთვის, რადგან ლენოქსთან ჩხუბის ეშინია. მას ლენოქსის კბენა სწყურია, იქნებ მის თავში ტყვიის ჩაჭედებაზეც ოცნებობს, მაგრამ რინგზე ვერ გავა“

„კარგით, რა. ნიანგი რომ ბინძური კაცია მთელმა დედამიწამ იცის“ — მშვიდად განაცხადა ლუისმა.

და იცით თუ არა თქვენ, რომ შაბათს ლას ვეგასის სასტუმრო და კაზინო „მენდალი ბეის“ დარბაზში თვით მაიკ ტაისონი აპირებს მისვლას? მაყურებლად, ცხადია.

„მოხარული ვარ ტაისონი ბრძოლის სანახავად რომ მოვა. ის კრივის დიდი მოყვარულია და ნამდვილი ჩემპიონის ბრძოლის ნახვა აინტერესებს. მე ჩემს გულშემატკივარს პატივს ვცემ“ — დასძინა ლუისმა.

**ტუტა სიხარულიძე**

### როგორ გავლახოთ ლუისი

# იმიტომ დაბადებულა, ლუისი წააქციოსო

**მძიმეწონოსანთა** მოახლოებულ საჩემპიონო ორთაბრძოლას, რომლის სასწორზეც ბრიტმა ჩემპიონმა ლენოქს ლუისმა საბჭოს (WBC) და ფედერაციის (IBF) ქამრები შემოდო, არნახული სენსაციის სუნი უდის. ყოველ შემთხვევაში, ამერიკული მედია ცდილობს, რომ ახალზელანდიური პასპორტის მქონე, სამოელად შობილი და ამერიკაში მოღვაწე დავიდ ტუა იმ ერთადერთ კაცად დასახოს, ლუისის წაქცევა რომ შეუძლია.

კარიერაში ერთადერთხელ წაგებული ტუა (იმ მაიკ გრანტთან დათმობით, წლეულს რომ ლუისმა იოლი ნოკაუტით გააბურთავა) მართლაც საუცხოო მოკრივეა, მოუღლელი და კლასიკური სტილისა, ტანში დარტყმების მოყვარე და ოსტატი. დღევანდელ კრივში მისი ცაცია ჰუკი საუკეთესოა. ზღვისპირელი არასოდეს ჩავარდნილა ნოკაუტში და კრივზე მწერალთა პატივსაცემი გმირიც გახლავთ.

მისი მწვრთნელი რონი შილდსი ამბობს, რომ ტუას ამტანობა და მოძრავი ბრძოლის ოსტატობა დიდი კოზირია თორმეტრაუნდიან ბრძოლაში და ლუისის ჩემპიონობა შაბათღამ ლას ვეგასში გათავდება.

„ლუისს იმდენი მოხვდება, არც ერთ ბრძოლაში რომ არ მოხვედრია“ — ამბობს შილდსი — „შუა ბრძოლაში ლუისი მოღლას იწყებს, სადღაც მეექვსე რაუნდიდან მას შესვენებები უყვარს. ტუა კი მოუღლელია, მას ბრძოლის შუიდან მეორე სუნთქვა ეხსნება. რას იზამს ლუისი სულის მოთქმის საშუალებას რომ არ მისცემენ? ჩვენი მიზანიც ეს არის, რომ ყველაფერი ზუსტად დავგეგმოთ და ლუისის მოღლამდე ტუა როგორმე შევინახოთ“.

შილდსის ლაპარაკი არ ჰგავს ბრძოლისწინა ტრაბახს ან მოწინააღმდეგის დაბნევის მცდელობას. მწვრთნელის სიტყვებიდან ჩანს, რომ მან იცის, რა არ უნდა გააკეთოს შეგირდმა:

„ტუა გარედან ვერ იბრძოლებს, ეს ცხადია. გარედან ლუისი იქნება. ასეთ ვითარებაში ჩვენ მთელი ღამე ვამუშავებთ ცაცია ჰუკს, ეს კი ლუისის აქტიურობას გაანეიტრალებს, მას სითამამეს დაუცხრობს“.

შილდსის აზრით, ლუისის ბანაკს ჰგონია, რომ ტუა ცალხელა მოკრივეა, მაგრამ ეს ასე არ არის. ტუა მაიკ ტაისონი როდია, რომლისგანაც ერთ მომაკვდინებელ დარტყმას ელი. სამოელს აქვს სანოკაუტო დარტყმა, მაგრამ ტაქტიკა ამაზე არ აუგია. ის მებრძოლია და ეცდება, ყველაფერი გამოიყენოს.

სხვათა შორის, შილდსი ის კაცია, ვინც ოდესღაც ევანდერ ჰოლიფილდს წვრთნიდა და მოქნილი სარინგო აზროვნება შესძინა ამ ჩემპიონს. თუმცა იგივე შეიძლება ითქვას ლუისის მწვრთნელ ემანუელ სტიუარტზეც, ვისაც ასევე გაუწვრთნია ჰოლიფილდი და ვინც დღევანდელ კრივში საუკეთესო მწვრთნელადაა მიჩნეული.

„ის უყურებდა ტაისონს და ჰოლიფილდს, ის ბევრს სწავლობდა. ამ შრომასა და ნიჭთან ერთად ბრწყინვალე მოკრივედ ჩამოყალიბდა. მას ესმის, რას ნიშნავს მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლა“ — აცხადებს შილდსი — „ლუისი დიდი ჩემპიონია, მაგრამ მას არასოდეს შეხვედრია კაცი, რომელიც ასე იქნევდეს მუშტებს“.

საკითხავი კი ერთია: საკმარისია ეს ყველაფერი ლენოქს ლუისის დასამარცხებლად?

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



REUTERS ლას ვეგასიდან



ლას ვეგასში დიდი სამზადისია: ლენოქს ლუისს ახლაც ემანუელ სტიუარტი ავარჯიშებს, ცაციობით ცნობილ დავიდ ტუას მარჯვენაც გაუქნევია



# ტერი მუდამ მტრიანი

8 ნოემბერი

**პიტსბურგი — ფილადელფია 5:2**

2:0 3:1 0:1

1:0 კოვალიოვი 10'25 (6); 2:0 კოვალიოვი 16'24 (7); 2:1 ფედორუკი 26'19 (1); 3:1 კოვალიოვი 30'12 (8); 4:1 კორბე 33'20 (3); 5:1 კრაფტი 37'50 (2); 5:2 განიე 46'16 (3)

**ფლორიდა — მონრეალი 2:4**

1:1 1:2 0:1

1:0 სილინჯერი 11'42 (3); 1:1 სავაჟი 18'27 (6); 1:2 პეტროვი 24'35 (3); 2:2 ნოვოსელცევი 29'29 (1); 2:3 კემპბელი 38'09 (2); 2:4 ა. მარკოვი 40'35 (2)

**ნიუ ჯერსი — ნეშვილი 3:4**

1:1 0:0 2:3

0:1 რონინგი 5'04 (7); 1:1 კელი 6'10 (2); 1:2 ლეგვანდი 46'14 (2); 1:3 უოკერი 53:14 (4); 2:3 ნემჩინოვი 53'48 (4); 3:3 რაფალსკი 54'14 (3); 3:4 ფიცჯერალდი 59'43 (4)

**ტორონტო — კაროლინა 5:0**

2:0 3:0 0:0

1:0 კროსი 12'49 (3); 2:0 დ. მარკოვი 16'51 (2); 3:0 რობერტსი 27'52 (7); 4:0 რობერტსი 35'38 (8); 5:0 ტაკერი 36'39 (2)

**მინესოტა — კალგარი 0:1**

0:0 0:1 0:0

0:1 ვ. ბურე 21'59 (2)

**ჩიკაგო — სან ხოსე 2:3**

0:0 1:0 1:2 0:1

1:0 სალივანი 30'26 (7); 2:0 სალივანი 41'33 (8); 2:1 მარვი 47'29 (1); 2:2 შტურმი 59'50 (4); 2:3 შტურმი 64'44 (5)

**ფინიქსი — დეტროიტი 2:4**

0:2 1:0 1:2

0:1 შენაჰანი 0'28 (5); 0:2 მოლტბი 8'02 (4); 1:2 ტკაჩუკი 29'39 (8); 2:2 მეი 40'30 (4); 2:3 კოზლოვი 42'46 (4); 2:4 ჰოლმსტრიომი 48'51 (2)

**ანაჰაიმი — ვანკუვერი 2:7**

1:2 1:4 0:1

0:1 შეფერი 4'27 (3); 1:1 პ. კარია 11'06 (6); 1:2 ოკუანი 12'06 (2); 1:3 კესელსი 22'37 (3); 1:4 ს. კარია 24'13 (1); 2:4 კონი 31'15 (3); 2:5 კესელსი 36'01 (4); 2:6 კესელსი 38'39 (5); 2:7 დ. სედინი 54'04 (5)

ფლორიდელი ტერი მიურეის თავკაცობის დღეები იწურება. გუნდის ასეთ უნიათო თამაშს მას აღარავინ აპატიებს. უკვე მესამე მატჩია, „პანტერების“ ქომაგები ძირს ტერი მიურეიო, გაიძახიან. არადა, ყველაფერში მწვრთნელი როდია დამნაშავე. „სამარცხვინოდ გამოვიყურებით, მაგრამ ტერი არაფერ შუაშია“ — თქვა გუნდის ფორვარდმა რობ ნიდერმაიერმა. მონრეალთან თამაშშიც ფლორიდელებს მხოლოდ პირველ პერიოდში ეყოთ ძალა. პაველ ბურეს პასის შემდეგ (ბურე, როგორც გუნდი, ჯერ მკრთალად გამოიყურება) მაიკ სილინჯერმა გახსნა ანგარიში, მაგრამ შემდეგ პანტერები კვლავ მოიშალნენ, გოლი უმრავლესობაში გაუშვეს, ხოლო მეორე პერიოდის მიწურულს ჯიმ კემპბელმა საბოლოოდ დააწინაურა სტუმრები და მონრეალმა პირველი გასვლითი მატჩი მოიგო.

სან ხოსეს ჩინებული ცხრამატჩიანი სერიის ბედი ჩიკაგოსთან შეხვედრის ბოლო წამებმა გადაწყვიტა — იღბალმა სტუმრებს გაუღიმა. ძირითადი დროის დამთავრებამდე 9,5 წამით ადრე გერმანელმა მარკო შტურმმა გაიტანა. მერე ოვერტაიმშიც მანვე იმარჯვა და ისევ ბოლო წამებზე. „ზვიგენებმა“ თავიანთი საკლუბო რეკორდი გაიმეორეს (+7=2-0). ფინიქსმა კი უკვე გამეორებული რეკორდი ვერ გააუმჯობესა. დეტროიტმა მე-13 თამაშზე შეაწყვეტინა მას გამარჯვებების სერია და ეს თარსი რიცხვი მისთვის მართლაც რომ ავბედითი აღმოჩნდა.

ხუთშაბათს ორი ჰეთ თრიქი შესრულდა. პიტსბურგელმა ალექსეი კოვალიოვმა (კარიერაში მესამედ) და ვანკუვერელმა ენდრიუ კესელსმა (კარიერაში პირველად) გამოიჩინეს თავი.

**სამველ ლარიბიანი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-12 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | |
| 23.15 | 001 | დორტმუნდი-ჰერტა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 18.30 | 002 | მიუნხენ 1860-ვოლფსბურგი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 18.30 | 003 | ჰანზა-უნტერჰახინგი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 18.30 | 004 | კიოლნი-ჰამბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 005 | შალკე-ბაიერნი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 18.30 | 006 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.15 | 007 | ვერდერი-ბოხუმი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 20.30 | 008 | აინტრახტი-კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.30 | 009 | კოტბუსი-შტუტგარტი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-12 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 010 | დუისბურგი-არმინია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.00 | 011 | ვალდჰოფი-ქემნიცი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 012 | მაინცი-ჰანოვერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 013 | ზტ.პაული-ულმი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 014 | ალემანია-ობერჰაუზენი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 18.00 | 015 | კიკერსი-მიონხენგლადბახი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 18.00 | 016 | როიტლინგენი-ფიურტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.00 | 017 | ალენი-ზაარბრიუკენი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | 13 ნოემბერი | | | |
| 23.15 | 018 | ნიურნბერგი-ოსნაბრიუკი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 019 | ნიურნბერგი-ოსნაბრიუკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. მე-13 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 020 | არსენალი-დერბი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 021 | არსენალი-დერბი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 022 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 19.00 | 023 | ბრედფორდი-ევერტონი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 024 | იფსვიჩი-ჩარლტონი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 025 | ლესტერი-ნიუკასლი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 026 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 027 | მანჩესტერი-მიდლსბრო 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 028 | სანდერლენდი-საუთჰემპტონი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 029 | ვესტ ჰემი-სიტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 030 | ლივერპული-ქოვენთრი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 031 | ლივერპული-ქოვენთრი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.00 | 032 | ჩელსი-ლიდსი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. მე-18 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 033 | პრესტონი-ქრიუ | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 034 | ბოლტონი-ბარნსლი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 19.00 | 035 | ბარნლი-შეფილდი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 036 | გრიმსბი-ბირმინგემი | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 037 | ჰადერსფილდი-ვესტ ბრომვიჩი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 038 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 039 | უენსდი-ნორვიჩი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 040 | სტოკპორტი-ქუინზ პარკი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 041 | ტრანმერი-უოტფორდი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 19.00 | 042 | უიმბლდონი-ფულემი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 19.00 | 043 | ვულვერჰემპტონი-კრ.პალასი | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 17.00 | 044 | ჯილინგემი-ნოტინგემი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი. მე-18 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 045 | ბრენტფორდი-როტერჰემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 046 | როვერსი-უოლსოლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 047 | ლუტონი-ბრისტოლი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 048 | მილუოლი-რექსემი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 049 | ნორთჰემპტონი-ბორნმუთი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 050 | ნოტსი-პორტ ვეილი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 051 | პიტერბრო-სუინდონი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 052 | რედინგი-კოლჩესტერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 053 | რედინგი-კოლჩესტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 054 | სტოკი-ოლდემი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 055 | სუონსი-ოქსფორდი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 056 | უიგანი-კემბრიჯი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 057 | უიკომბი-ბერი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

### ინგლისი. III დივიზიონი. მე-18 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 058 | შრიუსბერი-კარდიფი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 19:00 | 059 | ბარნეტი-ბლეკპული | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 060 | კარლაისლი-საუთენდი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 19.00 | 061 | ჩელტენემი-ლეიტონი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 062 | ჩესტერფილდი-ჰალი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 063 | დარლინგტონი-ჰალიფაქსი | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 064 | ექსეტერი-სკანთორპი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 065 | ჰარტლპული-კიდერმინსტერი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 066 | მაკლსფილდი-ბრაიტონი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 067 | მენსფილდი-როჩდეილი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 068 | პლიმუთი-ლინკოლნი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 069 | იორკი-ტორკი | 1,8 | 3,0 | 4,2 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-15 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 070 | სენტ ეტიენი-მონაკო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 20.15 | 071 | პსჟ-ლიონი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 072 | ლილი-ოსერი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 073 | მეცი-გინგამი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 23.00 | 074 | რენი-ტულუზი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 075 | სედანი-მარსელი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.00 | 076 | ტრუა-ლანსი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 077 | სტრასბური-ბორდო | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| | | 13 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 078 | ბასტია-ნანტი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-19 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 079 | ლე ავრი-კრეტეი | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 080 | ანჟე-კაენი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 081 | კანი-ნიმი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 082 | შატორუ-ნიორი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 083 | გენიონი-ვასკეალი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 084 | ლე მანი-ნანსი | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 23.00 | 085 | მარტიგი-აიაჩო | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 086 | მონპელიე-ნიცა | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 087 | მონპელიე-ნიცა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 088 | სოშო-ბოვუა | 1,3 | 4,0 | 9,0 |
| | 089 | სოშო-ბოვუა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 090 | ლორიანი-ლავალი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### იტალია. სერია A. მე-6 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 091 | ატალანტა-ბრეშა | 1,75 | 2,9 | 5,0 |
| 23.30 | 092 | იუვენტუსი-ლაციო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 093 | ბარი-მილანი | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 18.00 | 094 | ბოლონია-ფიორენტინა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 18.00 | 095 | ინტერი-ლეჩე | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 096 | ინტერი-ლეჩე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 18.00 | 097 | პერუჯა-ნაპოლი | 1,75 | 2,9 | 4,2 |
| 18.00 | 098 | რომა-რეჯინა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 099 | რომა-რეჯინა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 100 | ვიჩენცა-ვერონა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.30 | 101 | პარმა-უდინეზე | 1,75 | 2,9 | 4,7 |

### იტალია. სერია B. მე-11 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 102 | სალერნიტანა-ვენეცია | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 103 | კიევო-ტორინო | 1,9 | 2,8 | 3,3 |
| 18.00 | 104 | ჩიტადელა-ემპოლი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 18.00 | 105 | კროტონე-ანკონა | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 18.00 | 106 | ჯენოა-მონცა | 1,6 | 2,8 | 6,0 |
| 18.00 | 107 | პესკარა-პიაჩენცა | 2,8 | 2,7 | 2,5 |
| 18.00 | 108 | სიენა-რავენა | 1,75 | 2,7 | 4,7 |
| 18.00 | 109 | ტერნანა-პისტოიეზე | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 110 | ტრევიზო-სამპდორია | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| | | 13 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 111 | კალიარი-კოზენცა | 1,7 | 2,8 | 5,6 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. მე-10 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 24.00 | 112 | დეპორტივო-სარაგოსა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 113 | ოვიედო-სოსიედადი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 114 | ვალიადოლიდი-ალავესი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 115 | ვალენსია-რაიო ვალეკანო | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 20.00 | 116 | მალაგა-ესპანიოლი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 117 | ბილბაო-სელტა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 118 | რასინგი-ოსასუნა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 20.00 | 119 | რეალი-ლას პალმასი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 120 | რეალი-ლას პალმასი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.00 | 121 | მალიორკა-ნუმანსია | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 23.00 | 122 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 123 | ბარსელონა-ვილიარეალი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. მე-12 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 21.00 | 124 | ესტრემადურა-ატლეტიკო | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 125 | უნივერსიდადი-ელჩე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 15.00 | 126 | ლეგანესი-უელვა | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 15.00 | 127 | ალბასეტე-ლევანტე | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 20.00 | 128 | ეიბარი-ბადახოსი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 20.00 | 129 | მურსია-ფეროლი | 1,55 | 3,2 | 6,0 |
| 20.00 | 130 | სალამანკა-ბეტისი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 131 | სევილია-კომპოსტელა | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.00 | 132 | ლეიდა-ხაენი | 2,8 | 3,0 | 2,3 |
| 20.00 | 133 | სპორტინგი-ხეტაფე | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 21.00 | 134 | ტენერიფე-კორდობა | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### პორტუგალია. I ლიგა. მე-11 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 135 | ბელენენსეში-მარიტიმუ | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 136 | ამადორა-სპორტინგი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 137 | ბრაგა-ავეში | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 138 | ბრაგა-ავეში 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20.00 | 139 | ფერეირა-კამპომაიორენსე | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.00 | 140 | ბენფიკა-ფარენსე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 141 | ბენფიკა-ფარენსე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 142 | ლეირია-ალვერკა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 20.00 | 143 | ბეირა მარი-ჟილ ვისენტე | 1,8 | 3,0 | 4,0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | | |
| 00.30 | 144 | პორტუ-სალგეირუში | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**პორტუგალია. II ლიგა. მე-11 ტური**

**12 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 145 | ნავალი-ფრეამუნდე | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 19.00 | 146 | ესპინიუ-აკადემიკა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.30 | 147 | რიუ ავე-ლეცა | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 19.30 | 148 | პენაფიელი-ლამაში | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 20.00 | 149 | ნასიონალი-ფელგეირაში | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 20.00 | 150 | შავეში-იმორტალი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 20.00 | 151 | მაია-ვარზიმი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 152 | სეტუბალი-მარკუ | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.00 | 153 | სანტა კლარა-ოვარენსე | 1,5 | 3,3 | 7,0 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-13 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 ნოემბერი** | | | |
| 23.00 | 154 | როზენდალი-ტილბურგი | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| | | **11 ნოემბერი** | | | |
| 22.30 | 155 | სიტარდი-ვალვაიკი | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| | | **12 ნოემბერი** | | | |
| 16.00 | 156 | პსვ-ფეიენოორდი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 17.30 | 157 | სპარტა-ნაიმეგენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.30 | 158 | აიაქსი-გრააფსხაპი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 159 | აიაქსი-გრააფსხაპი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 17.30 | 160 | ვიტესი-გრონინგენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 161 | ვიტესი-გრონინგენი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 17.30 | 162 | როდა-ჰერენვენი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 17.30 | 163 | ტვენტე-ბრედა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 17.30 | 164 | ალკმაარი-უტრეხტი | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-12 ტური**

**11 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 165 | ვეენდამი-ტელსტარი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 166 | ჰაარლემი-იგლსი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 22.00 | 167 | დორდრეხტი-ვეენდამი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 22.00 | 168 | ჰელმონდი-ექსელსიორი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 169 | ჰერაკლესი-დენ ბოსხი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 170 | ეინდჰოვენი-დენ ჰააგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.00 | 171 | ოსი-ვენლო | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.00 | 172 | ცვოლე-მაასტრიხტი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 173 | კამბური-ემენი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

**ბელგია. I დივიზიონი. მე-12 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **11 ნოემბერი** | | | |
| 23.00 | 174 | ბეერსხოტი-შარლერუა | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 23.00 | 175 | მეხელენი-ვესტერლო | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.00 | 176 | გენტი-ჰარელბეკე | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 177 | გენტი-ჰარელბეკე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 178 | ლოკერენი-ლიერსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **12 ნოემბერი** | | | |
| 16.00 | 179 | სტანდარდი-ანდერლეხტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 180 | ლუვიე-ანტვერპენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 181 | მუსკრონი-გენკი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 182 | ბრიუგე-ბევერენი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 183 | ბრიუგე-ბევერენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.00 | 184 | აალსტი-სენტ ტრუიდენი | 2,0 | 3,1 | 3,2 |

**ბელგია. II დივიზიონი. მე-12 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **11 ნოემბერი** | | | |
| 22.30 | 185 | დესელი-მონსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 186 | გეელი-ჰეუსდენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.00 | 187 | ჰეკელგემი-რუზელარე | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.00 | 188 | მაასლანდი-დაინცე | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 189 | ოსტენდე-სტრომბეკი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **12 ნოემბერი** | | | |
| 18.00 | 190 | ტინენი-სერკლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 191 | ტურნჰაუტი-ლიეჟი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 192 | ტურნჰაუტი-ლიეჟი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 193 | მოლენბეკი-ლომელი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 194 | დენდერლეუ-ინგელმუნსტერი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

**საბერძნეთი. მე-6 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **11 ნოემბერი** | | | |
| 21.00 | 195 | ათინაიკოსი-პანიონიოსი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| | | **12 ნოემბერი** | | | |
| 19.00 | 196 | აეკ-პანაჰაიკი | 1,2 | 5, | 9,0 |
| | 197 | აეკ-პანაჰაიკი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 198 | პანილიაკოსი-პაოკ | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 19.00 | 199 | იონიკოსი-კალამატა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 200 | ეთნიკოსი-იანინა | 1,6 | 3,1 | 5,6 |
| 19.00 | 201 | არისი-ირაკლისი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 21.00 | 202 | პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | **13 ნოემბერი** | | | |
| 19.00 | 203 | ოფი-ქსანთი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**ჩეხეთი. მე-14 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 ნოემბერი** | | | |
| 19.30 | 204 | ბანიკი-სიგმა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | **11 ნოემბერი** | | | |
| 17.00 | 205 | ბლშანი-სლავია | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 17.00 | 206 | სინოტი-იაბლონეცი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.30 | 207 | დრნოვიცე-ბუდეიოვიცე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.30 | 208 | პლზენი-ჟიჟკოვი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 209 | სპარტა-ტეპლიცე | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 210 | სპარტა-ტეპლიცე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **12 ნოემბერი** | | | |
| 17.00 | 211 | ბოჰემიანსი-ბრნო | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| | | **13 ნოემბერი** | | | |
| 18.30 | 212 | ლიბერეცი-პრჟიბრამი | 1,65 | 3,1 | 5,3 |

**პოლონეთი. მე-14 ტური**

**11 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 213 | შლიონსკი-გროცლინი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 16.00 | 214 | პოლონია-პოგონი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 17.00 | 215 | სტომილი-გურნიკი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 216 | რუხი-რაძიონკოვი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.00 | 217 | კატოვიცე-ვიძევი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 20.30 | 218 | პლოცკი-ზაგლებე | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | **12 ნოემბერი** | | | |
| 16.00 | 219 | ვისლა-ლეგია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.30 | 220 | ამიცა-ოდრა | 1,5 | 3,5 | 6,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თურქეთი. მე-12 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 ნოემბერი** | | | |
| 22.00 | 221 | გაზიანთეფი-ფენერბაჰჩე | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **11 ნოემბერი** | | | |
| 15.00 | 222 | ერზურუმი-ანთალია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 16.00 | 223 | ბურსა-იოზგათი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 16.00 | 224 | ისთანბული-გენჩლერბირლიგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 225 | გალათასარაი-რიზე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | **12 ნოემბერი** | | | |
| 15.30 | 226 | ტრაბზონი-ადანა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 227 | ტრაბზონი-ადანა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 15.30 | 228 | ანკარაგიუჯიუ-დენიზლი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 16.00 | 229 | ქოჯაელი-იეთფა | 1,65 | 3,1 | 5,0 |
| 21.00 | 230 | სამსუნი-ბეშიქთაში | 4,4 | 3,0 | 1,75 |

**შოტლანდია. მე-15 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **11 ნოემბერი** | | | |
| 19.00 | 231 | დანდი იუნაიტედი-დანდი | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| 19.00 | 232 | დანფერმლაინი-მოზერუელი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 233 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 19.00 | 234 | სენტ მირენი-ჰართსი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **12 ნოემბერი** | | | |
| 19.00 | 235 | სელტიკი-სენტ ჯონსტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 236 | სელტიკი-სენტ ჯონსტონი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 22.05 | 237 | აბერდინი-რეინჯერსი | 6,0 | 3,5 | 1,5 |

**ავსტრია. მე-19 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 ნოემბერი** | | | |
| 22.30 | 238 | ლინცერი-ზალცბურგი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **11 ნოემბერი** | | | |
| 18.30 | 239 | ბრეგენცი-რიდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | | **12 ნოემბერი** | | | |
| 17.00 | 240 | გრაცერი-რაპიდი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 18.30 | 241 | ტიროლი-ადმირა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 242 | ტიროლი-ადმირა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.30 | 243 | აუსტრია-შტურმი | 1,9 | 3,1 | 3,4 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-19 ტური**

**12 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 244 | ლუგანო-ბაზელი | 2,0 | 2,9 | 3,2 |
| 17.30 | 245 | სენტ გალენი-ქსამაქსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 246 | სენტ გალენი-ქსამაქსი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 17.30 | 247 | ციურიხი-ლოზანა | 2,0 | 3,0 | 3,3 |

**დანია. მე-16 ტური**

**12 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 248 | ოლბორგი-ჰადერსლევი | 1,1 | 4,4 | 8,0 |
| 18.00 | 249 | ორჰუსი-ჰერფიოლგე | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 250 | ლიუნგბიუ-ვიბორგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 251 | ოდენსე-აკადემისკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 18.00 | 252 | კოპენჰაგენი-სილკებორგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.05 | 253 | მიდტიულანდი-ბრიონდბიუ | 2,9 | 3,0 | 2,3 |

**რუსეთი. 30-ე ტური**

**12 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 254 | ტორპედო-ანჟი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 16.00 | 255 | სატურნი-დინამო | 2,5 | 3,0 | 1,7 |
| 16.00 | 256 | ცსკა-ლოკომოტივი | 1,9 | 3,0 | 2,5 |
| 16.00 | 257 | ურალანი-კრილია | 2,5 | 3,0 | 1,8 |
| 16.00 | 258 | ალანია-სპარტაკი | 2,5 | 3,0 | 2,0 |
| 16.00 | 259 | როსტსელმაში-ფაკელი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 16.00 | 260 | ზენიტი-როტორი | 1,3 | 3,2 | 6,5 |
| 16.00 | 261 | ჩერნომორეცი-ნოვგოროდი | 1,1 | 3,5 | 7,0 |

**შვედეთი. პლეი-ოფი. II მატჩი**

**12 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 262 | ჰეკენი-მიოლბიუ<br>I მატჩი: 2:3 | 1,7 | 3,2 | 4,0 |

**შვეიცარია. თასის 1/16 ფინალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **11 ნოემბერი** | | | |
| 20.30 | 263 | იანგ ბოისი-სიონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **12 ნოემბერი** | | | |
| 17.30 | 264 | ბელინცონა-გრასჰოპერი | 4,7 | 3,1 | 1,6 |
| 17.30 | 265 | დელემონი-თუნი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 17.30 | 266 | სოლოთურნი-ივერდონი | 3,6 | 3,1 | 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


# ქუთაისში

## ამუშავდა «კროკოს» განახლებული ბიურო ძველ მისამართზე

პუშკინის №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)

# ბათუმში

## კვლავ გაიხსნა «კროკოს» ბიურო ახალ მისამართზე:

მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

ემზარ ზენაიშვილი
სტამბოლიდან

# იყავ მართალი, ამღვრიე წყალი!

**შუადამე** რომ მოატანს, ჩვენი გუნდის კაპიტნები — კახა ჩიგოგიძე და დავით გურგენიძე ოტელ „ნიპონს“ მიაშურებენ ხოლმე, რომელიც 15 წუთის სავალზეა მათი სასტუმროდან. იქ მოაქვთ მომდევნო ტურის კენჭისყრის შედეგები. ამ დროს სპორტსმენებს უკვე სძინავთ, შტაბი კი ფხიზლობს. კენჭისყრის შედეგებს, პირველ ყოვლისა, ნაკრების მწვრთნელი ხვიჩა სუპატაშვილი ელის, რომელიც სამ ოლიმპიადაში თავად თამაშობდა.

მოწინააღმდეგე გუნდების შეტყობინებისთანავე, კომპიუტერულ ბანკში იწყება ძიება — ვინ რას თამაშობს, ცდილობენ, გამოიცნონ შემადგენლობა, განსაზღვრონ მატჩის სტრატეგიაც და ტაქტიკაც.

მეორე დილით, 10 საათამდე შემადგენლობათა განაცხადები ბარდება მსაჯთა კოლეგიას, 12 საათისთვის კი უკვე ცნობილია, ვინ ვის ეთამაშება. იწყება მზადება, ამჯერად კონკრეტულ მეტოქეზე გათვლით. სადილი და უკვე დროა, გეზი სათამაშო დარბაზისკენ აიღო.

ჩვენს ვაჟთა ნაკრებს კენჭისყრაში ბედი არ სწყალობსო, ნამდვილად ვერ იტყვი. აი, ახლაც ესტონეთს ხვდებიან, რომელთაც იან ელვესტი კი ჰყავთ, მაგრამ სხვების სიძლიერის რა მოგახსენოთ.

ამჯერად კენჭისყრაში ჩვენს ქალებსაც გაუმართლათ. საქმე ისაა, რომ მე-11 ტურში უკრაინელებთან, ისევე როგორც წინა, მე-10 ტურში, პირველ და მესამე დაფებზე თეთრი ფიგურებით ვითამაშებთ.

მაია ჩიბურდანიძის საჭადრაკო კლასი და პირველი სვლის უპირატესობა გვაიმედებდა, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონი ნამდვილ ბრძოლას გაუმართავდა უკრაინელთა ლიდერ ჟუკოვას. თუ ჩემპიონობა გსურს უკან დასახევი გზა აღარც არის.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო... დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მაიამ ყაიმს მოაწერა ხელი, ისე, რომ გუნდის კაპიტანს არც ჰკითხა. გაკვირვებულნი რომ შეაცქერდნენ, ასე უპასუხია, სიახლე გამოიყენაო. ჯერ ერთი, შავებით სიახლის გამოყენება მაქსიმუმ იმას ნიშნავს, რომ პოზიცია გაათანაბრო. მაგრამ ჭადრაკში ხომ არის მიტელშპილი, სადაც ჩნდება მოჭადრაკის ნიჭი, სტრატეგიული და ტაქტიკური პრობლემების გადაჭრისას ვლინდება მისი შემოქმედებითი აღმაფრენა, ინტუიცია, კომბინაციური გათვლის უნარი და კიდევ მრავალი სხვა. ხანდახან, როცა საქმე ითხოვს, პარტიაში წყალიც უნდა აამღვრიო და ქარიშხალიც დაატრიალო.

ჭადრაკს კიდევ ერთი, ურთულესი სტადიაც გააჩნია — ენდშპილი...

მინდა, მკითხველმა სწორად გამიგოს. თავს უფლებას როგორ მივცემ, მაია ჩიბურდანიძეს პოზიციის გაგებასა და შეფასებაში რაიმე ვურჩიოთ. ეჭვი არავის ეპარება, რომ ყაიმის დაფიქსირებისას დაფაზე საყაიმო პოზიცია იქნებოდა.

მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადები მსოფლიოს გუნდური პირველობაა. რადგან არის გუნდი, არსებობს მისი ლიდერი, გამორჩეული პროფესიული დონითაც და პიროვნული თვისებებითაც. აქ ყველაფერი ემორჩილება გუნდის ინტერესებს და ამავე დროს მისი თითოეული წევრის ინტერესს. მოკლედ, სასურველი საბოლოო შედეგის მისაღწევად დიდი ძალა აქვს ლიდერის პირად მაგალითს.

მკითხველმა თავად განსაჯოს: სატურნირო უქმე დღის შემდეგ ითამაშო ერთი ტური, შემდეგ ორი გამოტოვო და მომდევნო ორში თეთრი ფიგურებით ყაიმზე შეთანხმდე, დაიხურო ქუდი და წახვიდე სასტუმროში. შენი კოლეგები კი შენთვისაც აგრძელებენ ბრძოლას საჭადრაკო დაფებთან.

ყოველივე ამას გულისტკივილით ვწერ. მაიაც გამიგებს — ერთი და ორი წელი კი არაა, ერთმანეთს რომ ვიცნობთ. მაგრამ გულახდილად უნდა ითქვას, სტამბოლში მაიამ თავისი შესაძლებლობები ვერ გამოამჟღავნა, არადა ყველამ ვიცით, რა შეუძლია მას ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა. სამი ტური კი ისევ წინაა.

ისე, ერთიცაა — სტამბოლის ბატალიების შემდეგ, სულ რაღაც ორიოდ კვირაში, ინდოეთში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ჭადრაკის სამშობლოში გასამართი ტურნირი ბევრისთვის იქნებ წლის მთავარი შეჯიბრია. ოღონდაც მსოფლიოს ჩემპიონობა დავიბრუნოთ და ოლიმპიადას ვინ ჩივის.

კიდევ ერთი რამ შევნიშნე. მესამე თუ მეოთხე ტურის პარტიები მიმდინარეობდა. ჩინელთა პირველი ნომერი, მსოფლიოს ჩემპიონი სიუ ჟუნი იმ დღეს არ თამაშობდა, მაგრამ თავიდანვე დარბაზში ტრიალებდა. ერთხელაც „სათამაშო მინდორზე“ შევიდა, საჭადრაკო რანგით და ასაკით უმცროს კოლეგებს პლასტმასის ცარიელი ჭიქები მაგიდიდან აალაგა, წყალი ჩაუსხა და სამივეს ჩამოურიგა. შემდეგ „მოედნიდან“ გამოვიდა და ისევ მაყურებლის ადგილი დაიკავა.

შტრიხია, მაგრამ ალბათ ბევრის მთქმელი.

ცხრატურიანი მარათონის შემდეგ დასვენება ითხოვა ნანა იოსელიანმა და მეორე დაფაზე ნინო ხურციძეს მოუწია თამაში. დებიუტში, რომელმაც საბოლოო ჯამში კატალონიურის სახე მიიღო, ნინო უარესად იდგა, მაგრამ კარგად ისარგებლა იმით, რომ მოწინააღმდეგე მოგების გზის უშედეგო ძიებით გადაიღალა, ტემპი შეანელა და საბოლოოდ — ყაიმი. სედინასთან ნინო გურიელმა დებიუტი მძიმედ გაითამაშა, მწვავე ცაიტნოტში ჩაიგდო თავი და საქართველოს ნაკრები პირველად დამარცხდა სტამბოლში — 1:2. არადა, რა ბრწყინვალედ მიდიოდა ნინო დღემდე — 4,5 ქულა 5-დან!

ჩინელთა მორიგი მძლავრი ზათქი და ისევ სამი ქულა, ამჯერად ჩეხებთან. სხვაობა ლიდერთან უკვე 2,5 ქულაა, მესამე ადგილზე მყოფ ჰოლანდიელებთან კი — 1,5.

ზურაბ აზმაიფარაშვილმა და გია გიორგაძემ ესტონელებთან სწრაფი ყაიმი დააფიქსირეს და მატჩის ბედის გადაწყვეტა ზურაბ სტურუასა და გიგა ყაჭეიშვილს მიანდეს, მათ თავი არ შეურცხვენიათ — ზურაბმა ბოლო შვიდ ტურში მეხუთე გამარჯვება იზეიმა ორ ყაიმთან ერთად. ვერაფერს იტყვი — მართლაც რომ დიდოსტატური შედეგია! გიგა ყაჭეიშვილს საოცრად არ უმართლებს სტამბოლში. დღესაც დებიუტში სოლიდურ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ საბოლოოდ მაინც ყაიმს დასჯერდა. 2,5:1,5 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა ჩვენმა ნაკრებმა და სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა.

ოლიმპიადის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე ვაჟთა ნაკრები ათეულში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს. ეს უდავოდ კარგი შედეგი იქნება. ზედიზედ ხუთ საჭადრაკო ოლიმპიადაზე ათეულში მოხვედრა თავისთავად ურიგო შედეგი როდია.

რაც უნდა დასანანი იყოს, მაინც უნდა ითქვას — საქართველოს ქალთა ნაკრები, ალბათ, ვერ შეძლებს ჩემპიონობის დაბრუნებას. ვერცხლის მედლების მოპოვება კი არ უნდა გაუჭირდეთ, რაც ელისტის შედეგთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

მაგრამ, მოდით, ნუ ვიჩქარებთ — საჭადრაკო ოლიმპიადების შედეგები პროგნოზს ნაკლებად ექვემდებარება. ერთმა ტურმა შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დააყენოს. თუ საქართველომ თავის დროზე მოახერხა ვიეტნამთან 0:3 წაგება, იქნებ მსგავსი რამ სხვა გუნდსაც დაემართოს... ეს ისე, ვიოცნებოთ.

ნონა გაფრინდაშვილის თასისთვის ბრძოლაში პირველ ადგილზე ჩინეთია — 52 ქულა. შემდეგ მოდიან: რუსეთი — 51,5; გერმანია და უკრაინა — 49,5; საქართველოსა და ჰოლანდიას 49-49 ქულა აქვთ.

# ბიჭი, რომელიც ჩემზე მეტს შეძლებს

## კრამნიკს მსოფლიოს ჩემპიონობა კასპაროვმა უწინასწარმეტყველა

**კიდევ** ერთი გიგანტური ჭიდილი დასრულდა. მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს, იგივე რეალური მსოფლიოს ჩემპიონი გამოიცვალა — პლანეტა დედამიწის მოქალაქე გარი კასპაროვმა 25 წლის ტუაფსელ ვლადიმირ კრამნიკთან 6,5:8,5 წააგო და რახან დარჩენილი მე-16 პარტიის ნაცვლად დანიშნული სწრაფი ჭადრაკის ორ პარტიაზე მოჭადრაკეებმა უარი განაცხადეს, საბოლოო ანგარიშიც ეს გახლავთ.

მაშ, ვლადიმერ კრამნიკი მსოფლიოს ჩემპიონია! ახლა მას შესაფერის პატივს მიაგებენ — იწვევენ, ეწვევიან, ესაუბრებიან, აქებენ და მისი ამას წინათ გამოცემული წიგნის (ჩემი ცხოვრება და თამაშები) ფასმაც 17 გირვანქასა და 99 პენის (24,95 $) უწია, რაც 270 გვერდისთვის, თუნდაც საქმე მარტო გვერდებში არ იყოს, გვარიანი თანხაა.

იმავდროულად კვლავ მსჯელობენ იმაზე, კრამნიკმა მოიგო მატჩი თუ კასპაროვმა წააგო, ან რა ფაქტორებმა განსაზღვრა ამგვარი უცნაური შედეგი, ჭადრაკის ფანებისთვის ლამის შოკად რომ იქცა. პროფესიონალი მოჭადრაკეები უყოყმანოდ აღნიშნავენ, რომ კრამნიკმა მეტოქე სტრატეგიულად დაჯაბნა — როცა მატჩის უმეტეს პარტიებში დაფაზე თავისი გარემოს შექმნა მოახერხა და ტაქტიკურადაც: დებიუტებში თითქმის მუდამ იმარჯვებდა, ხოლო ენდშპილში მეტოქეზე გაცილებით ცოტა შეცდომებს უშვებდა. თეთრებით კასპაროვმა პირდაპირ ამოიჩემა ესპანური პარტიის ბერლინის სისტემა, პარტიიდან პარტიამდე აუმჯობესებდა საკუთარ თამაშს, მაგრამ ქულის მოპოვებამდე ვერც ერთხელ ამაღლდა. ეს მაშინ, როცა კრამნიკი ბერლინის კედლის დაცვაში თვეობით ნავარჯიშევი ჩანდა და ძნელად, რომ სადმე ხვრელი დაეტოვებინა. ვერც ინგლისურმა დასაწყისმა გაუმართლა ექსჩემპიონს. კრამნიკი და მისი მთავარი დამხმარე ევგენი ბარეევი ამ დებიუტსაც ჩინებულად იცნობენ და არაფერი შეშლიათ. მხოლოდ ძლიერ გვიან, მე-15 პარტიაში მიმართა კასპაროვმა კატალონურ დასაწყისს და როგორც იყო, შავი ბანაკის მძლავრ მარწუხებში მოქცევა შეძლო, მაგრამ ამ მომენტისთვის გარი, ეტყობა, უკვე წაგებულის ფსიქოლოგიით თამაშობდა და ვერ იხეირა.

კრამნიკის თეთრები კი დიდებულად ირჯებოდნენ. საუკეთესო პარტიები სწორედ „თეთრი“ კრამნიკისა და „შავი“ კასპაროვის მონაწილეობით გათამაშდა და ორი ქულიანიც მათ შორის იყო. კრამნიკმა და მისმა გუნდმა, ფაქტობრივად, მოსპეს გრიუნფელდის დაცვა — დებიუტი, რომელიც კარპოვთან ბატალიებისას კასპაროვის ურთგულესი მეგობარი იყო. შემდეგ ჯერ კიდევ ჩემპიონმა ლაზიერის მიღებული გამბიტი მოსინჯა და იქაც ჩაფლავდა. მხოლოდ ბოლოს, ნიმცოვიჩის დაცვამ შექმნა ის პირობები, რომელშიც კასპაროვს წარმატებაზე ფიქრი შეეძლო, მაგრამ მან ისინი ვერ გამოიყენა. „კასპაროვი უბრალოდ დაიღალა“ — ამას ფიქრობს უმრავლესობა და არ ფიქრობს თავად კასპაროვი. რეიტინგ-ლისტებში იგი ჯერაც პირველია, იანვრიდან კი თავისი ჩვეული რიტმით თამაშს აპირებს, ანუ: ვიიკ-აან-ზეე იანვარში, მერე ლინარესი, სარაევო და ფრანკფურტი.

ასეთია საქმის ვითარება საჭადრაკო თვალსაზრისით, მაგრამ ჟურნალისტთა ერთ ჯგუფს ნიმცოვიჩი და გრიუნფილდი ისევე აინტერესებს, როგორც... მათ კასპაროვის წაგების უფრო მყვირალა მიზეზი სჭირდებათ და აი, ისიც: ლონდონის პრესა ამტკიცებს, კასპაროვი ყოფილ ცოლთან შვილის მეურვეობის უფლებისთვის იბრძვისო. სხვა რაღაცეებიც დაიწერა, ამიტომ ადგა კასპაროვი და თავის ვებ-გვერდზე უპასუხა:

*ბოლო დღეებში ლონდონის პრესამ განაცხადა, ვითომ მე ყოფილ ცოლთან ბავშვისთვის ვიბრძოდე, მაგრამ ტყუილია ყველაფერი. თუ რაშია საქმე, მოგახსენებთ.*

*მარიაზე* (მარია ნეიოლოვა რუსი მსახიობია) *1989 წელს დავქორწინდი, ოთხი წლის შემდეგ პოლინა გაგვიჩნდა, ხოლო 95-ში გავიყარეთ. ის ბავშვიანად შტატებში წავიდა, უკანონოდ, არალეგალურად, რადგან მოსკოვის სასამართლოს ნებართვა არ ჰქონია. მე შემეძლო, ამერიკაშიც მომეძებნა სამართალი, მაგრამ ჩემი ყოფილი ცოლის საქციელი ცინიკურთან ერთად კარგად გათვლილი იყო — მან კარგად იცოდა, რომ ბავშვს ვერანაირ ზიანს ვერ მივაყენებდი. საერთოდ, მგონია, რომ ბავშვი დედასთან უნდა იზრდებოდეს, თუმცა მეც მაქვს უფლება, ხანდახან ვინახულო და ჩემთანაც ვიყოლიო. ცოლის ცუდი ქმედების მიუხედავად, მე მას თვეში 3000 დოლარს მუდამ ვუგზავნიდი, გაყრისა 430 ათასი გადავუხადე და კერძო სკოლაში ბავშვის აღზრდის ხარჯები ვიკისრე, ხოლო პასუხი ასეთი იყო — შარშან ბებიაჩემი კვდებოდა და ყოფილ ცოლს შევუთვალე, ბავშვი ჩამოიყვანე, უკანასკნელად შეხედოს-მეთქი. ჯერ დამეთანხმა, მერე კი სასამართლოში საქმე აღძრა, მამამისისგან ბავშვის ნახვის გეოგრაფია ნიუ იორკისა და ნიუ ჯერსის შტატებით შემოფარგლეთო, ამას ითხოვს. ჩვენი ბოლო შეხვედრისას ეს ამბავი გავარჩიეთ და არა მეურვეობის საკითხი, როგორც პრესა ამტკიცებს.*

*სხვა წვრილმან უაზრობებზე ვპასუხობ: საგადასახადო პრობლემები არა მაქვს, ჩემი ოჯახის ყველა წევრი ჯანმრთელია, ის მილიონები, რომლებიც თითქოს IBM-სა და ALTAVISTA-სთან თანამშრომლობისთვის ავიღე, ნეტავ, მართლა ამეღო, დედაჩემი, დიახაც, ჩემი უახლოესი მეგობარი და მრჩეველია და სადაა, თორემ ჭეშმარიტად მინდა, 15 ენა ვიცოდე.*



ვლადიმირ კრამნიკმა ვისკი დაიგდო და ლიმონიან ჩაის მიეძალა

ამასობაში ვლადიმირ კრამნიკი გამარჯვებით ტკბება და მისი ბიოგრაფია წვრილად იბეჭდება ათას სპორტულ და არასპორტულ გაზეთში. დაიბადა ტუაფსეში 25 წლის წინ. 7 წლისა ქალაქის პიონერთა სასახლეში ჭადრაკის სათამაშოდ მიიყვანეს და ორი წლის შემდეგ ქალაქში ვერავინ ვერ უგებდა. პირველად მანილას ოლიმპიადაზე გაიბრწყინა, სადაც კასპაროვის ჩაგდებული სიტყვის წყალობითაც ათამაშეს. მანილაში 1992 წელს კრამნიკმა 9-დან 8,5 ქულა აიღო. მერე კი მიჰყვა და მიჰყვა. ადრე ბოტვინიკს უთქვამს, ამ ბავშვში მსოფლიოს ჩემპიონს ვხედავო, მერე კასპაროვმაც იგივე გაიმეორა და, სამწუხაროდ, აუხდა.

კრამნიკის გამარჯვების მიზეზთა კვლევა ჟურნალისტმა ჯონ ჰენდერსონმა იკისრა (მატჩის დროს დარბაზიდან რომ გააგდეს) და 12-წლიანი შოტლანდიური ვისკით ხელდამშვენებული ჩემპიონს იმ ბინაში ეწვია, სადაც ადრე მისი ბანაკი იყო. მთელი თვის მანძილზე ბინაში მოხვედრა შეეძლოთ მხოლოდ სეკუნდანტ-დიდოსტატებს (ევგენი ბარეევი, მიგელ ილესკასი, ჟოელ ლოტიე), მზარეულ ანტონიოს (ილესკასის ბიძა) და სკოტ ლორდ რენელს, ძველ მორაგბესა და კრამნიკის მენეჯერს.

— ეს რა არის? — იკითხა კრამნიკმა ვისკის დანახვისას და გაიღიმა — განა არ იცით, რომ ჩემპიონი გავხდი და ალკოჰოლს შევეშვი. ახლა 100 გრამის ნაცვლად სხვა რამეს ჩავიფენ ხოლმე.

საილუსტრაციოდ კრამნიკმა ჩაიში ლიმონი ჩაწურა და საუბარი დაიწყო. ინტერვიუს შემოკლებით გთავაზობთ.

**— ვლადიმირ, გილოცავთ და პირველ რიგში ტრადიციისამებრ გკითხავთ: როდის იგრძენით, რომ ჩემპიონი გახდებოდით?**

— მეათე პარტიის შემდეგ როცა ორი ქულით დავწინაურდი, ღრმად ვირწმუნე, რომ წარმატება შორს არ იყო.

**— ვიიკ-აან-ზეეს ამასწინანდელ ტურნირზე თქვენ არაქათის გამოცლას უჩიოდით. ამჯერად როგორ ფიზიკურ მდგომარეობაში იყავით?**

— სიგარეტი გადავაგდე. მატჩამდე ესპანეთში ილესკასთან ვცხოვრობდი. ყოველდღე ვცურავდი, სიმძიმეებს ვეწეოდით და ფრენბურთს ვთამაშობდით. ინგლისში ერთხანს ჩოგბურთსაც მივდევდით, ოღონდ მხოლოდ მატჩის დაწყებამდე.

**— რომელმა ფაქტორმა განაპირობა თქვენი გამარჯვება?**

— უპირველესად სიმამაცემ. სწორად გამიგეთ, კასპაროვი უდიდესი ოსტატია, მაგრამ მოჭადრაკეთა უმრავლესობას მისი ეშინია. ამას მათ თვალებზე ვატყობ, როცა დაფასთან მიდიან. მათი სურვილია, რამდენიმე სვლა გააკეთონ და საათი გააჩერონ. ნუ შეგეშინდება! — ეს იყო ჩემი ფუნდამენტური პრინციპი და გაამართლა კიდეც.

**— თქვენ დაფასთან ძლიერ წყნარი ჩანხართ. სპასკიც ასეთი იყო, მაგრამ თავად თქვა, ცხოვრებაში ნერვიული ვარო. თქვენ?**

— მე ყველგან წყნარი ვარ, თითქმის 100 პროცენტით.

**— ბოლო დროს ბევრი ითქვა, თითქოს ბოტვინიკ-კასპაროვის სკოლაში ერთხანს თავად კასპაროვი გავარჯიშებდათ...**

— პერსონალურად მასთან არასოდეს მივარჯიშია. ჩვენ 12 ბავშვიან ჯგუფებში ვიყავით გაერთიანებულნი და იქ იშვიათად ლექციებსა და პრაქტიკულებს გვიტარებდა. ამიტომ „მოსწავლემ აჯობა მასწავლებელს“ ტიპის საუბარი ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფია. ჩემი მასწავლებელი ბოტვინიკი იყო.

**— როგორია კასპაროვთან თქვენი ამჟამინდელი ურთიერთობა?**

— მგონი, იგი დარჩა ისეთი, როგორიც იყო — კარგი. გამარჯვება ძლიერ ჯენტლმენურად მომილოცა და მითხრა, შენ უნდა მოგეგოო.

**— დაბოლოს, რას აპირებთ ახლო მომავალში?**

— ჯერ უნდა დავისვენო! ერთი-ორი თვე ძირს ჭადრაკი, მხოლოდ მეგობრები და ცოტაც წიგნები. იანვარში პიტერ ლეკოსთან ჩქარი ჭადრაკი უნდა ვითამაშო, მერე კი ვიიკ-აან-ზეე და მისი ჯანი.

დავით გულუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

## IV ტურის საუკეთესო მოთამაშე

**ირაკლი შანიძე** — მაკაბი



**მეოთხე** ტურიდან გადმოტანილ მატჩში „მაკაბის“ წინააღმდეგ თბილისის „დინამო“ მოსაგებად იყო შემართული. ლევან მოსეშვილის გუნდს გამარჯვების სურვილი ჰკლავდა, თუმცა მისი მეტოქეც კერკეტი კაკალი გამოდგა და „დინამოს“ სეზონში პირველი მოგება არ დაანება.

მაკაბელთაგან უკლებლივ ყველა კალათბურთელი გუშინწინ მოწოდების სიმაღლეზე იდგა, განსაკუთრებით კი თავი ირაკლი შანიძემ გამოიჩინა, იგი პირველივე მეოთხედის შუაწელში სოლიდურად დაწინაურებულ „მაკაბის“ ლიდერობას უნარჩუნებდა და მოწინააღმდეგეს მიახლოების საშუალებას არ აძლევდა. საბოლოო ჯამში შანიძემ ამ მატჩში 36 ქულას მოუყარა თავი. შეხვედრისა და მთლიანობაში მეოთხე ტურის საუკეთესო მოთამაშედაც სწორედ იგი მივიჩნიეთ.

შანიძის წინააღმდეგ ყველა დინამოელი უძლური იყო, მის შეჩერებას რიგრიგობით ცდილობდნენ მოსეშვილის შეგირდები, მაგრამ ირაკლი ანგარიშს არავის უწევდა — ორივე ფრთიდან სამქულიანებით ბომბავდა მეტოქის კალათს, დაუყოვნებლივ ერთვებოდა სწრაფ შეტევებში, საშუალო მანძილიდან თუ საჯარიმოს ხაზიდან იშვიათად ცდებოდა.

„მაკაბი“ პირველად სწორედ შანიძის ძალისხმევით დაწინაურდა საფუძვლიანად. „დინამოს“ რბევას მატჩის მეხუთე წუთზე ირაკლიმ დაუდო სათავე. მან ზუსტად წუთსა და ათ წამში ზედიზედ 8 ქულა მოინაგრა და თავისიანებს 10-ქულიანი მარაგი შეუქმნა. სულ კი პირველ მეოთხედში „მაკაბის“ მიერ მოგროვებული 32 ქულიდან ნახევარზე მეტი — 17 შანიძემ ჩაიწერა თავის აქტივში.

დარჩენილ დროში „დინამომ“ რამდენჯერმე სცადა მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა მეტოქის შეცდომებზე ჩასაფრებული „შანო“. ირაკლის თავგამოდების შედეგად მესამე მეოთხედში მოსეშვილის გუნდმა მარცხს თვალი გაუსწორა, მოგვიანებით კი საბოლოოდ გატყდა „დინამო“ და ბედს შეეგუა. აქ ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ტუჯანი, დაჩუმი, სარიშვილი და წოწელია კარგ პარტნიორობას უწევდნენ და პასს არ უგვიანებდნენ შანიძეს, რომელიც პოზიციურად თითქმის შეუმცდარად მოქმედებდა.

ირაკლი შანიძე თავის პირველ სეზონს ატარებს „მაკაბიში“. იგი სეზონებს შორის პერიოდში გადავიდა „ვიტადან“ და ახალ კლუბთან ერთად კორაჩის თასზე ასპარეზობაც მოასწრო. სხვადასხვა დროს მას „კაქტუსსა“ და „დინამოშიც“ უთამაშია.

## სუპროლიგა

FIBA SuproLeague

ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 9 ნოემბერი

### A ჯგუფი

ულძერი 78:65 ვილერბანი

სპლიტი 83:88 ცეპტერი

სიენა 65:97 პანათინაიკოსი

ლიეტუვოს რიტასი 84:88 ცსკა

### B ჯგუფი

კრკა 92:73 ბაიერი

მაკაბი 69:59 ეფესი

პო ორტეზი 92:95 ოსტენდე

პარტიზანი 76:73 სკავოლინი

## ევროკალათა

რუსეთის ნაკრების და ყაზანის „უნიქსის“ ფორვარდი რუსლან ავლეევი ხულიგნობისთვის მკაცრად დაისაჯა. საპორტას თასის მატჩში, სადაც „უნიქსი“ თურქეთის „ბეშიქთაშს“ ხვდებოდა, ავლეევმა მსაჯი, იუგოსლაველი მილოვოე იოვჩიჩი გალახა. შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მსაჯმა ავლეევის გარბენი დააფიქსირა. კალათბურთელს არ მოეწონა გადაწყვეტილება, ჯერ სახეში გაარტყა ბურთი იოვჩიჩს, მერე ცხვირ-პირში მუშტი დაჰკრა და, ბოლოს, წაქცეულს, წიხლებითაც შესდგა. მსაჯი გაითიშა, „ბეშიქთაშის“ კალათბურთელები შიშით გასახდელში გაიქცნენ და მატჩი ნახევარი საათით შეწყდა. შეხვედრა მეორე არბიტრმა დაასრულა, ხოლო „ბეშიქთაშმა“ 65:60 მოიგო.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) იმსჯელა მომხდარის შესახებ და ავლეევი საერთაშორისო სარბიელიდან ორი წლით მოკვეთა. სოლიდური ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს „უნიქსსაც“. რუსეთის კალათბურთის ფედერაცია 15 ნოემბერს განიხილავს აღნიშნულ ინციდენტს და ავლეევს რუსეთის ჩემპიონატშიც გამოუწერს გარკვეულ დისკვალიფიკაციას.

* * *

**ისრაელის ნაკრებს ახალი წევრი ჰყავს — თელ ავივის „მაკაბის“ გამთამაშებელი დერიკ შარფი. ეს შავკანიანი მოთამაშე ამერიკელია, ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოში დაიბადა და კალათბურთსაც იქვე ეზიარა. იგი შვიდი წლის წინ ისრაელში ჩავიდა, იქაური მოქალაქეობა მიიღო და ებრაელთა ნაკრებში თამაშსაც დათანხმდა.**

**28 წლის შარფის სიმაღლე 183 სანტიმეტრია. ისრაელის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მული კაცურინი შენაძენით კმაყოფილია. იგი თვლის, რომ შარფმა წარმატებით უნდა შეცვალოს კალათბურთიდან წასული დორონ შეფერი და ათენის „პანათინაიკოსის“ ტრავმირებული გამთამაშებელი ოდედ კატაში. ისრაელის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ელის: 22 ნოემბერს ჰოლანდიას შეხვდება, 26 ნოემბერს — ბოსნიას, ხოლო 29 ნოემბერს — ფინეთს.**

* * *

საბერძნეთის ერთ-ერთ უძველეს კლუბს, სალონიკის „არისს“ საქმეები კარგად ვერ მისდის. ამის გამო სალონიკელთა ხელმძღვანელობამ შემადგენლობის გადახალისება განიზრახა. ამერიკელი ენტონი ბოუი აუცილებლად დატოვებს გუნდს, მისით უკვე დაინტერესდა სტამბოლის „ეფესი“. იგივე ბედი ელის მეორე ამერიკელ ჯოშ გრანტს, რომელმაც ცოტა ხნის წინ პრესაში საჯაროდ გააკრიტიკა „არისის“ მმართველობა. შეიცვლება გუნდის მწვრთნელიც ხორვატი დრაგან საკოტას ადგილს სავარაუდოდ ამერიკაში დაბადებულ-გაზრდილი ბერძენი სტივ იაჯოლლუ დაიკავებს. იაჯოლლუ 90-იანი წლების დასაწყისში წვრთნიდა „არისს“, მაშინ, როცა სალონიკის გუნდში ჩვენებური ირაკლი ბაქრაძე თამაშობდა.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# საქმეს მიხედე, შაკ!

8 ნოემბერი

**სან ანტონიო 91:81 ლეიკერსი**
სან ანტონიო: დანკანი (22 ქულა, 17 მოხსნა), რობინსონი (16), ანდერსონი (16)
ლეიკერსი: ბრაიანტი (32), ონილი (13 ქულა, 17 მოხსნა)

**ინდიანა 108:97 მილუოკი**
ინდიანა: მილერი (41), ონილი (24 ქულა, 12 მოხსნა)
მილუოკი: კასელი (29 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა), რობინსონი (20)

**ვაშინგტონი 86:102 ნიუ ჯერსი**
ვაშინგტონი: ჰამილტონი (30), სტრიკლენდი (18)
ნიუ ჯერსი: მარბერი (31), მარტინი (20), ჯეკსონი (16)

**ნიუ იორკი 97:99 კლივლენდი**
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (25), რაისი (23), ჯონსონი (17)
კლივლენდი: კოულზი (17), მილერი (16), ჰარპრინგი (16)

**ფილადელფია 103:94 დეტროიტი**
ფილადელფია: აივერსონი (28), სნოუ (23)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (36), ატკინსი (24)

**მაიამი 87:81 სიეტლი**
მაიამი: გრანტი (30 ქულა, 21 მოხსნა), ჯონსი (25)
სიეტლი: პეიტონი (22), ლუისი (16)

**ორლანდო 90:96 შარლოტი**
ორლანდო: არმსტრონგი (18), ოუთლოო (16 ქულა, 16 მოხსნა)
შარლოტი: ვესლი (30), ბრაუნი (19 ქულა, 10 მოხსნა)

**დალასი 74:101 ვანკუვერი**
დალასი: ლეიტნერი (17)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (28 ქულა, 12 მოხსნა), ჰარინგტონი (21)

**დენვერი 109:107 მინესოტა**
(ძირითადი დრო 98:98)
დენვერი: ლენარდი (20), ლაფრენცი (19 ქულა, 15 მოხსნა)
მინესოტა: გარნეტი (26 ქულა, 16 მოხსნა), ბრენდონი (21), ნესტეროვიჩი (13 ქულა, 10 მოხსნა, 8 დაფარება)

**კლიპერსი 87:93 იუტა**
(ძირითადი დრო 76:76)
კლიპერსი: ნესბი (19)
იუტა: მელოუნი (31 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)

**საკრამენტო 115:84 გოლდენ სტეიტი**
საკრამენტო: ვებერი (27), სტოიაკოვიჩი (27)
გოლდენ სტეიტი: ფორტსონი (17 ქულა, 14 მოხსნა)




დიდ კაცთან პატარა კაცსა ზოგჯერ გასვლია მართალი... ფილადელფიელი ალენ აივერსონი (ბურთით) და დეტროიტელი ერიკ მონტრო

შარშან, როდესაც „სან ანტონიო სფურზი“ ჩემპიონი გახდა, ლეიკერსელ შაკილ ონილს ასეთი სიტყვები დასცდა, მაგ გუნდში ტიმ დანკანია კარგი, მეორეს კი ურჩევნია, სხვისი წყალობით მოპოვებული ოქროს ბეჭედი შეირგოს და დროზე წავიდეს კალათბურთიდან, რადგან ამ საქმეში მას არაფერი ესმისო. ეს სიტყვები ონილმა არა რომელიმე რიგითი მოთამაშის, არამედ თვით დევიდ რობინსონის მისამართით წარმოთქვა. ლიგის ყველაზე მძიმეწონოსანი მოთამაშე აშკარად შეცდა რობინსონის შეფასებაში, იგი ახლა პასუხს აგებს. არა, ინტელიგენტ რობინსონს არც საქმე გაურჩევია ონილისთვის და არც სასამართლოში უჩივლია, გუშინწინ მან უბრალოდ დაუმტკიცა აუგის მთქმელს, რომ მისი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. „ადმირალმა“ უბრალოდ თამაშით აჯობა ონილს, რითაც მიანიშნა, ჯერ დაფიქრდი და მერე ილაპარაკეო.

კრიზისზე საუბარი ჯერ ნაადრევია, „ლეიკერსმა“ სულ ექვსი თამაში მოილია და მთელი სეზონი წინა აქვს, მაგრამ ამავდროულად ჩემპიონმა სამჯერ დამარხება უკვე მოასწრო. წინა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე და გუნდის ლიდერი შაკილ ონილი ლეიკერსის ხელმძღვანელობას და უბრალო გულშემატკივრებს ნერვიულობის საბაბს აძლევს. ამ ორ დღეში შაკმა ჯერ 37 წლის ჰიუსტონელ ჰაკიმ ოლაჯუონს ვერაფერი მოუხერხა, ახლა კი 35 წლის რობინსონმა თითქმის საერთოდ გამოთიშა თამაშიდან. ონილმა ამ შეხვედრაში 17 ბურთი კი მოხსნა, მაგრამ ამ სეზონში ქულები ყველაზე მცირე რაოდენობით მოაგროვა.

მატჩის პირველი წამებიდანვე რობინსონის კლანჭებში მოქცეული ონილი ყოველი ბურთის ჩაგდებაზე ძალიან წვალობდა. ასეთი რამ კი მან მთელი თამაშის განმავლობაში სულ ხუთჯერ მოახერხა, საჯარიმოებიც ჩვეულად აფუჭა და სულ რაღაც 13 ქულას დასჯერდა. ყველა მოელოდა, რომ იგი წუთი წუთზე აფეთქდებოდა, მაგრამ თამაში ისე მიილია, ონილს შეტევაში ხეირიანი არაფერი გაუკეთებია.

ონილის უმოქმედობის შემყურე „ლეიკერსის“ მეორე ლიდერმა კობი ბრაიანტმა გამოიდო თავი. მან პირველ მეოთხედში თავის წილად 15 ქულა მიითვალა და „ლეიკერსი“ 26:22 დაიწინაურა, მაგრამ მომდევნო მეოთხედი „სან ანტონიომ“ 28:15 მოიგო და დარჩენილი დრო სულ მღევრად ამყოფა მეტოქე. აღსანიშნავია ტიმ დანკანის რიგიანი თამაშიც, რომელსაც რობინსონის წყალობით გამოთავისუფლებული ფარქვეშა სივრცეების გაკონტროლება არ უჭირდა.

ონილმა ცუდად კი ითამაშა, მაგრამ მატჩის შემდეგ მას ამის აღიარება გაუჭირდა. „მე დღეს მხოლოდ ისეთი სროლები ავაცილე, რომლებსაც სხვა დროს ჩვეულებრივ ვაგდებდი“. სამაგიეროდ, ეს კობი ბრაიანტმა გააკეთა: „ისინი (რობინსონი და დანკანი) ძალიან დიდები და ათლეტურები არიან. შაკი, ცხადია, ძლიერი მოთამაშეა, მაგრამ იგი ყოვლისშემძლე არაა და გაუჭირდა. ასეთი ჩავარდნა ყველას აქვს, ვფიქრობ, შაკი უბრალოდ გადაიღალა“. საინტერესოა, რისგან გადაიღალა ონილი, სიდნეის ოლიმპიადაზე წასვლა მას უბრალოდ დაეზარა, სეზონი კი სულ ათიოდ დღის წინ დაიწყო.

ალონზო მურნინგის დარი ვარსკვლავი დიდი დანაკარგია სრულიად ეროვნული საკალათბურთო ასოციაციისთვის, მისმა გუნდმა „მაიამიმ“ კი უმურნინგობა ლამის ტრაგედიად შერაცხა. რას იზამს, სეზონი უმურნინგოდ გრძელდება და „ჰითიც“ ავად თუ კარგად მიჰყვება მის დინებას. ეს ბოლო წლები თვალს ხიბლავდა ალონზოს და პატრიკ იუინგის ჭიდილი. პლეი ოფში იუინგის „ნიუ იორკი“ უფრო ხშირად უგებდა „მაიამის“, რაშიც ლომის წილს სწორედ იუინგი იდებდა. ამდენად იგი საკუთარი თავივით იცნობს ამ გუნდს, მაგრამ... ახლა იუინგი უკვე სიეტლელია, რაც ამ გუნდს წესით სასიკეთოდ უნდა დასტყობოდა, თუმცა პირიქით კი ხდება. „სიეტლი“ ერთმანეთის მიყოლებით აგებს თამაშებს და წყნარი ოკეანის დივიზიონის ცხრილში თვით ბოლო წლების უცუდეს გუნდის „კლიპერსის“ დონემდე ანუ ფსკერზე დაეშვა.

და აი, ჩავიდნენ იუინგი და მისი „სიეტლი“ მაიამიში და იქ „ჰითს“ წაგების მეტს ვერაფერს გამორჩნენ. თავად ბებერმა პატრიკმა „ზებგერითებს“ 15 ქულა შეაწია. ბევრი არაა, მაგრამ იგი ხშირად ამდენსაც ვერ აგროვებს. ამდენად ქულათა ეს რაოდენობა მისგან შეიძლება დამაკმაყოფილად ჩაითვალოს, მაგრამ „სიეტლმა“ საბოლოოდ წააგო და იუინგს სიხარულის საბაბი ალბათ არ უნდა ჰქონდეს. სამაგიეროდ, უხარიათ მაიამელებს, რადგან მათ გუნდში აღმოჩნდა ისეთი მოთამაშე, რომელიც მურნინგს ასე თუ ისე შეცვლის. ბრაიან გრანტი ამპლუით თავდამსხმელია და არა ცენტრი, მაგრამ ამ შეხვედრაში იგი ისე გაისარჯა და ისე დაიპყრო ფარი, რომ ამაზე უკეთ ალბათ ვერც მურნინგი მოახერხებდა. „პორტლენდიდან“ ერთი თვის წინ გადმოსული გრანტი „სიეტლთან“ მატჩში ფარქვეშეთის სრულ ბატონ-პატრონად მოგვევლინა და 30 ქულას 21 მოხსნაც დაურთო. გრანტი დაცვაშიც სანაქებოდ ირჯებოდა და მეურვე ბეიკერის თამაშიდან გამოთიშვაც მოახერხა. ბეიკერმა შეხვედრა სულ რვა ქულით დაასრულა. ესეც „სიეტლის“ მარცხის ერთ-ერთი მიზეზია. გრანტი მატჩის გმირად, ახალ მურნინგად და კიდევ ბევრ რამედ აღიარეს, მწვრთნელმა პატ რაილიმ კი მის თამაშს ფენომენალური უწოდა.

თუკი იმ დღეს კიდევ სხვას ეკუთვნოდა აგვარი შეფასება, ეს რეჯი მილერია. წინა სეზონში პლეი ოფის ფინალში ლეიკერსთან დამარცხების შემდეგ „ინდიანა პეისერზის“ წამყვანი მოთამაშეები სხვადასხვა გუნდებში მიმოიფანტნენ, რეჯი მილერი კი ამ გუნდს თორმეტი წელი ერთგულობდა და მიმდინარე სეზონშიც „ინდიანას“ მეტოქეთა კალათების დასაბომბადაა შემართული. 8 ნოემბერს მან „მილუოკის“ შვიდი სამქულიანი, სულ კი 41 ქულა „მიართვა“ და 21 წლის ჯერმენ ონილის დახმარებით მნიშვნელოვანი მატჩის მოგება მოახერხა.

მანამდე დაუმარცხებლებმა „იუტამ“, „კლივლენდმა“ და „ფილადელფიამ“ რვა ნოემბერიც უხიფათოდ განვლეს, მხოლოდ „იუტა ჯაზს“ გაუჭირდა ცოტა. „ჯაზი“ ლოს ანჯელესში „კლიპერსს“ სტუმრობდა და მისგან ისეთ წინააღმდეგობას გადააწყდა, რომ დამატებით დროში ძლივსძლიობით მოუგო.

ასევე დამატებით დროში შეიბნენ „დენვერი“ და „მინესოტა“. აქ გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ.

**ირაკლი ფირცხვილი**

REUTERS ტორონტოდან




# სამზადისი

რა თქმა უნდა, იცანით, მარჯვნივ ლეგენდარული ჰოკეისტი უეინ გრეცკია. მარცხნივ მწვრთნელი პეტ ქუინი გახლავთ. ისინი კანადის ოლიმპიურ ნაკრებს ჩაუდგნენ სათავეში და აი, ამ მაისურით შემოსილს 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ტიტულისკენ გაუძღვებიან.

მენეჯერმა (გრეცკი) და მწვრთნელმა იმ დღეს გუნდის სხვა ხელმძღვანელთა გვარებიც დაასახელეს.

# პროპორცია

დიდი ფიგურა ჰოლანდიელი ჰეინ ვერბრიუგენია, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის თავკაცი. პატარა ფიგურა, ხელში რომ უჭირავს, ანდების მცხოვრებთა კეთილდღეობის ღმერთია. ბოლივიაში გუშინ საერთაშორისო რბოლა გაიმართა, სახელწოდებით „ორმაგი კორაკაბანა“.



REUTERS დელიდან




# ლეგენდები

ბავშვობაში ისე გვასწავლიდნენ, რომ ლეგენდები წიგნში უნდა გვენახა და წაგვეკითხა, თურმე ასე არ ყოფილა. ლეგენდები შეიძლება ქუჩაში მოდლაბუცენიც ნახო და კითხვა სულ არ იცოდე. ამისთვის კი ინდოეთში, ბენგალორში წასვლაა საჭირო, სადაც 9-12 ნოემბერს ჩოგბურთის ლეგენდათა თასი გაიმართება. ადგილობრივი ლეგენდა ვიჯეი ამრიტრაი და ავსტრალიელი ლეგენდა პატ კეში სწორედ ამ საქმისთვის შეყრილან ხსენებულ ქალაქში.

# რკინის ქალამნები

REUTERS კალგარიდან



ეს ყოჩაღი ქალბატონი მოჭიდავის, ოუენ ჰერტის ქვრივი მართა გახლავთ. ფოტო კანადის ქალაქ კალგარიში, მის ბინაშია გადაღებული. ქალბატონმა ჰერტმა ყურადღება იმით მიიპყრო, რომ ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციას სასამართლოს ძალით დაუმტკიცა მეუღლის სიკვდილთან კავშირი — უპასუხისმგებლობა — და 18 მილიონი დოლარი აართვა. ფულის ნაწილით იგი ოუენ ჰერტის სახელობის ღატაკთა დახმარების ფონდს დააფუძნებს.

# ფილატელისტთა საყურადღებოდ!

მიდით საბერძნეთის საელჩოში, აიღეთ ვიზა, მერე მიდით ავიასალაროებში, იყიდეთ ათენის ბილეთი, მერე მიდით აეროპორტში, ჩასხედით თვითმფრინავში, ჩაფრინდით ათენში, მერე იქირავეთ ტაქსი, გადით ქალაქის ცენტრში და შეიძინეთ აი, ეს მარკა, რომელიც 2004 წლის ოლიმპიადას ეძღვნება, გამოცემულია სულ 20 მილიონი და ზომის მიხედვით 100-დან 650 დრაჰმამდე ღირს, რაც დაახლოებით 70 თეთრიდან 6 ლარამდეა.

REUTERS ათენიდან






# გადაჯდომა

„ვაუჰდინ მააილმა“, რაც სისწრაფის სამყაროს ნიშნავს, ფინური ჟურნალია, რომელმაც რედაქციაში დაპატიჟა თანამემამულე ავტომრბოლი კიმი რაიკონენი და ფოტო გადაუღო. რაიკონენი „ფორმულა რენოს“ კლასში ბრიტანეთის ჩემპიონი გამხდარა და ფორმულა 1-ის „ზაუბერის“ მეპატრონეს პიტერ ზაუბერს ისე მოსწონებია, რომ გაისიდან „დიდ“ საჭესთან დასმას უპირებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge